კაჭრეთში ამუშავდა კავკასიაში ყველაზე დიდი ელევატორი A2 | ენერგეტიკა A8 | გულახდილად B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 25 დეკემბერი, 2004 წელი. №306 (855) | ფასი 50 თეთრი

# ანაბრების საიდუმლო

ორშაბათიდან "24 საათი" იწყებს უნიკალური მასალების გამოქვეყნებას, რომლებშიც ცხადად გამოჩნდება, თუ როგორ უფასურდებოდა მოქალაქეთა ანაბრები, როგორ იძარცვებოდა მოსახლეობა, ვინ მონაწილეობდა ხალხის უმოწყალოდ გატყავებაში.

"24 საათის" დღევანდელი თანამშრომლები მაია ჭალაგანიძე და პაატა ვეშაპიძე უბრუნდებიან მათ მიერ ათი წლის წინ, 1994 წელს გაზეთ "კავკასიონში" დაწყებულ ჟურნალისტურ ძიებას. "24 საათი" შემოგთავაზებთ მაშინ მოპოვებულ დოკუმენტურ მასალას, რომლის მხოლოდ ნაწილი გამოქვეყნდა "კავკასიონში"... ასევე შემოგთავაზებთ უნიკალურ ინტერვიუებს, მათ შორის - ეროვნული ბანკის მაშინდელ პრეზიდენტთან დემურ დვალიშვილთან, რომელმაც ამ ინტერვიუდან მოკლე ხანში, გავრცელებული ვერსიით, თავი მოიკლა. მკითხველი სრულად დაინახავს იმ ფინანსურ სქემებს, რომელთა მეშვეობით იძარცვებოდა მოსახლეობა და მდიდრდებოდა იმ პერიოდში ხელისუფლებასთან დაახლოებული მცირერიცხოვანი კასტა. დღეს სად არიან ისინი, ვინც მაშინ ხელს ითბობდა ხალხის უბედურებაზე?

ათი წლის შემდეგ - "კავკასიონში" დაწყებული ისტორია "24 საათში" გრძელდება; შემსრულებელნი - იგივე.

# ხალხის და ხელისუფლების სურვილები არ ემთხვევა



*ხალხის იდეებზე პირველი სერიოზული დარტყმა სწორედ თებერვალში მოხდა და გამოიკვეთა, რომ ხელისუფლება და ხალხი სულ სხვადასხვა რამეზე ფიქრობდა.*

იური ლობოდინის ფოტო

მაია ჭალაგანიძე

*ისინი 26 წლის არიან და მთელი დრო ხან ერთი ხელისუფლების ოპოზიციაში გაატარეს და ხან - მეორის. იმდენად დინჯად ოპონირებენ, შთაბეჭდილება რჩება, რომ ხელისუფლებაში მოსვლა არც კი სურთ. ახლა მესამე ხელისუფლებას უდგანან ოპოზიციაში და თითქოს, კონსტრუქციული ნიშაც მხოლოდ მათ უჭირავთ. ოღონდ, "რესპუბლიკელები" ამ ჯერზე ისე გააფთრებულად იბრძვიან ბათუმის პორტისა და ტერმინალის გაყიდვის წინააღმდეგ, რომ იჯერებ - ობიექტს ნამდვილად აბაშიძე ყიდულობს. და უკუღმა - ისე გააფთრებული იცავს გამყიდველის პოზიციებს მთავრობა, რომ "რესპუბლიკელების" სიმართლეზე დაფიქრდები... შაბათის ნომერს პარლამენტის წევრი* ***ლევან ბერძენიშვილი*** *სტუმრობს.*

გაგრძელება B1 გვერდზე

# პუტინის შენიღბული მუქარა

გურამ მაღლაკელიძე

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პოლიტიკურ პარტიებთან ერთად უნდა შემუშავდეს აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან კონფლიქტების დარეგულირების, უფლებამოსილებათა გამიჯვნისა და მათი მომავალი სტატუსის განმსაზღვრელი კონცეფცია, გვაფიქრებინებს, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ასეთი დოკუმენტი უკვე აქვს, რადგან ძნელად დასაჯერებელია ამგვარი სახის კონცეფციების რამდენიმე კვირის განმავლობაში მომზადება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პუტინმა სეპარატისტები გაამხნევა

ნინო გომართელი

**"რატომ ვიქცევით ისე, თითქოს ვერ ვხედავთ, თუ რა პროცესები მიმდინარეობს მსოფლიოსა და ევროპაში? განიცადა იუგოსლავიამ დეზინტეგრაცია? განიცადა. და მთელმა მსოფლიომ აღიარა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები. აი, მუდმივად ამბობდნენ: კოსოვო არ იქნება დამოუკიდებელი, ის იუგოსლავიის შემადგენლობაში უნდა იყოს. და რა მოხდა სინამდვილეში? კოსოვო გამოეყოფა იუგოსლავიას და ამაზე ყველა თვალს ხუჭავს. ეთანხმებიან. მე კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო: ჩვენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მომხრენი ვართ, მაგრამ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთა ინტერესების გათვალისწინება აუცილებელია,"** - თქვა პუტინმა წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე და ამით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ანუ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სეპარატისტებს გამამხნევებელი მესიჯი გაუგზავნა, ამავე დროს, ღიად დააფიქსირა პოზიცია, რომ მისთვის საქართველოს დანაწევრება სულაც არ იქნება მოულოდნელი.

ცნობილია, რომ იუგოსლავიის ცენტრალური ხელისუფლება შეიარაღებული დაპირისპირებით და გენოციდის გზით ცდილობდა კოსოვოში ვითარების მოგვარებას, კონფლიქტში მესამე მხარედ კი ნატო და აშშ ჩაერთვნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## პოლიტიკა

### "ფინანსური ამნისტია" გამოცხადდა



გუშინდელი სხდომის ბოლოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ განსაკუთრებული კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ "ფინანსურ ამნისტიასთან" დაკავშირებული ვნებათაღელვა დასრულდა.

A2

## ეკონომიკა

### შევარდნაძის ყოფილი რეზიდენცია პრეზიდენტის ახალი რეზიდენციის მშენებლობას დააფინანსებს



აქ მალე მრავალფუნქციური თანამედროვე ტიპის კომპლექსი გაშენდება.

A4

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში,
FM 107.4

## ამინდი

| | 25/12 | 26/12 |
|---|---|---|
| თბილისი | 10 | 11 |
| ქუთაისი | 13 | 14 |
| ბათუმი | 14 | 16 |
| სოხუმი | 11 | 12 |
| ფოთი | 13 | 15 |
| თელავი | 10 | 11 |
| ზუგდიდი | 13 | 14 |
| გორი | 8 | 9 |
| ახმეტა | 9 | 10 |
| ჭიათურა | 9 | 12 |
| გაგრა | 10 | 11 |
| სამტრედია | 13 | 14 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7700 |
| ევრო | 2.3965 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4103 |
| რუბლი | 0.0636 |




A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ენერგეტიკა

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 კვირა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# ვიქტორ იუშჩენკო: "შევძლებ!"

თამარ მჭედლიშვილი
*კიევიდან*

კიევში ეჭვი არავის ეპარება, რომ 26 დეკემბერს ვიქტორ იუშჩენკო უკრაინის პრეზიდენტი გახდება. იმის მიუხედავად, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში ადმინისტრაციული რესურსების სრული მობილიზაცია ხდება, მაინც საეჭვოა, ლეონიდ კუჩმას პროტეჟემ, ვიქტორ იანუკოვიჩმა, ხმათა იმდენივე პროცენტი მოაგროვოს, რაც არჩევნების მეორე ტურში. თანაც, 21 ნოემბრის შემდეგ გარკვეული ცვლილებებია შესული თავად კენჭისყრის პროცედურებში, რის გამოც ე.წ. საარჩევნო კარუსელების დატრიალება არც ისე ადვილი იქნება, როგორც ეს 21 ნოემბრის არჩევნებზე ხდებოდა.

ერთი სიტყვით, დღეს უკრაინაში გაცილებით აქტუალურია, თუ როგორი იქნება უკრაინა არჩევნების შემდგომ, ვიდრე თავად არჩევნების შედეგები (კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ იუშჩენკოს გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარება, თავად იანუკოვიჩის მომხრეებსაც კი).

უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებმა მთელი სიმძაფრით წარმოაჩინა ის პრობლემები, რომელზეც მანამდე ყურადღებას ნაკლებად ამახვილებდნენ.

შეძლებს თუ არა უკრაინა რეგიონული, ენობრივი, ეთნიკური, ეთნო-კულტურული, სოციალ-ეკონომიკური წინააღმდეგობების დაძლევას და ეკონომიკური განვითარების ტემპების შენარჩუნებას? - ეს ის თემებია, რომლის თაობაზეც უკრაინელი ექსპერტები და ანალიტიკოსები ბჭობენ. რიგით უკრაინელებს კი ყველაზე მეტად აღმოსავლეთ და დასავლეთ უკრაინას შორის დაპირისპირების ეშინიათ.

სხვათა შორის, ერთ-ერთმა კიეველმა ჟურნალისტმა ჩვენთან საუბარში ისიც განაცხადა, რომ მოსკოვმა კიევს იდეოლოგიური ომი მაინც მოუგო და იუშჩენკოსა და იანუკოვიჩს შორის პოლიტიკური დაპირისპირება სამოქალაქო დაპირისპირების ელფერით "გაამდიდრა".

გუშინ, შემაჯამებელ პრეს-კონფერენციაზე ვიქტორ იუშჩენკოს ჰკითხეს, თუ როგორ შეძლებს იგი ერის გამთლიანებას. პასუხი მოკლე იყო - "შევძლებ". თუმცა, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეს არც ისე ადვილი იქნება, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.

ეროვნული თანხმობის აღდგენაზე საუბრობს მეორე კანდიდატიც - ვიქტორ იანუკოვიჩიც, მაგრამ თუ იმ ტელეხიდით ვიმსჯელებთ, რომელიც არჩევნებამდე სამი დღით ადრე, მე-5 არხის ეთერით, ლუგანსკსა (აღმოსავლეთ უკრაინა) და ლვოვს (დასავლეთი უკრაინა) შორის გაიმართა, ამ თანხმობის მიღწევამდე საკმაო გზაა გასავლელი.

ლუგანსკის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვიქტორ იუშჩენკო და მისი მომხრეები (მათ შორის, ოპოზიციური მე-5 არხი) იმაში დაადანაშაულეს, რომ "აღმოსავლეთ უკრაინელები მთელი მსოფლიოს თვალში არაადამიანებად და ჭირიანებად" წარმოაჩინეს. "მეორე ტურში ლვოვში იუშჩენკომ ხმათა 95 პროცენტი მიიღო. ამდენივე წაიღო აქედან იანუკოვიჩმა. რა გამოდის? ლვოვში არჩევნები არ გაყალბდა და ჩვენთან გაყალბდა? სად არის აქ ლოგიკა? ის, რომ დონეცკში, ლუგანსკში, ხარკოვში მხარს ვიქტორ იანუკოვიჩს უჭერენ, ეს თქვენც შესანიშნავად იცით. ის კი, რაც კიევში ხდებოდა, უბრალოდ, ფორთოხლისფერი რევოლუციის ილუზია, რეალურად კი, ფორთოხლისფერი პუტჩის მცდელობა იყო," - ცხარობდა ამ ტელეხიდის დროს ერთ-ერთი ლუგანსკელი ქალბატონი. ლვოველებმა კი ლუგანსკელებს ე.წ. "открепительные талон"-ებით დატრიალებული კარუსელი შეახსენეს.

თავად ტელეხიდი კიევში საკმაოდ აქტიური მსჯელობის თემად გადაიქცა. ამ დებატებზე საუბრობდნენ ყველგან - ქუჩებში, მაღაზიებში, მეტროში... კიეველების აბსოლუტურ უმრავლესობას შესანიშნავად ესმის, რომ სამოქალაქო დაპირისპირების ნიშნები სახეზეა და მისი შემოქმედნი სწორედ იანუკოვიჩის რუსი იმიჯმეიკერები არიან.

მოკლედ, 21 ნოემბრის შემდეგ კიევში ემოციებმა იკლო და მათი ადგილი მომავლის პროგნოზებმა დაიკავა. ამის მიუხედავად, კრეშჩატიკზე კვლავაც გაშლილია ე.წ. "კარვების ქალაქი," დამოუკიდებლობის მოედანზე ადამიანები ფორთოხლისფერი კაშნეებით დასეირნობენ. მანქანების ანტენებზე კვლავ ფრიალებენ ფორთოხლისფერი ლენტები...

დაბოლოს: დღეს კათოლიკე უკრაინელები შობის ბრწყინვალე დღესასწაულს აღნიშნავენ. დამოუკიდებლობის მოედანზე უკვე ორი დღეა, გრანდიოზულ სცენას ამონტაჟებენ. "ეს შობა და ახალი წელი, ალბათ, არასოდეს დამავიწყდება. არ ვიცი, ჩემთვის რომელია უფრო მნიშვნელოვანი - შაბათ-კვირას ოჯახთან ერთად სახლში ყოფნა და შობის დღესასწაულის აღნიშვნა, თუ არჩევნები. რამდენიმე დღის წინ ვფიქრობდი, რომ არჩევნებზე წასვლას სახლში დარჩენა სჯობდა, მაგრამ მივხვდი, რომ თუ ყველა ასე იფიქრებს, საარჩევნო უბნებზე ალარავინ მივა. ამიტომაც, არჩევნებზე აუცილებლად მივალ," - გვითხრა ერთ-ერთმა მუშამ, რომელიც მაიდანზე, ყინვასა და თოვლში, სხვა მუშებთან ერთად სცენას ამონტაჟებდა...

# "ფინანსური ამნისტია" გამოცხადდა

## უმანკოების თამაში საჭირო აღარ არის



იური ლობოდინის ფოტო

*რიგგარეშე სესიის 100-საკითხიანი დღის წესრიგი პარლამენტმა ოთხ დღეში "მოინელა".*

*რიგგარეშე სესიის 100-საკითხიანი დღის წესრიგი პარლამენტმა ოთხ დღეში "მოინელა". დროის ამ მცირე მონაკვეთში მიღებული იქნა ისეთი უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტები, როგორიც არის ახალი საგადასახადო კოდექსი, კანონები "უმაღლესი განათლების შესახებ", "მაუწყებლობის შესახებ", "ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზების შესახებ" (ანუ "ფინანსური ამნისტია"), უშიშროების სამინისტროს გაუქმებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი და სხვა.*

გიორგი ასანიშვილი

გუშინდელი სხდომის ბოლოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ განსაკუთრებული კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ "ფინანსურ ამნისტიასთან" დაკავშირებული ვნებათღელვა დასრულდა და კანონს დეპუტატებმა თითქმის ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი (125 მომხრე, ერთი - წინააღმდეგი). სპიკერი იმედოვნებს, რომ "ფინანსური ამნისტია" რეალურად იმუშავებს. ბურჯანაძის თქმით, ამ შემთხვევაში საუბარია არა იმდენად ფისკალურ ეფექტზე, რამდენადაც ფსიქოლოგიურ ფაქტორზე.

კანონის მიღების წინ კვლავ სადავო იყო საკითხი, თუ როგორ მოეხდინათ ქონების ლეგალიზება სახელმწიფო თანამდებობის პირებს, რომლებზეც ამნისტია არ გავრცელდებოდა. მთავრობის მიერ შემოთავაზებული ვარიანტის მიხედვით, თუ სახელმწიფო თანამდებობის პირები მოახდენდნენ თავიანთი ფინანსური რესურსების ინვესტირებას, ქონების ამ ნაწილზე კანონი "დაუსაბუთებელი ქონების შესახებ" არ გავრცელდებოდა. ბოლო მომენტში ამ ნორმას დაემატა კიდევ ერთი: ინვესტირების ტოლფას ქმედებად ჩაითვლება საბანკო სისტემაში ანაბრების განთავსებაც.

"ფინანსური ამნისტიით" ძალაში შედის აგრეთვე შემდეგი ნორმა: თუ პიროვნება ეწეოდა ბიზნესს და შემდეგ დაიკავა სახელმწიფო თანამდებობა, ამნისტია შეეხება მხოლოდ იმ პერიოდს, როდესაც აღნიშნული პიროვნება ბიზნესით იყო დაკავებული.

მიუხედავად იმისა, რომ "ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზების შესახებ" კანონის მიღებას, ბოლოს და ბოლოს, საშველი დაადგა, პარლამენტის თავმჯდომარემ საყვედურები მაინც "დაარიგა". ნინო ბურჯანაძის უკმაყოფილება იმან განაპირობა, რომ კანონპროექტის ტექსტში ძალიან ბევრი სტილისტური და არსებითი ხასიათის შეცდომები იყო, რომელთა გასწორება დეპუტატებს "გზადაგზა" უხდებოდათ.

**"ორგვერდიანი კანონი ვერ ჩამოგიყალიბებიათ ისე, როგორც საჭიროა. კეთილი ინებოს მთავრობამ და კანონი გამართულად დაწეროს, ხოლო კომიტეტებმა ნორმალური სახით წარმოადგინონ,"** - მოითხოვს პარლამენტის სპიკერი.

რიგგარეშე სესიის სხდომა გუშინ ნაადრევად, - 14 საათზე დასრულდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ დეპუტატთა საკმაოდ დიდი ნაწილი საპრეზიდენტო არჩევნებზე დასასწრებლად უკრაინაში გაემგზავრა.

სხდომა ორშაბათს განახლდება. ზეგ პარლამენტარები მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს განიხილავენ და მინისტრთა კაბინეტის პროგრამას დაამტკიცებენ, 28 დეკემბრისთვის კი ნავარაუდევია 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება.

# კაჭრეთში ამუშავდა კავკასიაში ყველაზე დიდი ელევატორი



ზვიად რუაძის ფოტო

*ხელისუფლების ბედნიერმა წარმომადგენლებმა კაჭრეთის წისქვილკომბინატის ლენტი გაჭრეს.*

*როგორც პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, ამიერიდან კახელ გლეხს ხორბლის რეალიზების და დაფქვის პრობლემა არ ექნება. კაჭრეთის წისქვლკომბინატი სააქციო საზოგადოებაა, რომლის აქციების 68 პროცენტის მფლობელი სახელმწიფოა. ხუთწლიანი ინტერვალის შემდეგ, გუშინ, სს "კახეთის პური" პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა და კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულმა პეტრე ცისკარიშვილმა საზეიმო ვითარებაში გახსნეს.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

იყო დრო, როდესაც კაჭრეთის წისქვილკომბინატი ფქვილით თითქმის მთელ ქვეყანას ამარაგებდა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ქვეყანა დაღმავლობის გზას დაადგა, ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი ელევატორი იმ ადამინათა ხელში აღმოჩნდა, რომლებმაც საწარმო გაკოტრებამდე მიიყვანეს. ჯერ მარტო დებიტორთა ვალი 19 მილონ 2 ათას ლარს შეადგენს, რომ არაფერი ვთქვათ იმ საბანკო კრედიტებზე, რომლიც ქარხნის იმდროინდელ მესვეურებს ჰქონდათ გამოტანილი. ბოლოს კი, გამოძიებამ გაარკვია, რომ თანხები ქარხნის ხელმძღვანელობამ არამიზნობრივად გახარჯა. მომხდართან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა, პასუხისგებაში მიეცა "კახეთის პურის" დირექტორი ლადო მარხვაშვილიც. საწარმოში ჩადენილ ფინანსურ მაქინაციებზე გაზეთი "24 საათი" დეტალურად ჯერ კიდევ მიმდინარე წლის თებაერვალში წერდა. ქარხნის გაკოტრების მიზეზი, სხვა ვალთან ერთად, იმ პენსიონერთა ვალიც გახდა, რომელთა პენსიის გასტუმრება სახელმწიფომ 1998 წელს, ბიუჯეტის სიმწირის გამო, ნატურით სცადა.

ყველაზე გულახდილი წისქვილკომბინატის გახსნაზე ზურაბ ჟვანია იყო. იგი მწუხარებით იხსენებდა წარსულს, თუმცა კმაყოფილებით საუბრობდა მომავალზე. იგი კაჭრეთის გიგანტური წისქვილკომბინატის ამუშავებით კამყოფილებას ვერ მალავდა. **"მე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ პეტრეს იმისთვის, რასაც იგი კახეთის განვითარებისთვის აკეთებს. რაც შეეხება კაჭრეთის წისქვილკომბინატის ამუშავებას, მე ამით დიდად გახარებული ვარ. მოგეხსენებათ, კახეთში ხორბლის აღების დროს რაოდენ დიდი პრობლემა გვაქვს, ამჯერად კი აქაურ გლეხს საშუალება ექნება, ამ საწარმოში დაფქვას და ჩააბაროს ხორბალი,"** - თქვა ჟვანიამ.

სააქციო საზგადოება "კახეთის პურს" ამ დროისთვის დღე-ღამეში 250 ტონა მარცვლეულის დაფქვა შეუძლია. აღსანიშნავია, რომ საწარმომ საცდელი მუშაობა ჯერ კიდევ ამ ზაფხულს დაიწყო, ხელმძღვანელობამ კი პირველი წარმოებული ფქვილი შავენაბადაზე მყოფ ბერებს გადასცა. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ქარხანა ხუთი წელია, რაც გაჩერებულია. ამ პერიოდში საწარმოს ინვენტარის დაცვა თვით აქციონერებს უწევდათ. ამჯერად "კახეთის პურში", როგორც ქარხნის ახალი პატრონი იოსებ ბარნაბიშვილი ამბობს, 200 მუშიდან, რომლებიც აქციონერებიც იყვნენ, ძველ სამსახურს 120 უკვე დაუბრუნდა. მათი მინიმალური ხელფასი 100-120 ლარს შეადგენს. **"რომ ამუშავდება კომბინატი, ხელფასებიც მოემატებათ. ამ შვიდი თვის განმავლობაში კი ხელფასები ყველას აღებული აქვს,"** - ამბობს საწარმოს ხელმძღვანელი. ბარნაბიშვილი პრემიერ-მინისტრს ჰპირდება, რომ აღნიშნული საწარმო სულ მალე კონკურენტუნარიანი გახდება.

ზურაბ ჟვანიას თქმით, ის 50 ათასი ტონა ხორბალი, რომელსაც საქართველო დახმარების სახით იღებდა, ამიერიდან რეზერვში შეინახება. **"პრეზიდენტის, ჩემი და მინისტრის უმთავრესი პრობლემაა კახეთს მოეხსნას ხორბლის პრობლემა. ბოლო სამი დღეა, ვმსჯელობთ, რომ აღდგეს ხორბლის სტრატეგიული რეზერვი,"** - ამბობს პრემიერ-მინისტრი.

გუშინ, ზურაბ ჟვანიას საუბარი უწევდა კახეთის განვითარების სამომავლო გეგმებზეც. იგი მოსახლეობას ჰპირდება, რომ მომავალი წლის ოქტომბრიდან ფრაზა "დენის გრაფიკი" ხმარებიდანაც კი ამოვარდება.

**"2005 წელი იქნება აღმავლობის წელიწადი. კახეთის გუბერნატორს, სამინისტროს აქვთ თანამედროვე მეთოდები სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. პირველ რიგში, გაფორმდება ხელშეკრულებები იმ მიკრო ღვინის ქარხნებთან, რომლითაც გლეხს ადვილად შეეძლება მოწეული მოსავლის დაბინავება. სწორედ ამის გამო, იანვრიდან ვგეგმავთ სერიოზული სქემა შევიმუშაოთ, მეღვინეობა-მევენახეობის განვითარებასთან დაკავშირებით. ასევე მიმდინარეობს მელიორაციის გასაუმჯობესებლად თანხების მოძიება. კახეთში უფრო სერიოზული ტემპით ვმუშაობთ ტურიზმის გასავითარებლად, რადგან დემოგრაფიულად ეს ყველაზე უნიკალური მხარეა საქართველოში,"** - აცხადებს პრემირ-მინისტრი ზურაბ ჟვანია.

# სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭო მონეტარული პოლიტიკით კმაყოფილია

"მინდა მოგილოცოთ "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის" პროგრამით გათვალისწინებული პირველი შეფასების დასრულება, რომელიც კვირის დასაწყისში სსფ-ის აღმასრულებელმა საბჭომ დაამტკიცა",- ნათქვამია საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის იერუნ კრემერსის საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტისადმი და ფინანსთა მინისტრისადმი გამოგზავნილ წერილში.

20 დეკემბერს საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭომ "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის" პროგრამის ფარგლებში 14 მლნ SDR-ის (21,5 მლნ აშშ დოლარის) მოცულობის მეორე ტრანშის გამოყოფის გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნული ტრანში სებ-ის ანგარიშზე 28 დეკემბერს ჩაირიცხება და იგი საერთაშორისო სავალუტო რეზერვის შევსებას მოხმარდება, რომელის მოცულობამ წელს საქართველოსათვის სარეკორდო მაჩვენებელს - 390 მლნ. აშშ დოლარს გადააჭარბა.

იერუნ კრემერსის წერილში დაფიქსირებულია, რომ სავალუტო ფონდის დირექტორების შეფასებით, მონეტარული მდგომარეობა, ტრადიციულად, სტაბილურია. წლების განმავლობაში კონტროლირებადი ინფლაცია საერთო მაკროეკონომიკურ მდგრადობას უზრუნველყოფს. ფონდის დირექტორთა ერთი ნაწილის აზრით, ეროვნული ბანკის მიერ სარეზერვო ფულის მოსალოდნელზე სწრაფი ზრდის მიუხედავად, მაინც შენარჩუნებულ იქნა ინფლაციის დაბალი ტემპი. დირექტორთა საბჭოს პოზიტიურად მიაჩნია ეროვნული ბანკის კეთილსინდისიერი და კომპეტენტური საქმიანობა.

გაზრდილი ლიკვიდურობისა და კაპიტალის დიდი შემოდინების ფონზე, ზოგიერთმა დირექტორმა საქართველოს ეროვნულ ბანკს მოუწოდა კვლავაც ფხიზლად იყოს და მოემზადოს პოლიტიკის გამკაცრებისათვის იმ შემთხვევაში, თუკი ინფლაციური სიტუაცია გამწვავდება.

იერუნ კრემერსი თავის წერილში ეხება მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაში არსებულ პროგრესსაც, რაც მიღწეული იყო ჯანსაღი ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების გაბედული ტემპების განხორციელებით. იმისათვის, რათა ეს მიღწევები მდგრადი იყოს, სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორი სტაბილიზაციაზე ორიენტირებული პოლიტიკისა და საბაზრო რეფორმების უწყვეტად განხორციელების აუცილებლობაზე მიუთითებს.

*გოგი ბანეთიშვილი*

## მოკლედ

### "ფაინენშელ თაიმსმა" წლის საუკეთესო პოლიტიკოსთა კანდიდატებს შორის საქართველოს პრეზიდენტი დაასახელა

გავლენიანმა ბრიტანულმა გაზეთმა "ფაინენშელ თაიმსმა" მსოფლიოში წლის საუკეთესო პოლიტიკოსის ტიტულის კანდიდატებად დაასახელა აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატი ვიქტორ იუშჩენკო, ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ კარზაი, ინდოელი პოლიტიკოსი სონია განდი და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

ბრიტანული გაზეთი მიხეილ სააკაშვილს ვიქტორ იუშჩენკოს შთაგონების წყაროს უწოდებს და აღნიშნავს, რომ პირველად, სწორედ სააკაშვილმა მოახერხა მშვიდობიანი დემონსტრაციებით რეჟიმის შეცვლის ორგანიზება. დეტალური განხილვის შემდეგ, გაზეთის საექსპერტო საბჭომ ვერ შეძლო ამ კანდიდატურებიდან მსოფლიოში წლის საუკეთესო, ერთი ცალკე აღებული პოლიტიკოსის დასახელება.

ყველაზე დიდი სენსაცია ამ სიაში საქართველოს პრეზიდენტის მოხვედრაა, ვინაიდან წლის პოლიტიკოსების დასახელება ქვეყნების სიდიდისა და მნიშვნელობის მიხედვით ხდება. საქართველოს მსგავსი მცირე ქვეყნის პრეზიდენტის მოხვედრა მსოფლიოს საუკეთესო პოლიტიკოსის ტიტულის კანდიდატთა სიაში, თავისთავად უპრეცედენტოა.

ორი კვირის წინ, საქართველოს პრეზიდენტი დასახელდა ევროკავშირის იმ არამოქალაქედ, რომელმაც ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა ევროკავშირის განვითარებაზე 2004 წელს.

***საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური***

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი საკუთარი პრინციპულობის დამტკიცებას პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლიდან ცდილობს. სანამ პლენარული სხდომის ტელეტრანსლაცია დაიწყებოდა, მაჭავარიანმა დეპუტატებს წესრიგისკენ მოუწოდა და დარბაზს პალტოების გარეთ დატოვება სთხოვა.

"არც ერთი ქვეყნის პარლამენტის დეპუტატები პალტოებს სხდომათა დარბაზში არ იხდიან. პატივი ეცით საქართველოს პარლამენტს," - აღნიშნა მაჭავარიანმა.

მაჭავარიანის პირადი შენიშვნა გუშინ საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ხათუნა გოგორიშვილმაც დაიმსახურა, რომელიც დარბაზში ჩაცმული შევიდა. ხათუნა გოგორიშვილის განცხადებით, პალტოების გასახდელში დატოვებას რეგლამენტი არ ითვალისწინებს, ამიტომ დეპუტატები ვალდებული არ არიან, ვიცე-სპიკერის ამ მითითებას დაემორჩილონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელი ხიზრი ალდამოვი მიესალმება პარლამენტში კავკასიელ ხალხთა მეგობრობის ჯგუფის ჩამოყალიბებას. ხიზრი ალდამოვი, რომელიც გუშინ აღნიშნული საპარლამენტო ჯგუფის პრეზენტაციაზე იმყოფებოდა, მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტში კავკასიელ ხალხთა მეგობრობის ჯგუფი უფრო ადრე უნდა შექმნილიყო.

პარლამენტში გუშინ ჩამოყალიბებული კავკასიელ ხალხთა მეგობრობის ჯგუფი აპირებს მედიატორის როლი შეასრულოს რუსულ-ჩეჩნური ურთიერთობების მოწესრიგებაში. ჯგუფში ჯერჯერობით შვიდი დეპუტატია გაწევრიანებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასტუმრო "შერატონმეტეხი პალასში" გუშინ ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის - "წინ! საქართველო" - პრეზენტაცია გაიმართა. მოძრაობის დამფუძნებლები ქვეყნის მოქმედი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსთან დაპირისპირებული პოლიტიკოსები და საზოგადოების წარმომადგენლები არიან.

გუშინდელ პრეზენტაციაზე ყველა გამომსვლელი აცხადებდა, რომ ქვეყანაში გარკვეული ძალების მხრიდან მიზანმიმართულად ხორციელდება ეროვნული და სულიერი ფასეულობების მოშლა, ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლა და შექმნილია უმძიმესი სოციალური ვითარება, რაც საზოგადოების წარმომადგენლებს პასიურობის უფლებას არ აძლევს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** გუშინ მოსკოვში დსთ-ს შინაგან საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ. შეხვედრაზე საერთაშორისო ტერორიზმისა და ადამიანებით ვაჭრობის საკითხებზე და მომავალი წლისათვის ტერორიზმთან ბრძოლის ერთობლივ გეგმაზე იმსჯელეს.

გეგმა მიზნად ისახავს დსთ-ს შინაგან საქმეთა უწყებებს შორის დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გაცვლასა და თანამშრომლობას. მოსკოვის შეხვედრას არ დასწრებია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი. ამ შეხვედრაზე ქართულ მხარეს მისი მოადგილე ლევან გვაზავა წარმოადგენს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლიტერატურის მუზეუმიდან 1937 წელს რეპრესირებული ქართველი მწერლების არქივების დაკარგვის ფაქტზე უშიშროების სამინისტრომ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა ლიტერატურის მუზეუმის დირექტორის იზა ორჯონიკიძის დაკითხვა, შემდეგ კი მუზეუმში ჩხრეკა ჩატარდა. ორჯონიკიძის განცხადებით, აღნიშნული ლიტერატურა 13 წლის წინ, როცა ის მუზეუმის დირექტორი არ იყო, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში გაიტანეს ქვეყნის პირველი პირის ბრძანებით, გარკვეული დროის განმავლობაში სახელმწიფო კანცელარიაში ინახებოდა და უკან აღარ დაუბრუნებიათ. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

თბილისური Love Story



„რადიო დილა“
ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე

**წამყვანები** - გაგა გობრონიძე, ანა კორძაია-სამადაშვილი
**სტუმარი** - გიო მგელაძე, ლიტერატორი

**გიო მგელაძე:**
- რატო არ უთხარი?
- რა?
- ლადოსთვის რომ არალაითი ჯადო გქონდა შეკვეთილი?

"ახალგაზრდა ქართველ ხელოვანებს თავისუფლება ნებისმიერი ფორმით და დოზით ეზიზღებათ."


# პუტინმა სეპარატისტები გაამხნევა

პირველი გვერდიდან

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები კატეგორიულად გამორიცხავენ კონფლიქტების სამხედრო ძალის გამოყენებით მოგვარებას, რისიც, როგორც ჩანს, თავად პუტინს არ სჯერა, ან დე ფაქტო ლიდერებთან ამ თემით მანიპულირებას ცდილობს.

**"რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მიერ კოსოვოს ხსენება იმის მანიშნებელი იყო, რომ მან კარგად არ იცის, თუ რეალურად რა ვითარებაა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში,"** - მიიჩნევს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხში გოგა ხაინდრავა, რადგან კოსოვოს კონფლიქტსა და საქართველოში არსებულ კონფლიქტურ ზონებში არსებულ ვითარებებს შორის მსგავსებას ვერ ხედავს.

აფხაზეთის საკითხებში ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი კი მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადებით, კრემლის ლიდერმა დე ფაქტო ხელისუფალთ დაპირება მისცა, რომ ის დამცავი მექანიზმი იქნება, თუ საქართველო სამხრეთ ოსეთსა თუ აფხაზეთზე შეიარაღებულ თავდასხმას განახორციელებს.

**"ამით სეპარატისტებს იმედი ექნებათ, რომ რუსეთი მის ხელთ არსებულ ძალას და ინტერესებს გამოიყენებს, რომ საქართველოს, ასე ვთქვათ, აგრესია შეაჩეროს,"** - აცხადებს იგი "24 საათთან" ინტერვიუში.

ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ ვლადიმირ პუტინმა ძალზე გამომწვევი განცხადება გააკეთა. ექსპერტის აზრით, ეს რუსეთის პრეზიდენტის მხრიდან მეტად საეჭვო ქცევაა, რადგან საქართველოს შიდა საქმეში ერევა იმ სახელმწიფოს ლიდერი, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტში შუამავლად ითვლება.

**"რუსეთი დაინტერესებულია, რომ საქართველო დანაწევრებული იყოს. ჩვენი ხელისუფლების ადგილას, პირადად მე ამ სახელმწიფოს შუამავლობის მართებულობას ეჭვქვეშ დავაყენებდი,"** - აღნიშნავს ზაქარეიშვილი.

კონფლიქტების დარეგულირების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კი მიიჩნევს, რომ იმას, რასაც ვლადიმირ პუტინი საქართველოს უწინასწარმეტყველებს, პირველ რიგში, საკუთარ ქვეყანაში მიიღებს, ამიტომაც მას რუსეთში არსებულ პრობლემებზე ფიქრს ურჩევს.

კრემლის მიერ რიგ ტერიტორიებზე კონტროლის დაკარგვის მაგალითებად კი გოგა ხაინდრავას ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი ვითარება მოჰყავს, **"სადაც დღე არ ჩაივლის რაიმე ინციდენტის გარეშე."** ამასთან, რუსეთის პოზიციები კიდევ უფრო შესუსტდება, როდესაც უკრაინა **"რამდენიმე დღეში საკუთარ არჩევანს გააკეთებს და კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, თუ რა არის დემოკრატია.**

**ის, რომ რუსებმა აფხაზური საზოგადოების არჩევანზე იძალადეს, ძალით გაუუქმეს არჩევნები და ახლა იქ საკუთარი მარიონეტების დასმას ცდილობენ, კარგი მაგალითია აფხაზური საზოგადოებისთვის და აუცილებლად ნაყოფს გამოიღებს.**

**რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, აქაური საზოგადოება რუსეთის იმედს კარგავს. ბესლანის ამბები განსაკუთრებით ცხადყოფს იმას, თუ როგორი "სიყვარული" გააჩნია რუსეთს მცირერიცხოვანი ერებისადმი და ეს მაგალითი უკვალოდ არ ჩაივლის,"** - დამაჯერებლად ირწმუნება გოგა ხაინდრავა.

# "გვჭირდება რაც შეიძლება მეტი პატრიოტი და მხარდამჭერი"

ვერიკო თევზაძე

*იანვრისთვის საქართველოს სახელმწიფო სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების კონცეფციას საერთაშორისო განხილვისათვის წარადგენს. ხელისუფლების ოფიციალური დოკუმენტი, უპირველეს ყოვლისა, იქნება ოსებისა და აფხაზებისადმი შეთავაზება, თუ როგორ, რა ფორმით უნდა ვიცხოვროთ საერთო სახელმწიფოს პირობებში. გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კონფლიქტების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს შეხვდა და მათ შესთავაზა, რომ კონკრეტული წინადადებები და პროექტები უშიშროების საბჭოში წარადგინონ. ამ საკითხს კოორდინირებას გაუწევს უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი. პრეზიდენტის განცხადებით, კონცეფცია ათი იანვრისთვის უნდა მომზადდეს. მოგვიანებით, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამ თარიღისთვის კონცეფციის საბოლოო სახით მომზადება გაჭირდება, მაგრამ ძირითადი პრინციპები მაინც ჩამოყალიბდება.*



ვახო ბესელიას ფოტო

*პრეზიდენტი რთული დავალების შესასრულებლად უმოკლეს ვადას აძლევს არასამთავრობო სექტორს.*

როგორც პოლიტოლოგმა გია ნოდიამ "24 საათს" განუცხადა, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული მხოლოდ ერთი პროექტი, რომლის ავტორიც პაატა ზაქარეიშვილის ჯგუფია. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის თაობაზე მესამე სექტორს მხოლოდ მოსაზრებები და შეხედულებები მოეპოვება. აქედან გამომდინარე, მათ სრულიად ახალი კონცეფციის შემუშავება მოუწევთ.

კონფლიქტების დარეგულირების კონცეფციაში ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაკვირველია, იქნება სტატუსი, რომელსაც თბილისის ცენტრალური ხელისუფლება აფხაზურ და ოსურ მხარეებს შესთავაზებს.

პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, მათი ჯგუფის პროექტი ითვალისწინებს **"ასიმეტრიული ფედერაციის პირობებში აფხაზებთან ფედერაციული ხელშეკრულების დადებას. ამ შემთხვევაში აფხაზებს, ასიმეტრიული ფედერაციის ფარგლებში, მაქსიმალური დამოუკიდებლობა ექნებათ. თუ ჩვენ მათ ამ პირობებს შევთავაზებთ, მაშინ საქართველო ვერანაირად ვერ ჩაერევა აფხაზურ საქმეებში. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ აფხაზეთი არ არის მარტო აფხაზები, ის არის აფხაზეთის მოსახლეობა. ყველაფერი განხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა დევნილთა დაბრუნება დასრულდება. ამიტომ ჩვენი დოკუმენტი, სტატუსის კონტექსტში, ორ შეთავაზებას მოიცავს: პირველი - ეს არის მშვიდობის დამყარება, მეორე - სტატუსის შეთანხმება."**

გია ნოდიამ მასმედიასთან ასეთი კომენტარი გააკეთა: **"გაფართოებული უფლებები, რომელსაც აფხაზებს და ოსებს შევთავაზებთ, ნიშნავს, მინიმუმ, იმაზე მეტს, ვიდრე აჭარის ავტონომიაა."**

როგორც პრეზიდენტმა სააკაშვილმა გუშინდელ შეხვედრაზე განაცხადა, საქართველოს სახელმწიფოს მიერ შემუშავებული კონცეფცია საერთაშორისო მსჯელობის საგანი გახდება, მას განსახილველად წარვუდგენთ ევროპის საბჭოს, ვენეციის კომისიას და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს.

გუშინ პრეზიდენტმა სააკაშვილმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებზე და დასძინა, რომ ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს ეთნიკური უმცირესობების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის. პრეზიდენტი წინადადებით გამოვიდა, რომ მთავრობამ, სახელმწიფო კანცელარიამ და პარლამენტმა თავიანთი ბიუჯეტის ხუთი პროცენტი ეთნიკური უმცირესობების განათლების, დასაქმებისა და საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის გაიღონ.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, მომავალ წელს განათლების სამინისტრო ათეულობით არაქართველ ახალგაზრდას დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღების საშუალებას მისცემს. ეს მთლიანად სახელმწიფოს ხარჯზე მოხდება. **"მათ უნდა ავუშენოთ საერთო საცხოვრებელი, დავუნიშნოთ სტიპენდია, რომლითაც ნორმალურად იარსებებენ და შემდგომ დავასაქმოთ ისინი სახელმწიფო და სამთავრობო ორგანოებში."**

პრეზიდენტს სიამაყეს და კმაყოფილებას გვრის ის ფაქტი, რომ დღეს ათეულობით ეთნიკური სომეხი მსახურობს ქართულ არმიაში და ეწერება რეზერვისტებში. საქართველოს პრეზიდენტს ერთი მიზანი ამოძრავებს: **"ჩვენ რაც შეიძლება მეტი პატრიოტი და მხარდამჭერი გვჭირდება."**

# კოკოითმა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გაალოცა

*"ვულოცავ საქართველოს დამდეგ 2005 წელს!" - ერთ-ერთი პირველი საახალწლო მილოცვა საქართველოს მოსახლეობამ გუშინ სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითისგან მიიღო. "ასეთ შეხვედრას ნამდვილად არ ველოდი, ამ ეტაპზე კმაყოფილი ვარ," - კოკოითთან შეხვედრის შემდეგ "24 საათთან" საუბარში აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ.*

შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეები გუშინ ცხინვალში, სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტს ედუარდ კოკოითს შეხვდნენ და თბილისის შეხვედრის შედეგები გააცნეს.

როგორც შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ედუარდ კოკოითმა განაცხადა, თბილისში 22-23 დეკემბერს გამართული მოლაპარაკებების შედეგებით იგი კმაყოფილია, თუმცა უკმაყოფილოა ეუთო-ს მისიის წარმომადგენლის, განჩო განჩევის **"არაკოორდინირებული და არაეფექტური"** მუშაობით. კოკოითის თქმით, იგი აუცილებლად დასვამს საკითხს მისი გაწვევის შესახებ.

კოკოითმა კატეგორიულად უარყო გავრცელებული ინფორმაცია ცხინვალის რეგიონში ოსური დივერსიული ჯგუფების არსებობის შესახებ და განაცხადა, რომ ოსურმა მხარემ შეთანხმებების მიხედვით დემილიტარიზაციის პროცესი უკვე დაიწყო.

დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტმა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ თავდაცვის უწყებაში განხორციელებული საკადრო ცვლილებების შესახებ კომენტარი არ გააკეთა და განაცხადა, რომ **"საქართველოს პრეზიდენტის საქმეა, თუ ვის დანიშნავს ძალოვანი უწყების ხელმძღვანელად."**

სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას განცხადებით, მათ **"პრინციპული და კონსტრუქციული საუბარი ჰქონდათ,"** რასაც ის არ ელოდა.

**"ედუარდ კოკოითმა სოჭში მიღწეული შეთანხმების შესრულების სრული მზადყოფნა გამოთქვა. ბორის ჩოჩიევს იქვე დაავალა, რომ შემუშავდეს გეგმა, რათა ყველა მოთხოვნა შესრულდეს. ჩვენ შევთანხმდით, რომ გვექნება კავშირი და ყველა დაბრკოლება, რომელიც შეგვექმნება, უშუალო კავშირით მოგვარდება. ისინი დემილიტარიზაციის პროცესის გასაგრძელებლად მზად არიან,"** - აღნიშნა ხაინდრავამ "24 საათთან" საუბარში.

*24 საათი*

# პუტინის შენიღბული მუქარა

პირველი გვერდიდან

იმედს ვიტოვებ, რომ საუბარი არ არის ბატონი პაატა ზაქარეიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილი "საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ კონცეფცია"-ზე, ვინაიდან: 1. "შეთანხმება კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ", ფედერალური შეთანხმება "აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ" და მათი რეალიზაციის გეგმა არ იძლევა იმის მტკიცე გარანტიას, რომ აფხაზეთი საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში დაბრუნდება და მისი შემადგენელი ნაწილი იქნება, ხოლო ამ გეგმის ჩავარდნამ შეიძლება სამართლებრივად საბოლოოდ მოწყვიტოს აფხაზეთი საქართველოს; 2. აღნიშნული შეთანხმებები არ უზრუნველყოფენ დევნილი მოსახლეობის დაბრუნებას და მის უსაფრთხოებას აფხაზეთში; 3. ფედერალურ ხელშეკრულებაში ჩადებული ნორმები ვერ გახდება აფხაზეთის ერთიან ქართულ კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეში ჩართვის საფუძველი (უფრო დაწვრილებით იხილეთ "24 საათი", 2004 წ. 12 ივლისი).

თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ნებისმიერი კონცეფცია, რაც უნდა სრულყოფილი იყოს, უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში მხოლოდ პროპაგანდისტული დატვირთვის მატარებელი იქნება, რადგან როგორც ჩვენი, ისე ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ სამშვიდობო მოლაპარაკების დროს მხარის წარმატების საწინდარი მის უკან არსებული ძალაა. ხოლო თუ როგორ გამოვიყენებთ საერთოდ ინფორმაციული ზეგავლენის მეთოდებს და "ფსიქოლოგიური პროპაგანდის" საშუალებებს, როგორც აფხაზეთში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, ეს ჩვენს კომპეტენტურობაზეა დამოკიდებული. ამ მხრივ გულწრფელად მივესალმები და წარმატებას ვუსურვებ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ბატონი ირაკლი ალასანიას მცდელობას, "კოორდინაცია გაუწიოს საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა შტოს საინფორმაციო პოლიტიკას". ეს კი, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, იმაზეა დამოკიდებული, რამდენად თანმიმდევრული იქნება საქართველოს პრეზიდენტი თავისი 28 სექტემბრის განცხადების აღსრულებაში: "ალასანია იქნება საქართველოს მთავარი სპიკერი აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით".

ბოლო დროს საკმაოდ ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ პრობლემა ადვილად და მშვიდობიანად მოგვარდება ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის შემთხვევაში. მაგალითად, ბატონი რამაზ საყვარელიძე გარანტიას იძლევა, რომ "თუ საქართველოში ეკონომიკური ცხოვრების დონე მაღალი იქნება - მავთულხლართები და ბარიკადებიც რომ აღვმართოთ ენგურის ხიდთან, აფხაზი მოსახლეობის საქართველოში გადმოდინებას ვერ შევაჩერებთ" და მაგალითად მოჰყავს გერმანიის გაერთიანება. არ ვიცი, რამდენად კორექტულია ეს შედარება, მაგრამ ერთი ცხადია, ჩვენი ეკონომიკის ზრდის ტემპი ორ-სამჯერაც რომ გაიზარდოს, საეჭვოა, 80-იანი წლების დასავლეთ გერმანიის ეკონომიკური განვითარების დონეს 50 წელიწადში მივაღწიოთ. მაგრამ პრობლემა მხოლოდ ეს არ არის: როგორც ადრე ვწერდი, აფხაზებისთვის ცხოვრების დონის საზომს მოსკოვი და სოჭი წარმოადგენს და არა ვოლგისპირეთი. ამიტომ აფხაზებისათვის საქართველო ეკონომიკურად რუსეთზე მიმზიდველი რომ გახდეს, უკეთეს შემთხვევაში ათი წელი მაინც დაგვჭირდება. დრო კი არ ითმენს.

სექტემბრის თვეში "24 საათში" გამოქვეყნებულ სტატიაში აღვნიშნავდი, რომ წარმატებები ჩეჩნეთში საშუალებას მისცემდა რუსეთს, ღიად დაეჭირა მხარი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის "თვითგამორკვევისათვის" და ეს მოვლენები დროში შეიძლება კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობას დამთხვეოდა. როგორც რუსეთის პრეზიდენტის ვ. პუტინის 23 დეკემბრის განცხადებამ ცხადყო, საკითხი საკმაოდ აქტიურად განიხილება არა მარტო რუსი პოლიტოლოგების მიერ, არამედ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებშიც. პუტინმა ხელთათმანი გვესროლა და ფაქტობრივად მიგვანიშნა, რომ არ გამორიცხავს კოსოვოს სცენარის გამეორებას. ახლა პასუხი ჩვენზეა - შევძლებთ თუ არა ეროვნული ენერგიის კონცენტრირებას და გარდატეხის მიღწევას ქართული არმიის აღმშენებლობის საქმეში, გაგვაჩნია თუ არა ეროვნული მუხტი და უნარი ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ჩვენი უსუსურობის შემთხვევაში რუსეთისა და სხვა "კეთილისმყოფელების" მადა აფხაზეთით და სამაჩაბლოთი დაკმაყოფილდება, ძალიან ცდება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბატონი ზურაბ ჟვანიას პარლამენტში გამოსვლა საკმაოდ საინტერესო იყო და დამაჯერებლად ჟღერდა ჩვენი ეკონომიკის პერსპექტივებთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მთავრობას დღემდე არ გააჩნია შეიარაღებული ძალების მშენებლობის ჩამოყალიბებული კონცეფცია. სხვანაირად ძნელია, ახსნა მოეძებნოს ბატონი ზურაბის განცხადებას, რომ ჩვენ გვჭირდება არა უსაშველოდ დიდი, არამედ კომპაქტური არმია, რაც ჩვენთან თანდათანობით დამკვიდრებული იმ აზრის გაგრძელებას წარმოადგენს, რომ "სჯობს გვყავდეს პატარა, მობილური, მაგრამ პროფესიონალი და ღირსეული სამხედრო ძალები". კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო - სამხედრო ძალები ღირსეულად მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნას მიჩნეული, როცა მათ ქვეყნის წინაშე მდგარი სამხედრო ამოცანების გადაწყვეტა შეუძლიათ. ყველა სხვა შემთხვევაში საუბარი შეიძლება იყოს კონკრეტულ სამხედრო შენაერთზე და არა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებზე და მათ ღირსებაზე ("24 საათი", 30 ნოემბერი).

ვერც საქართველოს პრეზიდენტის ბატონი მიხეილ სააკაშვილის 15 დეკემბერს გამოთქმულ აზრს გავიზიარებ: "იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქვეყანაში არავის აინტერესებს ქართული ჯარის ნატოს სტანდარტებზე გადასვლა". მკითხველს მინდა უცვლელად შევთავაზო 28 ოქტომბერს "24 საათში" გამოქვეყნებული სტატიის "ქარიშხალი ჭიქაში" ამონაწერი: "საკომიტეტო მოსმენაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ბატონმა ზ. ნოღაიდელმა განაცხადა: "წელს თავდაცვითი სტრუქტურების დაფინანსებამ მთლიანი შიდა პროდუქტის 0,65 პროცენტი შეადგინა, 2005 წლისათვის ეს მაჩვენებელი ერთ პროცენტს გადააჭარბებს, ორ პროცენტამდე ასვლისათვის კი კიდევ რამდენიმე წელია საჭირო. თუ ნატო-ში მომავალ წელს მიგვიღებენ, ამ პროცესს დავაჩქარებთ და ორპროცენტიან ზღვრამდე ავალთ". უმადურობა იქნება, ვერ შეამჩნიო სხვაობა 67 მილიონსა და 119 მილიონ ლარს შორის, მაგრამ, ვფიქრობ, ერთგვარი ირონია ამ საკითხთან დაკავშირებით უადგილოა, რადგან ბატონმა ზურაბმა შესანიშნავად იცის, რომ სანამ ქვეყანა ტერიტორიულ მთლიანობას არ აღადგენს და მეზობლებთან საზღვრების საკითხს არ დაარეგულირებს, ნატო-ში გაწევრიანებაზე ფიქრიც უიმედო პერსპექტივაა". ამავე დროს, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გამოქვეყნების მომენტიდან მოვუწოდებ ქვეყნის ხელმძღვანელობას: იქნებ ერთად გავიჭირვოთ, რაღაც სამომავლოდ გადავდოთ, რაღაცაზე უარი ვთქვათ და 2005 წელს თავდაცვა 250 მილიონი ლარით, ხოლო უშიშროება 60 მილიონი ლარით დავაფინანსოთ (პირველ რიგში მხედველობაში მქონდა საგარეო დაზვერვა და კონტრდაზვერვა).

მომავალი წლის ბიუჯეტში თავდაცვისათვის 126 მილიონი ლარია გამოყოფილი, ხოლო პრივატიზაციის პროცესიდან მიღებული თანხებიდან მას სავარაუდოდ კიდევ 80 მილიონს დაუმატებენ, მაგრამ არავის უჩნდება კითხვა: თუ შეიარაღებული ძალები მთავარი პრიორიტეტია, თანხა თავიდანვე რატომ არ არის ჩადებული საბიუჯეტო კანონში, რატომ გამოდის ფინანსთა სამინისტრო იმის წინააღმდეგ, რომ 2006 წლიდან მაინც დაკანონდეს თავდაცვისათვის მშპ-ს ორი პროცენტის გამოყოფა და რატომ თვლის, რომ "ასეთი საკანონმდებლო ინიციატივა საბიუჯეტო სისტემას დაანგრევს". ჯარის მშენებლობას თავისი კანონები, სპეციფიკა და ნიუანსები აქვს, ის არ შეიძლება უსაშველოდ გაიწელოს, ამიტომ თუ ქვეყანამ უახლოესი სამი წლის განმავლობაში ამ მიმართულებით ერთი მილიარდი დოლარის მობილიზება ვერ მოახდინა, ყოველგვარი მცდელობა ფუჭად ჩაივლის. ბატონი ირაკლი ოქრუაშვილი უდავოდ ნიჭიერი ადმინისტრატორია და მჯერა, რომ კარგი თავდაცვის მინისტრი იქნება, მაგრამ მისი ჯადოქრობის შესახებ არაფერი მსმენია.

მესმის, რომ სამთავრობო წრეებში შეიძლება გაჩნდეს კითხვა: კი მაგრამ, თქვე ოჯახაშენებულებო, სად იყავით აქამდე, წინა ხელისუფლებას რატომ არ მოსთხოვეთ ჯარის შექმნაო. არ მოვთხოვეთ იმიტომ, რომ მას, ჯერ ერთი, ამის თავი არ ჰქონდა და, მეორეც - ეშინოდა არმიის, სწორედ ამიტომაც სულ იმის მცდელობაში იყო, როგორმე დაებალანსებინა ძალოვანი უწყებები. განვლილმა ერთმა წელმა კი დაგვარწმუნა, რომ გარკვეული ტაქტიკური შეცდომების მიუხედავად, ქვეყნის დღევანდელ ხელმძღვანელობას შესწევს უნარი და ვალდებულიც არის, შექმნას ისეთი შეიარაღებული ძალები, რომლებიც თავს გაართმევენ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რთულ ამოცანას.

დაბოლოს, შეიარაღებული ძალების მშენებლობა და ძლიერი არმია სულაც არ გულისხმობს საკითხის ძალისმიერი გზით გადაწყვეტას, პირიქით, ის აუცილებელი პირობაა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად.

# საგადასახადო ინსპექცია მეწარმეებს 3-4 წელიწადში ერთხელ "შეაწუხებს"

*მომავალი წლიდან მეწარმეები საგადასახადო სამსახურების მიერ ყოველწლიური შემოწმებისგან გათავისუფლდებიან - საგადასახადო ინსპექცია მეწარმე სუბიექტებს 3-4 წელიწადში ერთხელ "შეაწუხებს."*

დიანა ჩაჩუა

**"მომავალ წელს ქვეყნის საგადასახადო ორგანოებს ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით მოუწევთ მუშაობა. აქედან გამომდინარე, საგადასახადო დეპარტამენტი გადამხდელსა და საგადასახადო ინსპექტორს შორის ურთიერთობას მნიშვნელოვნად გაამარტივებს,"** - განაცხადა საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით გალეგაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე და იქვე დაამატა, რომ **"დამკვიდრებული პრაქტიკისგან განსხვავებით, როცა თითქმის ყველა გადამხდელი ყოველწლიურად მოწმდებოდა, მომავალ წელს დროის ასეთ მონაკვეთში საგადასახადო კონტროლს მხოლოდ ის ობიექტები დაექვემდებარებიან, რომლებიც მაღალი რისკის ზონაში იმყოფებიან."**

ამას გარდა, ახალი წლიდან საგადასახადო დეპარტამენტი გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ინსპექტორს შორის ურთიერთობების კიდევ უფრო გამარტივებას შეეცდება. საგადასახადო ინსპექციები გადასახადის გადამხდელებს გაუმჯობესებულ მომსახურებას შესთავაზებს - მეწარმე სუბიექტებისთვის სემინარებისა და კონსულტაციების გამართვით გადამხდელებს გადასახადის ნებაყოფლობით გადახდასა და კანონმორჩილებას შეასწავლის.

გალეგაშვილის თქმით, 2005 წლის დასაწყისში დაიწყება და მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება გადამხდელთა ხელახალი რეგისტრაციის კამპანია. გადამხდელებს, დღეისათვის არსებული 10 დოკუმენტის ნაცვლად, მხოლოდ ერთის შევსება მოუწევთ და მუშაობა სრული კომპიუტერიზაციის პირობებში წარიმართება.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე აქციზის სამსახურის უფროსმა დავით გიორგაძემ სიგარეტის ადგილობრივი მწარმოებლები კიდევ ერთხელ გააფრთხილა, რომ უფილტრო სიგარეტის არასწორად მარკირების შემთხვევაში, პროდუქცია სამომხმარებლო ბაზრიდან ამოღებული იქნება. მისი თქმით, იმ პირებზე, ვინც ამ საქონლის რეალიზაციას და გავრცელებას მოახდენს, კანონით დადგენილი ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გავრცელდება. ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებასთან ერთად კი, სახელმწიფო ბიუჯეტში აქციზის გადასახადის მოქცევის გაზრდის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი ამ კუთხით მონიტორინგს კიდევ უფრო გაამკაცრებს. ცნობისათვის, ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, უფილტრო სიგარეტზე აქციზის გადასახადი 10-დან 15 თეთრამდე გაძვირდება.

უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო დეპარტამენტმა წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და გასულ წელთან შედარებით, ბიუჯეტში 400 მლნ ლარით მეტი თანხის მობილიზება შეძლო. გალეგაშვილის თქმით, გასული წლების პერიოდში წარმოებული ყალბი აქტივებისა და ფიქტიური ოპერაციებით ბიუჯეტისთვის მიყენებული ზარალი საგადასახადო სამსახურმა 200 მლნ ლარით შეამცირა და ბიუჯეტის სასარგებლოდ ჩარიცხა.

გუშინვე, პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება გადამხდელთა და საზოგადოების ინფორმირების საკითხს დაეთმობა. ამ მიზნით, 2004 წლის ცხრა თვის შედეგების მიხედვით უკვე გამოიცა სტატისტიკური ბიულეტენი საგადასახადო შემოსავლების შესახებ, რისი გამოცემა მომავალ წელსაც გაგრძელდება.

# სოროსის ფონდი ბიზნესმენებთან აქტიურ თანამშრომლობას იწყებს

*ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" და ბიზნესმენები გუშინ ერთ მაგიდას მიუსხდნენ და მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივებზეც შეთანხმდნენ. შეხვედრაზე თანამშრომლობის რამდენიმე ვერსია განიხილეს. ერთ-ერთი ვარიანტით, ფონდი და ბიზნესმენები კონკურსების ჩატარებაზე ერთობლივი ძალებით იმუშავებენ. კერძოდ, კონკურსების ადმინისტრირებას ფონდი უზრუნველყოფს, გამარჯვებულ პროექტს კი ბიზნესჯგუფები დააფინანსებენ.*

სოფიკო ოხანაშვილი

ბიზნესმენებმა ფონდის გავლით საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელებაზეც თანხმობა განაცხადეს. სქემა მარტივია - ბიზნესჯგუფი, რომელსაც საქველმოქმედო საქმიანობის დაფინანსება უნდა, თანხას გადარიცხავს ფონდში (რომელსაც საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებლად საქველმოქმდო ორგანიზაციის სტატუსი უნდა ჰქონდეს), საიდანაც თანხები საჭიროების მიხედვით და საქველმოქმედო კანონმდებლობით განსაზღვრულ და გაწერილ მიმართულებებზე გაიცემა. აქცენტი განვითარებად და არა ერთჯერად დახმარებებზე გაკეთდება.

**"თუ ჩვენ მიერ გაწეულ საქმიანობას რაიმე სტიმული ექნება, ჩვენ თანამშრომლობისთვის მზად ვართ,"** - განაცხადა "ბორჯომი ვოთერს ჯგუფის" დირექტორის მოადგილემ ბადრი ჯაფარიძემ. სტიმული კი, ახალი საგადასახადო კოდექსით, არცთუ ისე დიდია. შეხვედრის მონაწილეების შეფასებით, ახალ საგადასახადო კოდექსში გათვალისწინებული შეღავათები ბიზნესმენებს არც ისე შეღავათიან გარემოს უქმნიან. ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად, ორგანიზაციას საქველმოქმედო საქმიანობისთვის დაუბეგრავად წმინდა მოგების მხოლოდ რვა პროცენტის გაღება შეუძლია. თუ საქველმოქმედო საქმიანობისთვის გაწეული ხარჯები წმინდა მოგების რვა პროცენტს გადააჭარბებს, ის ჩვეულებრივ რეჟიმში დაიბეგრება. ეს შეღავათიც მხოლოდ იმ შემთხვევებზე ვრცელდება, როცა დონორი ორგანიზაცია საქველმოქმედო საქმიანობას საქველმოქმედო ორგანიზაციის შუამავლობით ახორციელებს. იმ შემთხვევაში კი, თუ ორგანიზაცია პირდაპირ (საქველმოქმდო ორგანიზაციისგან დამოუკიდებლად) გასწევს საქველმოქმედო საქმიანობას, მასზე რვაპროცენტიანი შეღავათი არ გავრცელდება.

შეთანხმების თანახმად, ბიზნესჯგუფები ასევე მზად არიან დააფინანსონ სტუდენტების ნაწილის სწავლება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. კონკურსების მსგავსად, ამ პროგრამასაც ადმინისტრირებას ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" გაუწევს.

გუშინდელი შეხვედრა წარმატებული აღმოჩნდა. მხარეების თანამშრომლობაზე შეთანხმება მიღწეულია, ახლა მხოლოდ დეტალების დაზუსტება და ტექნიკური სამუშაოღა დარჩა.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით, თბილისის მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ბირჟაზე მორიგი საბირჟო აუქციონი, ამერიკული ჰუმანიტარული ხორბლის რეალიზაციის მიზნით, პარასკევს იმართება. როგორც პრაიმ-ნიუსს თბილისის მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ბირჟიდან აცნობეს, ბირჟაზე 3500 ტონა ხორბალი გაიყიდება და იგი სხვადასხვა წისქვილქარხნებზე მოთხოვნილების შესაბამისად გადანაწილდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჭიათურის მაჟორიტარი დეპუტატი თენგიზ მოცრაძე "ჭიათურმანგანუმისა და "ვარციხეჰესის" ერთ პაკეტად პრივატიზაციას აპროტესტებს. როგორც მოცრაძემ დღეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, "ვარციხეჰესისა" და "ჭიათურმანგანუმის" პრივატიზაცია "აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს, რათა ჭიათურამ იცოდეს, რა თანხა შევა ადგილობრივ ბიუჯეტში ამ ორი ობიექტის პრივატიზაციიდან" ამასთან, დეპუტატის აზრით, როგორც პრეზიდენტმა, ისე პარლამენტმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ იმ გარემოებას, რომ "ჭიათურმანგანუმი" ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტია და პრივატიზაციაში მონაწილე ყველა ფირმას ადგილობრივი მოსახლეობისთვის კომპენსაციის გაცემის ვალდებულება უნდა დააკისრონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რეგიონული კონფერენცია სახელწოდებით "ვაჭრობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში" "საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" ინიციატივით პარასკევს, სასტუმრო "თბილისი-მარიოტში" მოეწყო. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის სამთავრობო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. კონფერენციის მონაწილეებმა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავების ხელშემშლელ ფაქტორებზე ისაუბრეს. კერძოდ, სამივე ქვეყნის კანონმდებლობაში არსებულ განსხვავებებზე, რაც სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას ხელს უშლის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეროვნულ ბანკს მომავალი წლიდან ორმხრივი სავალუტო ინტერვენციების განხორციელების უფლება მიეცა. პარლამენტმა დღეს 2005 წლის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები დაამტკიცა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, მომავალ წელს ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე, დოლარის ყიდვის გარდა, გაყიდვის ოპერაციებიც აწარმოოს. ამით ეროვნულ ბანკს შესაძლებლობა მიეცემა, ლარის კურსის სტაბილურობაზე გავლენა მოახდინოს. **ინტერ-პრესი**

# შევარდნაძის ყოფილი რეზიდენცია პრეზიდენტის ახალი რეზიდენციის მშენებლობას დააფინანსებს

ეთერ მამულაშვილი

*ყველაზე მსხვილი გარიგება საქართველოს უძრავი ქონების ისტორიაში - ასე შეაფასა ეკონომიკის ყოფილმა და ახლა უკვე სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის გაყიდვა. მინისტრისვე ინფორმაციით, ამ კონტრაქტით მიღებული შემოსავალი პრივატიზების ისტორიაში რიგით მეხუთე იქნება.*



ვახო ბესელიას ფოტო

*აქ მალე მრავალფუნქციური თანამედროვე ტიპის კომპლექსი გაშენდება.*

თუმცა, თუ დღემდე სახელმწიფო ქონების გაყიდვიდან შემოსავლები ბიუჯეტში ირიცხებოდა, კრწანისის უკვე ყოფილი სამთავრობო რეზიდენციის კომპლექსიდან მიღებული თანხა მთლიანად პრეზიდენტის ახალი რეზიდენციის მშენებლობას მოხმარდება.

გუშინ რეზიდენციის წინ გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე, ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე ნათია თურნავა კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ პრეზიდენტის ახალი რეზიდენციის მშენებლობაზე ბიუჯეტიდან არც ერთი თეთრი არ დაიხარჯება. თუმცა იმით, რომ კრწანისის რეზიდენციის პრივატიზაციიდან შემოსული ფული ახალი რეზიდენციის მშენებლობისთვის ბიუჯეტის გავლის გარეშე დაიხარჯება, რატომღაც გვგონია, რომ ჯამი - ანუ სახელმწიფოს ჯიბიდან ამ მშენებლობისთვის დახარჯული თანხის ოდენობა სულაც არ იცვლება.

კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის კომპლექსი, რომელიც 10 კოტეჯს მოიცავს, 44 ჰექტარ მიწის ფართობზეა განლაგებული. ამერიკული კომპანია ექსპრეზიდენტ შევარდნაძის ამ ყოფილ საცხოვრებელში 15 მილიონ ამერიკულ დოლარს იხდის, საიდანაც 2 მილიონი დოლარი მყიდველმა უახლოეს ერთ კვირაში უნდა გადაიხადოს. დანარჩენი 13 მილიონი კი, ხელშეკრულების თანახმად, ცხრა თვის განმავლობაში უნდა დაფაროს. ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ირწმუნებიან, რომ ინვესტორის მოძიების პროცესში რამდენიმე წინადადება იხილებოდა, მათ შორის, 3 და 12 მილიონი დოლარის ღირებულების.

რეზიდენციის ახალმა მფლობელებმა ბარი სეპტიმუსმა (Creative Production Inc) და რონალდ ვოლდმანმა (Basel Group LLC), რომლებიც აშშ-ს უძრავი ქონების ოპერაციებით დაკავებული კომპანიების ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ კონსორციუმს წარმოადგენენ, გუშინ ჟურნალისტებისთვის გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე საქართველოში საკუთარი მოღვაწეობის სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. მათი თქმით, ყოფილი სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე მრავალფუნქციური თანამედროვე ტიპის კომპლექსი გაშენდება. **"სასტუმროები, გასართობი და დასასვენებელი კომპლექსები, საცხოვრებელი სახლები და ოფისები,"** - განაცხადა რონალდ ვოლდმანმა. მისივე ინფორმაციით, დაგეგმითი სამუშაოები მომავალი წლის იანვრიდან დაიწყება, ხოლო სამშენებლო სამუშაოები - ცოტა უფრო მოგვიანებით. რონალდ ვოლდმანი და ბარი სეპტიმუსი არ აკონკრეტებენ, რა მოცულობის ინვესტიციების განხორციელებას აპირებენ საქართველოში, თუმცა კახა ბენდუქიძის ინფორმაციით, საუბარი ასეული მილიონი დოლარის ინვესტიციებზე უნდა იყოს. **"ფაქტობრივად, ეს იქნება მაღალი დონის პატარა, მინი ქალაქი, სადაც მხოლოდ ძალიან შეძლებული ადამიანები იცხოვრებენ,"** - დასძენს ბენდუქიძე, რომელიც ამერიკელ ინვესტორებთან მიღწეული შეთანხმებით ძალიან კმაყოფილია.

"24 საათის" კითხვაზე, თუ საიდან ჰქონდათ ინვესტორებს ინფორმაცია გასაყიდი ობიექტის შესახებ, ბარი სეპტიმუსი პასუხობს, რომ **"ეს ღია ინფორმაცია იყო."** თუმცა, ფაქტია, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სადაც პერიოდულად ქვეყნდება გასაყიდი და გაყიდული სახელმწიფო ქონების შესახებ ინფორმაცია, კრწანისის რეზიდენციის თაობაზე ინფორმაცია გუშინდელ დღემდე არ გამოქვეყნებულა.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში კი თავს იმით იმართლებენ, რომ კრწანისის კომპლექსის სამომავლო პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილება მთავრობის მიერ, საჯაროდ, მიმდინარე წლის სექტემბერში, სასტუმრო "შერატონ-მეტეხი პალასში" საგადასახადო კოდექსის პრეზენტაციაზე გაცხადდა. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ამის შემდეგ რეზიდენციის გაყიდვასთან დაკავშირებით საჯარო და მეტი დეტალური ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა.

ბარი სეპტიმუსმა და რონალდ ვოლდმანმა ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოში საკუთარი ერთობლივი საწარმო - შპს. "ბაზელი" დააფუძნეს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კრწანისის რეზიდენციის შეძენაში და როგორც კახა ბენდუქიძე ამბობს, ხსენებული ბიზნესჯგუფი მონაწილეობას მიიღებს სხვა სამშენებლო-საინვესტიციო პროექტებში.

კრწანისის სამთავრობო რეზიდენცია ყოფილი სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ბალანსზე ირიცხებოდა. სამსახურის ლიკვიდაციის შემდეგ, სპეციალური სალიკვიდაციო კომიტეტი, ბოლო თვეების განმავლობაში, დარჩენილი ქონების ინვენტარიზაციას ახდენდა, რის შედეგადაც გაირკვა, რომ ხსენებული რეზიდენცია 2 მილიონ 300 ათასად ფასობდა. რაც შეეხება ყოფილი სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ბალანსზე მყოფ დანარჩენ ქონებას, ბენდუქიძის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში ისინიც პრივატიზაციას დაექვემდებარებიან. გამონაკლისი იქნება მხოლოდ ბობოყვათის, წინანდლისა და ბორჯომის რეზიდენციები, რომლებიც გაურკვეველვადამდე სახელმწიფო საკუთრებაში რჩებიან.

# კომპანია "კნაუფი" საქართველოში ქარხნის აშენებას გეგმავს

დიანა ჩაჩუა

გუშინ, სასტუმრო "კოპალაში" საქართველოში გერმანული კომპანია "კნაუფის" რეგიონულმა წარმომადგენლობამ და მისმა სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების დილერმა, სერვის-ცენტრმა "მეტეხი" საქართველოში მომუშავე სამშენებლო კომპანიებისთვის და არქიტექტორებისთვის ერთდღიანი გაცნობითი სემინარი მოაწყო. გერმანული კომპანია, რომელიც სამშენებლო პრაქტიკაში მშრალი სამშენებლო და მოსაპირკეთებელი სისტემების დანერგვითაა დაკავებული, იგივეს განხორციელებას საქართველოშიც გეგმავს. სწორედ ეს წარმოადგენდა გუშინ გამართული ღონისძიების მიზანს.

**"ჩვენ მიერ შეთავაზებულ სამშენებლო სისტემას მთელი რიგი უპირატესობები გააჩნია. კერძოდ, ესაა ცეცხლმედეგობა, თბომედეგობა, სეისმომედეგობა, ხმის იზოლირების საუკეთესო გადაწყვეტა, ეკოლოგიური სისუფთავის ფაქტორი, სამუშაოების სწრაფად და სამშენებლო ნარჩენების გარეშე შესრულების საშუალება. ამასთან, ინტერიერის ამ სისტემით მოწყობა 40-45 პროცენტის ენერგოეკონომიას იძლევა,"** - განაცხადეს "კნაუფის" წარმომადგენლობაში.

თავად სემინარზე დამსწრე არქიტექტორებიც დაეთანხმნენ გერმანული კომპანიის შეფასებებს. როგორც თბილისის ყოფილმა მთავარმა მხატვარმა დიმიტრი მოსულიშვილმა განაცხადა, მისთვის განსაკუთრებით ყურადღების მიმპყრობია კომპანიის დახვეწილი ტექნოლოგია, **"არც კი ვიცი, დღეს საქართველოში ამ კომპანიას კონკურენტი თუ ჰყავს,"** - დაამატა მან.

"კნაუფის" წარმომადგენლობასა და სერვის-ცენტრ "მეტეხში" მიაჩნიათ, რომ საქართველოში სამშენებლო ბუმი გარდაუვალია, ამ პროცესში კი მუყაო-თაბაშირის კონსტრუქციების ალტერნატივა ძნელად მოიძებნება. ამასთან, თბილისში უკვე ფუნქციონირებს სერვის-ცენტრ "მეტეხის" მიერ გახსნილი მაღაზია, სადაც "კნაუფის" პროდუქციის ყიდვა შესაძლებელია.

**"ბაზარზე მუყაო-თაბაშირის კონსტრუქციებზე მოთხოვნის ზრდის კვალდაკვალ, გერმანული კომპანია საქართველოში სპეციალიზებული ქარხნის აგებაზე იფიქრებს, რომელიც ამიერკავკასიის ბაზარს სრულად დააკმაყოფილებს,"** - განაცხადა "კნაუფის" რეგიონულმა წარმომადგენელმა გია ჯაფარიძემ.

შეხვედრას სიურპრიზების გარეშე არ ჩაუვლია. სემინარის ბოლოს ჟურნალმა "სტილმა" "კნაუფის" სისტემის ყველაზე კარგად გამოყენებისთვის ქართველი არქიტექტორები ფულადი პრიზებით დააჯილდოვა.

# აშშ-ში ნავთობი გაიაფდა

*ნავთობის ფასი ამერიკულ სავაჭრო ბირჟებზე მკვეთრად დაეცა. მსოფლიო ბაზარი კვლავ ტექნიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული. ინვესტორები კი, არსებულ ცვალებად პერიოდში, საკუთარი საბოლოო სტრატეგიის შემუშავებას კვლავაც ვერ ახერხებენ.*

ამერიკის სავაჭრო ბირჟებზე ნავთობზე ფასი მას შემდეგ დაეცა, რაც აშშ-ს მთავრობამ გასული კვირის ნავთობის მარაგის მონაცემები გამოაქვეყნა. შედეგად, "ბრენტის" სახის ნავთობის ფასი 1,73 დოლარით დაეცა და 40,64 დოლარი შეადგინა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის სავაჭრო მარაგების შესახებ სტატისტიკა ყოველთვის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო ბაზარზე. თუმცა, ამ ფაქტორის განსაკუთრებულობა იმაში გამოიხატება, რომ მას მოქმედების საკმაოდ შეზღუდული ვადები გააჩნია.

**"ვფიქრობ, ბაზარს მეტისმეტად მკვეთრი რეაქცია ჰქონდა. ვაჭრობის მოცულობა უმნიშვნელო იყო. ხალხი კვლავ თვალს ადევნებს ამინდის პროგნოზებს და შიშობენ, რომ ბინ ლადენი შობის პერიოდში რაიმეს გეგმავს,"** - განაცხადა ერთ-ერთმა დასავლელმა ბროკერმა.

ამჟამად, ამერიკის ჩრდილო-დასავლეთით თბილი ამინდებია, რაც ნავთობის კოტირების შემცირებას უწყობს ხელს. თუმცა, სინოპტიკოსები მკვეთრ აციებას წინასწარმეტყველებენ. ნავთობის ფასის ცვლილებაზე გავლენა იმანაც იქონია, რომ ბაზარი შეშფოთებულია რუსეთში მიმდინარე მოვლენებით, კერძოდ კი - "იუკოსის" ფინანსური პრობლემებით.

**"უახლოეს მომავალში, ბრენტის სახის ნავთობის ფასი 35-40 დოლარის ფარგლებშია ნავარაუდევი. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში ბარელის ფასი 25 დოლარი იქნება. ჩემი აზრით, კონსერვატიული პროგნოზები დღეისათვის გამართლდა - მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური რისკების უგულებელყოფა კვლავაც არ შეიძლება,"** - მიიჩნევს "რენესანს-კაპიტალის" ანალიტიკოსი ელენა სავჩიკი.

# "MICROSOFT"-ს საფრთხე ემუქრება

*პირველი ინსტანციის ევროპის სასამართლომ უარი თქვა "Microsoft"-ის თხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომელიც ევროკომისიის გადაწყვეტილების გადავადებას გულისხმობდა. სასამართლოსთვის კომპანიის არგუმენტაცია დამაჯერებელი არ აღმოჩნდა.*

საქმე ის არის, რომ ამერიკის კომპიუტერულმა გიგანტმა "Microsoft"-მა ევროპის სასამართლოს თხოვნით მიმართა, რათა მას ევროკომისიის ის გადაწყვეტილება გადაევადებინა, რომელიც ამერიკული გიგანტის მიერ მისი კონკურენტი კომპანიებისთვის "Windows"-ის ზოგიერთი ტექნოლოგიური საიდუმლოების გამჟღავნებას და ოპერაციულ ბაზარზე მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისთვის უმაღლესი ჯარიმის - 613 მილიონი დოლარის გადახდას გულისხმობდა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ არ დააკმაყოფილა "Microsoft"-ის სარჩელი, კომპანია იმედს არ კარგავს, რომ ევროკომისიასთან მოლაპარაკებას შეძლებს.

ამერიკული კომპიუტერული კომპანიის აზრით, ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება მათთვის სერიოზულ შედეგებს გამოიწვევს. თუმცა, სასამართლო თვლის, რომ მათი გადაწყვეტილება "Microsoft"-ს აუნაზღაურებელ ზარალს არ მიაყენებს. **"კომპანიამ ვერ წარმოადგინა დამაჯერებელი არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ევროკომისის გადაწყვეტილების აღსრულება მას სერიოზულ და გამოუსწორებელ საფრთხეს შეუქმნის. ამიტომაც "Microsoft"-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდება,"** - ნათქვამია სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

ამასთან, პირველი ინსტანციის ევროპის სასამართლო ეროკავშირისთვის მნიშვნელობით მეორეა. ამიტომაც "Microsoft"-ს უფრო მაღალი ინსტანციის ევროპული სასამართლოსთვის მიმართვა შეუძლია. ამასობაში კი დროც გაიწელება, რადგან აპელაციის განხილვას დაახლოებით ხუთი წელი სჭირდება.

**"ვიმედოვნებთ, რომ სასამართლოში განხილული საკითხები მხარეებს საშუალებას მისცემს, სიტუაცია განიხილონ და გამოსავალი იპოვონ,"** - ნათქვამია ამერიკული კომპიუტერული გიგანტის ოფიციალურ განცხადებაში.

*მოამზადა დიანა ჩაჩუამ*

# რამსფელდის მოულოდნელი ვიზიტი ერაყში

აშშ-ს თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი მოულოდნელად ჩაფრინდა ერაყში, ქალაქ მოსულთან მდებარე ამერიკულ სამხედრო ბაზაში. სწორედ იქ, სადაც რამდენიმე დღის წინ კამიკაძის მიერ მომხდარი აფეთქების შედეგად 22 ადამიანი დაიღუპა.

ბაზაში ჩასული რამსფელდი, პირველ რიგში, ჰოსპიტალში გაემართა, სადაც აფეთქების დროს დაჭრილები არიან მოთავსებულები. "მინდა მადლობა გადავუხადო ჯარისკაცებს და ბედნიერი შობა ვუსურვო," - განაცხადა აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა. აფეთქების შედეგად დაიღუპა 13 ამერიკელი სამხედრო, ხუთი სამოქალაქო სპეციალისტი და ოთხი ერაყელი. ამერიკელი სამხედროები ფიქრობენ, რომ ტერორისტმა-კამიკაძემ სამხედრო ბაზაში შეუმჩნევლად შეაღწია ამერიკული სამხედრო ფორმის ჩასაცმელად. ბაზა მოსულის აეროპორტის ტერიტორიაზეა განლაგებული. მისი ინფრასტრუქტურით სარგებლობენ როგორც სამხედროები, აგრეთვე სამოქალაქო ორგანიზაციათა თანამშრომლები. ახლახანს რამსფელდი მკვეთრად გააკრიტიკეს იმ ადამიანების სიკვდილის გამო, რომლებიც ამერიკულ სამხედრო ბაზაზე იმყოფებოდნენ. პენტაგონში გამართულ ბრიფინგზე ჟურნალისტები რამსფელდს ეკითხებოდნენ, როგორ შეიძლებოდა უშიშროების სისტემას მსგავსი გაუმართაობა დაეშვა. პასუხად მან მხოლოდ მწუხარება გამოთქვა.



*დონალდ რამსფელდი ქალაქ მოსულთან მდებარე ამერიკულ სამხედრო ბაზაში.*

# უკან სამშობლოში

## რუსი სპეცაგენტები კატარიდან შინ დაბრუნდნენ

*კატარის ციხეში რამდენიმეთვიანი პატიმრობის შემდეგ, სასჯელის სამშობლოში მოსახდელად დაბრუნებულ რუსეთის სამხედრო დაზვერვის ოფიცრებს მოსკოვში დიდი პატივით დახვდნენ. "ოფიცრების ჩამოსაყვანად დოჰაში ისეთი თვითმფრინავი გაგზავნეს, როგორიც რუს უმაღლესი თანამდებობის პირებს ემსახურება, ხოლო ტრაპზე ხალიჩის ბილიკი იყო გაშლილი, - თავად ეს ფაქტებიც ბევრის შესახებ მეტყველებს," - წერდა რუსული გამოცემა "გაზეტა".*

გასული დღეების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა რუსულ პოლიტიკურ ცხოვრებაში (ბუნებრივია, ვლადიმირ პუტინის "რეზონანსულ" წლის შემაჯამებელი პრესკონფერენციის შემდეგ), უდავოდ, კატარში გასამართლებული რუსი მზვერავების სამშობლოში დაბრუნება იყო. ყოველ შემთხვევაში, ასე აღიქვეს იგი რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა. ხუთშაბათს "ვნუკოვო-2"-ის საერთაშორისო აეროპორტში "კატარელ ტუსაღებს" ზეიმით ხვდებოდნენ.

ანატოლი ბელაშკოვი და ვასილი ბოგაჩოვი 2004 წლის 30 ივნისს კატარის სასამართლომ გაასამართლა და იჩქერიის ყოფილი პრეზიდენტის ზელიმხან იანდარბიევის მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა (შეგახსენებთ, ზელიმხან იანდარბიევი ტერაქტის შედეგად 2004 წლის 13 თებერვალს დაიღუპა დოჰაში). საინტერესოა, რომ მაშინ რუსი ოფიცრები ლამის სიკვდილით დასაჯეს (სწორედ ასეთ სასჯელს ითვალისწინებს კატარის კანონმდებლობით ტერაქტის განხორციელება). ისინი მხოლოდ რუსეთიდან გაგზავნილმა ადვოკატებმა და, ალბათ, უფრო მეტად, კრემლის დაუფარავმა ჩარევამ გადაარჩინა.

თავიდანვე აშკარა იყო, რომ ზელიმხან იანდარბიევის დაღუპვა სულაც არ იყო კრიმინალებს შორის რიგითი გარჩევის შედეგი, როგორც ამას რუსული პრესა და ტელევიზია ცდილობდა წარმოეჩინა. კატარის სამართალდამცავებმა მალევე გახსნეს ეს დანაშაული და ექვმიტანილებიც დააპატიმრეს. როგორც მოსალოდნელი იყო, დანაშაულის კვალი რუსეთისკენ მიდიოდა. სხვათა შორის, თავდაპირველად დაკავებულთა შორის რუსეთის საელჩოს თანამშრომელიც იყო, რომელიც მოგვიანებით დიპლომატიური ხელშეუხებლობის გამო გაათავისუფლეს. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ისე დაიძაბა, რომ მოსკოვმა, სანაცვლოდ, კატარის მოქალაქეები "აიყვანა მძევლად" (არაბების დაკავების მიზეზი ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ შეთითხნილი იყო). საბოლოო ჯამში, რუსი დიპლომატების მცდელობის შედეგად შეთანხება მიღწეული იქნა და მოსკოვში დაკავებული კატარელების სანაცვლოდ, არაბულმა სასამართლომ რუსი მზვერავები სიკვდილით აღარ დასაჯა. მეტიც, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ სპეცაგენტებს უმაღლესი სასჯელი აცდათ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი რიგის ამოცანა, ნებისმიერი საშუალებით მათი სამშობლოში დაბრუნება გახდა. ამის შესახებ რუსი დიპლომატებს არც დაუმალავთ და არაერთხელ გააკეთეს განცხადება.

როგორც ჩანს, რუსების ძალისხმევამ შედეგი გამოიღო. გავრცელებული ინფორმაციით, ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული იქნა წერილობით შეთანხმება კატარის საგარეო საქმეთა მინისტრსა და რუსულ მხარეს შორის. თავიდანვე ნათელი იყო, რომ კატარის ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობების გაფუჭებას გაურბოდა, თუმცა, იანდარბიევის მკვლელების გათავისუფლებით იგი ისლამური სამყაროს რისხვას დაიმსახურებდა. საბოლოო ჯამში, ორივე მხარისთვის მისაღები გამოსავალი გაერო-ს რეკომენდაციის შესრულება აღმოჩნდა, რომლის თანახმადაც პატიმარს უფლება აქვს, სასჯელი ნაცნობ საზოგადოებრივ-კულტურულ გარემოში მოიხადოს. კერძოდ, რუსი პატიმრების ადვოკატები ამტკიცებდნენ, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფებს არ ეძლეოდათ ქრისტიანული წესჩვეულებების განხორციელების შესაძლებლობა. კატარის ხელისუფლებამ რუსეთის თხოვნა დააკმაყოფილა და მსჯავრდებულებს სამშობლოში დაბრუნების ნება დართო, რათა სასჯელის დარჩენილი ვადა რუსეთის ციხეში მოიხადონ.

ნიშანდობლივია, რომ ანატოლი ბელაშკოვი და ვასილი ბოგაჩოვი რუსეთის დედაქალაქში ავიაკომპანია "როსიას" სპეცრეისით ჩაიყვანეს. მათთან ერთად კატარიდან დაბრუნდნენ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი იგორ ივანოვი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრ სალტანოვი. როგორც "ეხო მოსკვი" იუწყება, ივანოვმა კატარის დედაქალაქ დოჰაში რამდენიმე დღე გაატარა.

ძნელი სათქმელია, როგორ იქნა მიღწეული ასეთი შეთანხმება. ერთი ცხადია, რომ ეს უფრო პოლიტიკური აქტი იყო, ვიდრე სამართლებრივი. ახლა კი ორი რუსი მზვერავის მიერ სასჯელის სრულად მოხდას (იმ შემთხვევაში, თუ კატარის ამირამ ისინი არ შეიწყალა) გაერო-ს სპეციალური კომისია გაუწევს მეთვალყურეობას. თუმცა, მათი პატიმრობის წლები არცთუ მძიმე პირობებში ჩაივლის.

*24 საათი*

# ირონიული გამოხმაურებები უცხოურ პრესაში

რუსეთის პრეზიდენტის შემაჯამებელ წლიურ ანგარიშს, რომელიც სამი საათი და სამი წუთი გაგრძელდა, მსოფლიოში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ეს მოსალოდნელიც იყო, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ პუტინის ორაზროვან და აგრესიულ კომენტარებს. სხვადასხვა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ პუტინის გამოსვლა, ზოგადად, აგრესიულად შეფასდა. თუმცა, აღმოსავლეთსა და დასავლეთში რუსეთის პრეზიდენტის თავშეუკავებელ და ორაზროვან განცხადებებს მაინც მეტ-ნაკლები სიმწვავით გამოეხმაურნენ. ყველაზე ხმაურიანი იაპონიისათვის კურილიის კუნძულების გადაცემაზე, უკრაინასთან დაკავშირებით "სიონისტურ" ლოზუნგებსა და "იუგანსკნეფტეგაზ"-ზე გაკეთებული განცხადებები აღმოჩნდა. ერთ-ერთი იაპონური სააგენტოს წარმომადგენლის კითხვაზე, რამდენად მისაღები იყო ვლადიმირ პუტინისათვის ტერიტორიულ საკითხებში კომპრომისი (1956 წელს იაპონია-სსრკ-ს მიერ რატიფიცირებული დეკლარაციის შესაბამისად იაპონიისათვის 4 კუნძულის გადაცემა), რუსეთის პრეზიდენტის პასუხი იაპონიისათვის არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. "მე, როგორც იურიდიული განათლების მქონე, თქვენს ყურადღებას საკითხის ფორმულირებას მივაქცევ. 1956 წლის დეკლარაციაში, რომელიც ორივე მხარის მიერაა რატიფიცირებული, ლაპარაკია მხოლოდ 2 კუნძულის გადაცემაზე, მაგრამ არაფერია ნათქვამი აღნიშნული კუნძულების გადაცემის პირობებზე, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, თუ ვისი სუვერენიტეტი უნდა გავრცელდეს ამ ტერიტორიაზე", თქვა პუტინმა. მის განცხადებას იაპონიის ხელისუფლების მხრიდან საპასუხო რეაქცია მეორე დღესვე მოჰყვა. იაპონიის პრემიერ-მინისტრის ძუინიშირო კოიძუმის განცხადებით, მისთვის გაუგებარია რუსეთის პოზიციის ცვალებადობა. თანამემამულის აზრს იზიარებს იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ნობუტაკა მატიმურაც. მან აღნიშნა, რომ "რუსეთის მეთაურის განცხადება იმ პოზიციიდან გადახვევაა, რომელიც ოფიციალურ მოსკოვს ადრე ეკავა". იაპონური პრესა არ გამორიცხავს 2005 წელს იაპონიაში დაგეგმილი პუტინის ვიზიტის გადადებასაც.

არანაკლები რეზონანსი მოჰყვა პუტინის მიერ უკრაინასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებსაც. ვიქტორ იუშჩენკოს გამარჯვების შემთხვევაში თანამშრომლობისათვის მზადყოფნის პარალელურად პუტინმა "სიონისტურ ძალებზე" გაამახვილა ყურადღება. მოგვიანებით პრეზიდენტის ხისტი განცხადების შესარბილებლად კრემლის ვებ-გვერდზე გაჩნდა მინიშნება, რომ პუტინი "სიონისტური" მისწრაფებების ქვეშ თურმე "ანტისემიტურს" გულისხმობდა. მიუხედავად იმისა, ფროიდისეული გამონათქვამი იყო ეს თუ შემთხვევითი შეცდომა, ფაქტია, რომ "იერუსალიმ პოსტი"-საგან ამას დაუყოვნებლივი რეაქცია მოჰყვა და პუტინის მწვავე ტონი დიპლომატიურ დაუდევრობად შეფასდა. ადგილობრივ გაზეთთან შედარებით შეფასებაში უფრო ლოიალური იყო დიასპორის საკითხებში ისრაელის მინისტრი ნათან შარანსკი. მან პუტინის განცხადებას უფრო გამონათქვამი უწოდა და არა ანტიებრაული განწყობილების გამოხატვა. შარანსკის თქმით, პუტინს სიტყვა "სიონისტურის" გამოყენებით პროდასავლური კანდიდატის იუშჩენკოს მისამართით მწვავე შეფასების გამოთქმა სურდა. "როგორც ჩანს, იგი სიტყვა "სიონისტურს" ქვეცნობიერად უარყოფით გამოთქმად აღიქვამს," - აღნიშნა შარანსკიმ.

აღსანიშნავია, რომ პრესკონფერენციაზე პუტინის მიერ მომზადებული "სასიამოვნო" სიურპრიზების ნუსხა მხოლოდ ორი ზემოაღნიშნული ფაქტით არ ამოწურულა. მაგალითისთვის, ცოტა უცნაური იყო ის ფაქტი, რომ რუსეთის პრეზიდენტს არ ახსოვდა "ბაიკალფინანსგრუპ"-ის სახელი, მაშინ როცა სხვა საკითხებზე საუბრისას იგი დეტალურად ასახელებდა მონაცემებს, თანაც "საკუთარი წყაროების" მოშველიებით.

პუტინის ორაზროვან და აგრესიულ განცხადებებს იქედნური სათაურისა და შინაარსის სტატიები მოჰყვა დასავლურ პრესაში. მაგალითისათვის, "ვაშინგტონ პოსტ"-ის მიმომხილველთა თქმით, "რუსეთის ლიდერი სამი საათის განმავლობაში რუსეთის პოლიტიკის კრიტიკოსთა მიმართ ალიყურს არ იშურებდა". "თაიმს"-ის მიმომხილველებმა პუტინის გამოსვლა "ცივი ომის რეპრიზად" შეაფასეს. იუშჩენკოზე, როგორც უკვე არჩეულ პრეზიდენტზე, საუბრით კი, პუტინმა, ფაქტობრივად, გაწირა იანუკოვიჩი, რომელსაც აქამდე მთელი მონდომებით უჭერდა მხარს. "კრემლი აშკარად გადაიხარა იუშჩენკოს მხარეს, მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ უკრაინელი ოპოზიციონერი სწორედ პოლიტიკური ოპონენტების მიერ იყო მოწამლული," - წერს "ვაშინგტონ პოსტი".

ბრიტანული "გარდიანი"-ს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში პუტინის განცხადებები განსაკუთრებულად მკვეთრი იყო, იგი რამდენჯერმე შეეცადა კიდეც, შეერბილებინა ტონი. ხისტი შეფასებების შერბილების მცდელობად შეფასდა ჯორჯ ბუშის მოხსენიება "წესიერ ადამიანად, რომელიც სანდო პარტნიორია". თუმცა, სიფიცხე და აგრესიული ტონი ვერ დაიოკა რუსეთის პრეზიდენტმა უკრაინის, რუსეთის პოლიტიკურ რეფორმებსა და ბესლანის საკითხზე საუბრისას. ყველაზე მკვეთრი კი პუტინი ალექსანდრ კვასნევსკის განცხადების კომენტირებისას იყო, თუმცა, პოლონეთის პრეზიდენტის სიტყვები პუტინმა გამოიყენა იმისათვის, რათა ხაზგასმით აღენიშნა დასავლეთის მიერ რუსეთის შესაძლო იზოლირების მნიშვნელობა, - მიიჩნევს "გარდიანი".

*24 საათი*

# კარზაი და "ტექნოკრატების კაბინეტი"

ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ კარზაი მთავრობაში რადიკალურ ცვლილებებს ახორციელებს. იმ მინისტრების ადგილს, რომლებმაც სახელი გასამხედროებული დაჯგუფებების ლიდერობისას გაითქვეს, ტექნოკრატები დაიკავებენ. ამ დღეებში ყველაზე მეტს თავდაცვის მინისტრის მოჰამედ ფაჰიმის გადადგომაზე საუბრობენ. წარსულში მოჯაჰედების მეთაური, ფაჰიმი ყველანაირი პოლიტიკური "წონის" გარეშე დარჩა. ფაჰიმი იძულებული გახდა, თავდაცვის მინისტრის პოსტი თავისი მოადგილესთვის დაეთმო და პოლიტიკური ჰორიზონტის მიღმა დარჩენილიყო.

ავღანური პოლიტიკის მაღალი ეშელონებიდან ორი ადამიანიც წავიდა, რომლებსაც, თეორიულად, პრეზიდენტი კარზაისთვის ყველაზე მწვავე კონკურენციის გაწევა შეეძლოთ.

ჰამიდ კარზაი ჯერ კიდევ წინასაპრეზიდენტო კამპანიის დროს აცხადებდა, რომ მისი მთავრობის ახალი კაბინეტი დაკომპლექტებული იქნებოდა კვალიფიციური, პატიოსანი და ეფექტური მუშაობის უნარის მქონე ადამიანებისგან. და მართლაც, მის გუნდში დღეს ტექნოკრატები გამოჩნდნენ, რომლებიც, კარზაის მტკიცებით, ბოლომდე პასუხობენ ყველა ამ მოთხოვნას. ავღანური მთავრობის ახალბედები არიან ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრები, აგრეთვე სოფლის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი. თუმცა, მიმომხილველთა აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ის ფაქტია, რომ თავისი პოსტი დაკარგა თავდაცვის მინისტრმა მოჰამედ ფაჰიმმა, წარსულში ჩრდილოეთ ალიანსის ერთ-ერთმა ლიდერმა. მისი თანამდებობა ეროვნებით პუშტუნმა რაჰიმ ვარდაკმა დაიკავა. ავღანეთის პოლიტიკურ ელიტაში კანტიკუნტად დარჩენილი მოჯაჰედები ყურადღებით დააკვირდებიან, როგორ შეუდგება ვარდაკი თავდაცვის სამინისტროს რეფორმირებას. დასავლელი მიმომხილველები შიშობენ, რომ თუ ჩრდილოეთ ალიანსის ყოფილი ლიდერები თავს შევიწროვებულად იგრძნობენ, ავღანეთის განიარაღების პროცესი მნიშვნელოვნად გაჭიანურდება ან საერთოდ შეწყდება. მაგალითად, ფაჰიმს მხარს უჭერდა ავღანეთის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და დამოუკიდებელი შეიარაღებული ფორმირება. გასული წლების საველე მეთაურების ინტერესების დაცვა, როგორც ჩანს, ჰერათის პროვინციის ყოფილ გუბერნატორს და ამჟამად ენერგეტიკის მინისტრს ისმაილ ხანს მოუწევს. ქალთა საქმეების მინისტრი მასუდა ჯალალი გახდა - ეს ქალბატონი საპრეზიდენტო არჩევნებში კარზაის მეტოქე გახლდათ. იმ საარჩევნო მარათონიდან ახალ მთავრობაში სხვა მონაწილენი არ შესულან.



*ჰამიდ კარზაი ყოფილ მოჯაჰედებს თავიდან იშორებს*

# რუსები და უკრაინელები დემოკრატიული ინსტიტუტების მუშაობით უკმაყოფილონი არიან

გამოკითხვების თანახმად, რუსეთში დემოკრატიის ერთგულ ადამიანთა რიცხვი ნაკლებია, ვიდრე უკრაინაში. უკრაინელებიცა და რუსებიც თანხმდებიან იმაში, რომ რუსეთი ახლო მომავალში საზოგადოებრივი აქტივობის გაძლიერებას არ უნდა ელოდოს, წერს გაზეთი "ვრემია ნოვოსტეი".

სრულიად რუსეთის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის მიერ ნოემბერში ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, გამოკითხულთა 40 პროცენტი თვლის, რომ დემოკრატია ნებისმიერ შემთხვევაში და ნებისმიერ ვითარებაში მართვის საუკეთესო ფორმაა. გაცილებით ნაკლები - 24 პროცენტი დარწმუნებულია, რომ გარკვეულ ვითარებაში დიქტატურა უფრო ეფექტურია, ვიდრე დემოკრატია. არც თუ ცოტა - 27 პროცენტი ახდენს რელატივისტური პოზიციის დემონსტრირებას და აცხადებს - "ჩემნაირი ადამიანებისთვის დემოკრატიასა და დიქტატურას შორის არანაირი განსხვავება არ არის". რესპონდენტების უმრავლესობა (56 პროცენტი) უკმაყოფილოა რუსეთის დემოკრატიული ინსტიტუტების "მუშაობით".

უკრაინული სოციოლოგიური ჯგუფის ДИАС-ის კვლევების შედეგად გაირკვა, რომ უკრაინელთა 64 პროცენტი მართვის დემოკრატიულ ფორმას ანიჭებს უპირატესობას. დაახლოებით ამდენივე (61 პროცენტი) აცხადებს, რომ მათ არ მოსწონთ, თუ როგორ ფუნქციონირებენ უკრაინაში დემოკრატიული ინსტიტუტები. უკრაინელებს თავდაპირველად არ სჯეროდათ დემოკრატიული ინსტიტუტების უმრავლესობის ეფექტურობისა და ამიტომ პირდაპირ მოქმედებაზე გადავიდნენ.

რუსეთის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის დეკემბრის გამოკითხვის მონაცემების თანახმად, რუსები საკმაოდ სკეპტიკურად უყურებენ რუსეთში შესაძლო "რევოლუციურ" აფეთქებას. თანამედროვე რუსეთში უფრო მეტად დეპოლიტიზებული საზოგადოების ის ფენები და ჯგუფები არიან, რომლებიც უკრაინაში მასობრივი გამოსვლების "ძრავს" წარმოადგენენ. დღეს საზოგადოების ქმედითუნარიანი ნაწილის (საშუალო კლასი, ახალგაზრდობა, მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრებში, პირველ რიგში, მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში მცხოვრები ადამიანები) აქტიურობა რეალიზებულია ისეთ სფეროებში, რომლებიც საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებისგან შორს დგანან.

ერთადერთი მიზეზი, რომელმაც, გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილის (32 პროცენტის) აზრით, რუსებს მასობრივი სპონტანური გამოსვლებისკენ შეიძლება უბიძგოს - ქვეყანაში ეკონომიკური ვითარების მკვეთრი გაუარესებაა, რასაც მოსახლეობის დიდი ნაწილის ცხოვრების დონის დაცემა ახლავს თან.

თუმცა, ისიც ცნობილია, რომ 1998 წლის აგვისტოს დეფოლტს რუსეთში საპროტესტო აქტივობის ზრდა არ გამოუწვევია.

*რია-ნოვოსტი*

# პენტაგონი ევროკავშირს ჩინეთზე იარაღის გაყიდვას უკრძალავს

პენტაგონი აცხადებს, რომ თუ ევროკავშირი ჩინეთში იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს გააუქმებს, ამან შეიძლება ევროკავშირისა და აშშ-ს სამხედრო თანამშრომლობის შემცირება გამოიწვიოს.

პენტაგონის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ევროკავშირის მიერ ემბარგოს გაუქმება აშშ-ს კონგრესში "ძალზედ დიდ რეაქციას" გამოიწვევს და შესაძლოა, სერიოზული სკანდალის მიზეზიც გახდეს. კერძოდ, ბუშის ადმინისტრაციას შეუძლია უარი თქვას ევროკავშირის ქვეყნებისთვის ამერიკული სამხედრო ტექნოლოგიის გადაცემაზე.

**"ისეთ ვითარებაში, როდესაც ევროპული შეიარაღება, შესაძლოა, დამიზნებული იყოს ამერიკელ ჯარისკაცებზე და ბაზებზე, ჩვენი იარაღის ევროპელებისთვის მიწოდებაზე საუბარი ძნელია. შეიზღუდება ის ძალისხმევები, რომლებსაც ჩვენ მივმართავთ ევროპასთან იარაღით ვაჭრობის გაფართოებისთვის,"** - ამბობს პენტაგონის ერთ-ერთი წარმომადგენელი. დასავლეთის ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ პენტაგონის შესაძლო ზომები ყველაზე მეტად დიდ ბრიტანეთზე აისახება, რადგან ის მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამერიკულ სამხედრო ტექნიკაზე. სამი თვის წინ ბრიტანეთმა აშშ-ს კონგრესისგან სპეციალური პრივილეგირებული სტატუსი მიიღო, რომელიც მას აშშ-ს უახლესი სამხედრო ტექნოლოგიების მოპოვების ნებას რთავს. ევროკავშირთან აშშ-ს უთანხმოების შემთხვევაში, ბრიტანეთმა შეიძლება აღნიშნული სტატუსი დაკარგოს. გარდა ამისა, ბრიტანეთის მრეწველობასაც დარტყმა მიადგება, რადგან ბრიტანული კომპანიები "BAE Systems" და "როლს-როისი" პენტაგონის მსხვილი მიმწოდებლები არიან. შეგახსენებთ, რომ ბრიუსელში დეკემბრის სამიტზე ევროკავშირის ქვეყნებმა მომავალი წლის პირველი ნახევრისთვის ჩინეთთან იარაღის ვაჭრობაზე ემბარგოს მოხსნის სურვილი გამოთქვეს.

## ნატიფი ხელოსნობის გადარჩენას უმუშევრები ცდილობენ

*20 დეკემბერს ზუსტად სამი თვე შესრულდა იმ დღიდან, როდესაც უმუშევარი ადამიანები, დასაქმების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მომზადება-გადამზადების პროექტში ჩაერთნენ. ამ პროგრამით, ბევრმა მათგანმა ბავშვობის ოცნება აიხდინა და საყვარელ საქმიანობას მოჰკიდა ხელი, ბევრისთვის კი ეს საყვარელ საქმესთან ერთად, შეიძლება, თავის რჩენის საშუალებადაც იქცეს.*

ნონა მასურაძე

უმუშევრების მომზადება-გადამზადების პროექტი საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ფარგლებში ხორციელდება. პროგრამის ღირებულება 65 000 ლარია.

180 უმუშევარი ქართულ, ხალხურ, ტრადიციულ ხელოსნობას ეუფლება.

სანერმო "ქუბამ", რომლის შენობაში აღნიშნული პროექტი ხორციელდება, სტუმრებს უმასპინძლა. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელობა პროგრამის შედეგებით დაინტერესდა.

ზაზა სოფრომაძე, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორი: "ამ საქმიანობას შეფერ ნიმუშო ლადად მოაქვს. საგულისხმოა, რომ 180 უმუშევარი, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, პროფესიას იძენს. აქედან კი, ჩვეულებრივ, მესამედი მუდმივი სამუშაო ადგილით იქნება უზრუნველყოფილი. ეს პროფესიები ბაზარზე კონკურენტუნარიანია. წარმოდგენილი ნიმუშები იმედს გვაძლევს, რომ ქართული ნატიფი ხელოსნობის აღორძინებაში ჩვენ მოკრძალებულ წვლილს შევიტანთ".

**- პროგრამა 2005 წელსაც გაგრძელდება?**

- მომავალი წლისთვის ჩვენი პროექტით დაგეგმილია ამ პროგრამის თანხების, დაახლოებით, 20 პროცენტით გაზრდა. ვფიქრობ, რომ ასეთი ტიპის დაწესებულებების დაფინანსება სწორი პოლიტიკაა.

**- დაფინანსების მხრივ პრობლემები თუ იქნება?**

- 2004 წლის დასაწყისიდან, რაც ფონდს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს, ამ ორგანიზაციას დაფინანსებაში შეფერხება არ ყოფილა. შესაბამისად, დღეს სახელოსნო გავსებულია იმ ადამიანების მიერ შექმნილი უამრავი ექსპონატით, რომლებმაც აქ შეიძინეს პროფესია. მათი ნამუშევრები საზოგადოების ყურადღებას იმსახურებს.

ნინო ოკრიბელაშვილი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის პროგრამების დეპარტამენტის თავმჯდომარე: "აქ წარმოდგენილი ექსპონატების ნახვის შემდეგ დავრწმუნდით, რომ დიდი და მნიშვნელოვანი საქმე ჩატარდა. ხელოვნების აღორძინების პარალელურად, ხელს უწყობთ ადამიანების, სულ მცირე, მესამედის მუდმივ სამუშაოზე დასაქმებას. მათთვის ახალი პროფესიით უნარ-ჩვევების სწავლება. ფონდის მიერ განხორციელებულ პროგრამას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ხელოვნების აღორძინების თვალსაზრისით, ისე უმუშევრების დასაქმების მხრივ. ვფიქრობ, რომ ეს პროგრამები მომავალშიც უნდა დაფინანსდეს და, თუ შესაძლებელი იქნება, დაფინანსება გაიზარდოს.

## აკრედიტაციის პროცესი არ დასრულებულა

გუშინ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მინისტრის მოადგილემ თემურ სამადაშვილმა, აკრედიტაციისა და ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსმა ნინო ჩუბინიძემ და უმაღლესი სასწავლებლების სააკრედიტაციო საბჭოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა საგანგებო ბრიფინგი გამართეს.

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (სდასუ) აკრედიტირების შესახებ მედიის და სხვა სარეკლამო საშუალებებით გავრცელდა მცდარი ინფორმაცია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის პროგრამა. იგი ერთიან ევროპულ საგანამანათლებლო სივრცეში სისტემის ინტეგრირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის პროგრამის განხორციელება 2004 წლის ოქტომბრიდან დაიწყო, შეიქმნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭო; მომზადდა თვითშეფასების კითხვარი და დაეგზავნა ყველა უმაღლეს სასწავლებელს ანგარიშის წარმოსადგენად. კონკურსის წესით, შეირჩა 113 ექსპერტი, რომელთაც ჩაუტარდათ ტრეინინგი. ისინი დაიგზავნენ უმაღლეს სასწავლებლებში წარმოდგენილი ინფორმაციის გადასამოწმებლად. უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაცია ხორციელდება ორი ძირითადი კრიტერიუმის გათვალისწინებით: პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის მიხედვით (პროფესორ-მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 66 პროცენტზე მეტს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო ხარისხი) და სასწავლო მატერიალური ბაზის მიხედვით (სულ ცოტა, ერთ სტუდენტზე უნდა მოდიოდეს 2 კვ/მ ფართობი).

დღეისათვის სულ შემოწმებულია 126 უმაღლესი სასწავლებელი; შესამოწმებელი რჩება კიდევ - 46. ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესი დასრულდება თებერვლის ბოლოსათვის.

უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც გაივლის აკრედიტაციას, შევა აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელთა სიაში და მათ დიპლომს სამინისტრო ცნობს სახელმწიფო ნიმუშის დიპლომად. უმაღლეს სასწავლებელს, რომელიც ვერ გაივლის აკრედიტაციას, ეძლევა 2 წლის ვადა ამ პროცესის ხელმეორედ გასავლელად.

აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააკრედიტაციო საბჭო. გადაწყვეტილება ფორმდება მინისტრის ბრძანებით.

ამდენად**, ინფორმაცია რომელიმე უმაღლესი სასწავლებლისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ ნაადრევია და არ შეესაბამება სიმართლეს.**

*24 საათი*

ფოსტა

## "უმაღლესო ეშელონებო", სამართლის გეშინოდეთ!

ნატო ამონაშვილი-თევზაძისა

ბოლო ხანებში ხშირად გაისმის ეს კრებითი, გარკვეულწილად, უაზრო ტერმინი - "უმაღლესი ეშელონები". სახელდება არა ინდივიდები, არამედ რაღაც ჯგუფური პიროვნება, რომელსაც ასეთი სახელი დარქმევია და არცთუ შესაფერისი თავისუფლებისა და დემოკრატიის გზაზე დამდგარი სახელმწიფოსთვის. "უმაღლესი ეშელონები" წყვეტენ უამრავს, ამასთან, ხშირად ყოველგვარი გამჭვირვალობის, კანონიერების დაცვის უგულვეყოფით. მაგალითისათვის, უმაღლესი ეშელონები აჩერებენ პროკურატურის გამოძიებას უნივერსიტეტში კორუფციული პროცესების გამო, იგივე ეშელონები ყიდიან (ერთ ღამეში!), ლამის, პერსონა ნონ-გრატად მიჩნეულ პიროვნებაზე ქართულ აქტივებს და მათვე სდებენ ბრალს სერიოზული პოლიტიკოსები კორუფციასა და ფულის კეთებაში...

"უმაღლეს ეშელონებში აგორებული ვნებათღელვები"... "უმაღლეს ეშელონებში გადაწყვიტეს"... ამგვარ ციტატებს ხშირად ნახავთ პრესის ფურცლებზე. წერეთ და იკითხეთ, რამდენიც გენებოთ! ეს რაღაც მითოლოგიურ ურჩხულს ემსგავსება, რომელსაც წყარო ჩაუგდია ხელთ და, როგორც უნდა, ისე მოიხმარს. "უმაღლესი ეშელონები" ისე შეერწყნენ ამ, ტრადიციულად, ფოლკლორულ სახეს, რომ ასე გვგონია, შეიფერეს კიდეც ეს როლი.

დაე, რაღაც ეშელონებს დაედოს ბრალი; ამასობაში ის პიროვნებები, რომლებიც მისი წარმომადგენელნი არიან, თავიანთ საქმეს გააკეთებენ, ამოძრავებული ქარავანი წინსვლის შთაბეჭდილებას შექმნის, ხოლო ურემი როცა გადაბრუნდება, ვიტყვით - ეს რა გზაა, ამაზე სიარული როგორ შეიძლებოდა, გზა ახლა გამოჩნდებაო.

"უმაღლეს ეშელონებს" კი, რატომღაც, ავიწყდებათ, რომ, თუ არა ხალხში წლობით დაგროვილი სოციალური და ფსიქოლოგიური (რომ ქვეყნის ბედი მის მოქალაქეებს უნდა ეკითხებოდეს) დისკომფორტი, ერთი წლის წინანდელი სახალხო რევოლუცია (ეს ტერმინი არანაკლებ გამოხატავს მოვლენების არსს, ვიდრე - ვარდების რევოლუცია) არაფერს სახეიროს არ დაემსგავსებოდა.

მაშინ ხალხი დადგა ქუჩაში და არა იმდროინდელ "უმაღლეს ეშელონებთან". ხალხმა უთხრა უარი წარსულს და აწმყოს უშიშრად შეხედა. ხალხმა აირჩია სხვანაირი მომავალი, ვიდრე ის, რომელსაც გამუდმებით გვთავაზობდნენ - ბალანსირება უკეთურებასა და სიკეთეს შორის და ხალხმა დაანგრია ის მითი, რომ იმ ეშელონებზე მეტად არავინ იყო საქვეყნო საქმის გამკეთებელი.

"ჭირმა თავი ვერ დამალაო", - და ჭირისუფლებმა: ახალგაზრდებმა, მოხუცებმა, ბავშვებმა (ახალშობილთაც კი!) მოითხოვეს წასვლა იმ ეშელონებისა და თანაც - ძალიან მკაცრი მოთხოვნით, დღე და ღამე წვიმასა და სიცივეში დგომით, ყველა საფრთხისა თუ საშიშროების გათვალისწინებით.

"უმაღლესო ეშელონებო!" გახსოვდეთ, ეს ხალხი, ის ბრბო არაა, რომელსაც შეგიძლია თვალები აუხვიო და სმენა დაუხშო და, მავანთა მცდელობის მიუხედავად, ასეთად ვერ იქცევა! ეს ის ერია, რომელსაც დღემდე ახსოვს, რომ - "სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა"... და თუ ზოგჯერ ურმის გადაბრუნებაა საჭირო, გზა და მიმართულება რომ შეიცვალოს, ისევ ამ ხალხის რიდის თუ ჭირთა დათმენის უნარის გამოა, რომელსაც საზღვარი აქვს.

"შუბი ხალთაში ვერ დაიმალაო" - ასევე, დამალული ჭირი კარგს არაფერს მოიტანს. პრობლემათა ირგვლივ ამ გაურკვეველი "უმაღლესი ეშელონების" ფიგურირება, მისთვის ნიღბის ახდის წინაპირობა იქნება.

ვინაა უდაბლესი საქართველოს რესპუბლიკაში? - ადამიანები, მოქალაქეები, რომელთაც სტკივათ, სცივათ და ხშირად აღშფოთებულნი არიან; რომელთა პოლიტიკური აზროვნება და მოვლენათა და პიროვნებათა სწორი ხედვა ბევრს შეშურდება? თქვენ ხომ არ გგონიათ - მათ არ იციან, რა ხდება ამ "უმაღლეს ეშელონებში". გლეხმა თუ ინტელიგენტმა უამრავი რამ იცის იმ პიროვნებათა ცხოვრების წესისა თუ საქციელის ირგვლივ, რომლებიც ამ გაურკვეველ, ვითომდა, უსახო "ეშელონს" წარმოდგენენ; და თუ არ ყვირიან ამის შესახებ, ეს აღუშფოთებლობას კი არ ნიშნავს, არამედ დროისა და საშუალების (შანსის!) მიცემას.

თქვენ, "უმაღლესო ეშელონებო"! ამ სახელის უკან ხალხს ვერ დაემალებით, ვერც ერთი თქვენი ნაბიჯი, ვერც ერთი გარიგება საზოგადოებისგან ვერ დაიფარება; ადამინებმა თქვენ ღირსეულ ადგილას დაგაყენეს. ან ნება იბოძეთ და თქვენივე პიროვნული უღირსობანი თქვენვე შეასწორეთ, ან, თუ სხვა გზა აღარ იქნება, ალბათ, ურემიც გადაბრუნდება და გზაც შემდეგ გამოჩნდება.

მოგმართავთ "დაბალი ეშელონებიდან", - გაიხსენეთ, რისთვის ვიბრძოდით, რა იდეებს, მისწრაფებებს დეკლარირებდით, რა საქმეებს გვპირდებოდით. და თუ თქვენ დაგავიწყდათ, ეს საყოველთაო დავიწყებას არ ნიშნავს, იცოდეთ. ეს ხსოვნა მოქმედებასა და კეთილსინდისიერებას მოითხოვს მათგან, ვინც "უმაღლესი ეშელონის" სახელს ამოფარებული კვლავაც საკუთარ ინტერესებზე, საკუთარ ვნებებზე წინ ვერ იყურება! "დაბალი ეშელონების" არჩევანს თქვენთვის ამისი ნება, ამის უფლება არ მოუცია. ეს გაიხსენეთ და სამართლის გეშინოდეთ, ბატონებო!

# ჯერ ჩხუბი, მერე საქმე

*"დილის გამამხნევებელი" მუშტი-კრივის შემდეგ თბილისის საკრებულოს უმრავლესობამ ქალაქის მთავრობის 6 წევრის კანდიდატურა, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთხმად დაამტკიცა. ოპოზიციურმა ფრაქციებმა კი, წესისამებრ, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს.*

ნანა ქადაგიშვილი

საკრებულოს გუშინდელი სხდომა უჩვეულოდ ადრე - დილის 10 საათზე დაიწყო. თუმცა, სხდომის დასაწყისში გამართულ მუშტი-კრივს იმით მაინც ვერ ავხსნით, რომ საკრებულოს წევრებმა გამამხნევებელი ვარჯიში ვერ მოასწრეს. ფრაქცია "სამართლიანობის" ხელმძღვანელმა ჯუმბერ შენგელიამ და "ლეიბორისტის" წარმომადგენელმა პაატა ჯიბლაძემ ჯერ სიტყვიერი შელაპარაკებით დაიწყეს, შემდეგ კი კრივზე გადავიდნენ. თუმცა, კოლეგებმა მალევე გააშველეს. როგორც გავარკვიეთ, ჩხუბის მიზეზი დიდ დიღომში ჩატარებული სანიაღვრე სამუშაოებისთვის მომავალი ბიუჯეტიდან 76 ათასი ლარის დამატების მოთხოვნა ყოფილა. სამუშაოები ჯუმბერ შენგელიას კუთვნილმა სამშენებლო ფირმამ განახორციელა. შენგელია მომავალი წლის ბიუჯეტიდან 76 ათასი ლარის დამატებას ითხოვს წლევანდელი დავალიანების დასაფარად. "ლეიბორისტები" კი ირწმუნებიან, - ფირმამ არაკეთილსინდისიერად იმუშავა და აღნიშნულ ადგილას წვიმის შემდეგ ნიაღვარი ისევ დგებაო. **"თანაც, შენგელიას - როგორც საკრებულოს წევრის კუთვნილ ფირმას ქალაქის კაპიტალური მშენებლობის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა,"** - აცხადებენ "ლეიბორისტები". ასეა თუ ისე, გუშინდელი სხდომის დამსწრენი უხერხული ფაქტის მომსწრენი აღმოჩნდნენ.

ქალაქის მთავრობის ექვსი წევრის კანდიდატურების დამტკიცებამ შედარებით მშვიდად ჩაიარა. "ლეიბორისტებმა" და "მემარჯვენეებმა", როგორც წესი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. მთავრობაც თქვენ დაამტკიცეთ და მათ საქმიანობაზე პასუხის თქვენვე აგეთო, - განაცხადეს "მემარჯვენეებმა". ლეიბორისტებმა კი, საერთოდ, საკითხის გადადება მოითხოვეს. **"მერს მთავრობის დამტკიცების შესახებ ბრძანება ჯერ არ გამოუცია. აქედან გამომდინარე, იგი ჯერ ნორმატიულ აქტად არ მიიჩნევა და საკრებულოს მთავრობის დამტკიცების უფლება არ აქვს",** - გაჰკიოდნენ "ლეიბორისტები", მაგრამ ამით ქალაქის მთავრობის დამტკიცებას ხელი არ შეშლია.

საკრებულოს უმრავლსების 34-მა წევრმა ექვსივე კანდიდატურას, თითქმის, ერთხმად მისცა ხმა. ასე რომ, პრემიერის შეცვლიდან უჩვეულოდ სწრაფად თბილისის მთავრობას სრული შემადგენლობა ჰყავს - პრემიერის პირველი მოადგილე - უჩა გელაშვილი (ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ყოფილი უფროსი); პრემიერის მეორე მოადგილე - კახა საყვარელიძე (ისანი-სამგორის რაიონის ყოფილი გამგებელი, მანამდე კი ადმინისტრაციული ინსპექციის ყოფილი უფროსი); განათლებისა და კულტურის საქალაქო სასმახურის უფროსი ნატა მაჩალაძე; ურბანული დაგეგმარების სამსახურის (არქიტექტურისა და კაპიტალური მშენებლობის სამსახურების ნაზავი) უფროსი გიორგი ასათიანი; მერიისა და საკრებულოს აპარატის უფროსი გივი ორდენიძე (მერიის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის ყოფილი უფროსი) და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი (უჩა გელაშვილის ნაცვლად) არჩილ მესტვირიშვილი.

სხდომის ბოლოს საკრებულოს წევრებს სხვა საკითხების განსახილველადაც ეყოთ ნებისყოფა. კრწანისის რეზიდენციას საზოგადოებრივი საქმიანი ზონის სტატუსი მიენიჭა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე საინვესტიციო პროგრამების განხორციელება შეიძლება. ვაკის პარკში კი, საკრებულოს წევრის კოტე ჩოლოყაშვილის წინადადებით, შეიძლება, ილია მართლის სახელობის ეკლესია აშენდეს. 1923 წელს კომუნისტებს ვაკის პარკის ტერიტორიაზე პატრიოტი თავადები დაუხვრიტავთ, შემდეგ კი დახვრეტის ადგილას ტუალეტი აუშენებიათ. დღეს ეს ადგილი ერთი პიროვნების კუთვნილებაა. საკრებულო ქალაქის მთავრობას ავალებს, აღნიშნული ადგილის მეპატრონეს პარკის ტერიტორიაზე ატრაქციონისთვის ფართი გამოუყოს, თავადების დახვრეტის ადგილას კი ეკლესია აშენდეს.

# საქართველოში პირველად პრეზიდენტის შვილი იცრება

თამარ დვალი

*"კარგი იქნება, თუკი მედიის საშუალებები არ გააკეთებენ აქცენტს იმ ერთადერთ შემთხვევაზე, როდესაც აცრას რაიმე გართულება მოჰყვა", - ასეთი რჩევა-დარიგება მისცა გუშინ ჯანდაცვის სამინისტროში მისულმა პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა მედიის წარმომადგენლებს. ჯანდაცვის მინისტრი, მისი მოადგილე, პარლამენტარები და პედიატრები ერთხმად ირწმუნებოდნენ, რომ საქართველოში უმაღლესი ხარისხის ვაქცინა შემოდის და მშობლებმა შვილები აუცილებლად უნდა აცრან.*



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*ერთიანი ბრიფინგი ჯანდაცვის სამინისტროში.*

სპეციალისტების აზრით, იმუნიზაცია კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა. იმუნიზაციის შედეგად დედამიწაზე უკვე ლიკვიდირებულია უმძიმესი დაავადება ყვავილი, რომელმაც მილიონობით სიცოცხლე შეიწირა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში იმუნიზაცია უფასოა. ვაქცინა ჩვენთან გაეროს ბავშვთა ფონდის მეშვეობით შემოდის. ამ ბოლო დროს იმუნიზაციასთან დაკავშირებით საქართველოში პერიოდულად გორდება ხოლმე შავი პიარი. რამდენიმე წლის წინათ საზოგადოებაში გავრცელდა ხმა, რომ უფასოდ შემოსული ვაქცინა უვარგისია და იგი ბავშვების ჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედებს. ახლახან ერთმა არხმა 14 წლის გოგონა აჩვენა, რომელსაც აცრის შედეგად მარჯვენა ხელის დამბლა დაემართა. აღნიშნული სიუჟეტის გასვლის შემდეგ აცრილი ბავშვების რაოდენობა შვიდჯერ შემცირდა. გუშინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეკრებილი საზოგადოება იმუნიზაციის აუცილებლობაზე საუბრობდა.

**"ამ ბოლო დროს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ისეთი შემთხვევების დემონსტრირება გახშირდა, რომელიც აცრების წინააღმდეგაა მიმართული. დღეს ჟურნალისტები იმიტომ მოგიწვიეთ, რომ გითხრათ, საქართველოში უმაღლესი ხარისხის ვაქცინა შემოდის, რომელსაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გაცემული სერთიფიკატი ახლავს. ვაქცინაციის დროს გართულებები მთელ მსოფლიოში არსებობს და, ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი",** - აღნიშნა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ვლადიმერ ჭიპაშვილმა. მან, ასევე, ისარგებლა შემთხვევით და სტუმრად მისულ საქართველოს პირველ ლედის მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ იგი თავის შვილს ყოველთვის უკეთებს აცრებს.

**"ქალბატონი სანდრა საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ დედები. მას არც ერთი აცრა არ გამოუტოვებია და ყოველთვის პირველი მიდის შვილის ასაცრელად",** - აღნიშნა მინისტრმა.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ აღნიშნა, რომ წელს საქართველოში აცრის შემდგომი გართულება მხოლოდ ორჯერ დაფიქსირდა და არც ერთი არ ყოფილა ვაქცინის ბრალი. მისივე თქმით, უმეტეს შემთხვევაში, გართულება ტექნიკური შეცდომის ან ბავშვის ალერგიულობის გამო ხდება.

როგორც პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ გიგი წერეთელმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, სახელმწიფო ვალდებულია, იმუნიზაციის შედეგად დაზარალებული ბავშვების მკურნალობა თავის თავზე აიღოს.

# როდელჰაიმელები ქართველი ბავშვებისთვის შესაწირს აგროვებენ

პანტელეიმონი იყო ბერძენი ექიმი, რომელიც მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. პანტელეიმონ მკურნალის სახელობისაა საზოგადოება, რომელიც, ოფიციალურად, წლევანდელი წლის დასაწყისში გაფორმდა და რომლის მიზანია უბედურებაგადატანილი თუ უპატრონოდ დარჩენილი ქართველი ბავშვებისათვის დახმარება და მხარდაჭერა.

საზოგადოების დამაარსებელ წევრთაგან პირველი ვილფრიდ ვაურიხია, რომელიც მაშინვე შეუდგა პროექტის განხორციელებისათვის მხარდამჭერთა ძებნას.

სამი წელია, ეს იდეა ჩაისახა და მას მერე, რაც საზოგადოების ჩამოყალიბება გადაწყდა, მათთვის დიდი დახმარება გასწია როდელჰაიმის ევანგელისტური ეკლესიის წინამძღვარმა, ქალბატონმა ელკე კლეემ, საქველმოქმედო საზოგადოება "ცირიაკუს გემაინდემ", საკრედიტო დაწესებულებამ, ტექნიკური სამუშაოების საზოგადოებამ და ა.შ.



*კავშირის თავმჭდომარე გაგა გოგიჩაიშვილი (მარცხნივ) გახარებულია, რომ ტარიელ ხოსროშვილი როდელჰაიმში მოსვლით სტუმრებს გაანებივრებს.*

"მოეწყო მრავალი შეკრება-საღამო, რომელთაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენთვის, რადგან ეს საღამოები საკმაოდ ფართოდ შუქდებოდა მასმედიის საშუალებებით და გამოჩნდა მრავალი ფირმა და ადამიანი, რომლებიც დაგვეხმარნენ და მხარში ამოგვიდგნენ. უნდა ითქვას, რომ დახმარებაც დიდად საჩქარო და საჭირო იყო, რადგან პანტელეიმონ მკურნალის საზოგადოების დიდი სურვილი იყო, ბედიანის ბავშვთა სკოლისათვის, სადაც 60 ბავშვია, გაგვეგზავნა. ეს რეგიონი საკმაოდ დაშორებულია ცენტრს; არ არსებობს რეგულარული სატრანსპორტო მოძრაობა. ამ წლის დასაწყისში მომზადდა ყველაფერი - ინტერნეტის საშუალებით, მოიძებნა ადამიანი შტუდგარდში, რომელიც კარგად მოვლილ ნახმარ მიკროავტობუსს ყიდდა. შემოწირულობებით მიღებული 7000 ევროს დიდი ნაწილი დასჭირდა ამ ლიფტიანი მიკროავტობუსის შეძენას, ნაწილი კი - 4000 კილომეტრი გზის გავლას ბედიანამდე. ალპების გავლით, გზა მიდის იტალიამდე, იქიდან გემით გრძელდება საბერძნეთამდე, შემდეგ კი თურქეთის გავლით - საქართველომდე", - ამბობს ვილფრიდ ვაურიხი.

ეს საღამოც, რომელსაც 55 კერძო პირი თუ საქველმოქმედო საზოგადოებათა წარმომადგენელი ესწრებოდა, ძალიან კარგი და შინაარსიანი გამოდგა, რადგან მრავალი ადამიანი ამოუდგა მხარში პანტელეიმონ მკურნალის საზოგადოებას, მათ შორის, რა თქმა უნდა - გერმანიაში მყოფი ქართველებიც. ამ საღამოს სამი ქართველი ხელოვანი ატკბობდა სტუმრებს ფორტეპიანოთი და გიტარით. სოფიო გიგინეიშვილმა და ქეთევან ნაკაშიძემ როიალთან დაიკავეს ადგილი, ხოლო ტარიელ ხოსროშვილმა გრძნობით ჩამოჰკრა სიმებს... ყველა ხელოვანმა, რომელიც დღეს აქ გამოდის, გასამრჯელოზე უარი განაცხადა, რაც არცთუ ისე ხშირად ხდება.

გაგა გოგიჩაიშვილი, პირველი თავმჯდომარე ამ საზოგადოებისა, სტუმრებს მოახსენებდა ამჟამად საქართველოში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობაზე და იმ ცვლილებებზე, რომლებმაც უკეთესობისაკენ უნდა წარმართონ ქვეყნის მომავალი. მის მოხსენებაში მთავარი ადგილი დაეთმო საქართველოში მზრუნველობამოკლებული ბავშვების ბედს, კერძოდ კი, ბედიანის ბავშვთა სახლის ცხოვრებას. ახალმა მთავრობამ კორუმპირებული რეჟიმი კი შეცვალა, მაგრამ ბავშვთა სახლს, ჯერჯერობით, არანაირი უკეთესობა არ დასტყობია და მთავრობის მხრიდან არანაირი მხარდაჭერა არ უგრძვნია. იმათ, ვისაც სოციალური პრობლემების მოგვარება ევალებათ, მიაჩნიათ, რომ ეს მათ არ ეხებათ.

პანტელეიმონ მკურნალის საზოგადოების სამომავლო გეგმები უკვე ცნობილია. მიღებული შემოწირულობები ჯერ კიდევ აქვე ინახება, რადგან, ბედიანში საკითხის მოუგვარებლობისა და გადაუჭრელობის გამო, ბევრი საზოგადოებრივი შენობა ცარიელია და უპატრონოდაა მიტოვებული. ამიტომ, საქართველოს მთავრობა მათ დიდი სიამოვნებით გაყიდდა. ამისათვის ჩვენი მხრიდან საჭირო იქნება შემოწირულობების გამღები ყველა ორგანიზაციის მოშველიება.

"ადამიანი ოპტიმისტია. ამგვარმა პროექტებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვეს ბოსნიაში. რატომ არ უნდა მოხდეს იგივე საქართველოშიც", - ამბობს ვილფრიდ ვაურიხი.

პანტელეიმონ მკურნალის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოების შესახებ დამატებითი ინფორმაციები შეგიძლიათ მიიღოთ ვილფრიდ ვაურიხისგან. ტელ.: 78 29 36. ინტერნეტგვერდი WWW. Panteleimon. gutesachen. Com.

*Frankfurter neue presse*

# პოლიციის უფროსებს მოსახლეობა აირჩევს

შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების გაერთიანების შემდეგ, სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესაბამისად, პოლიციის უფროსების თანამდებობები არჩევითი გახდება. გაერთიანებული უწყებების - უშიშროებისა და შს სამინისტროს ახალი მინისტრის ვანო მერაბიშვილის განმარტებით, ამ ორი სტრუქტურის ერთ უწყებად - პოლიციისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის სამინისტროდ ჩამოყალიბების შემდეგ, ყველა რაიონის, ქალაქის და ქვეგანყოფილების პოლიციის უფროსებს მოსახლეობა აირჩევს და ამ თანამდებობას საზოგადოების ნდობით აღჭურვილი პირები დაიკავებენ. ამ მხრივ, ექსპერიმენტი ჩატარდება საგარეჯოსა და ბორჯომის რაიონებში და სოფლებში, სადაც პოლიციის რწმუნებულებს მოსახლეობა აირჩევს. პოლიციის რწმუნებულები გარკვეული ვადით იქნებიან არჩეულნი და აუცილებლად ექნებათ მაღალი ხელფასი. თუ ექსპერიმენტი გაამართლებს, აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართავს და უბნის რწმუნებულების არჩევითობის პრინციპს მთელ ქვეყანაში დანერგავს.



ვახო ბესელიას ფოტო

*ახალი მინისტრის ახალი იდეები. ექსპერიმენტი ჩატარდება საგარეჯოსა და ბორჯომის რაიონებში და სოფლებში, სადაც პოლიციის რწმუნებულებს მოსახლეობა აირჩევს.*

პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრობის კანდიდატის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, პოლიციელები "დღეიდან წილში ვერავის ჩაუჯდებიან."

მისი თქმით, უშიშროებისა და შს გაერთიანებულ სამინისტროში რამდენიმე ახალი დეპარტამენტი შეიქმნება და მათგან ზოგიერთს მხოლოდ რეგიონული ოფისები ექნება.

ვანო მერაბიშვილის განცხადებით, საქართველო კონტრდაზვერვის ამერიკულ მოდელზე გადავა. 2005 წლიდან მთავრობა საზოგადოების წინაშე ახალი საკანონმდებლო ინიციატივით წარდგება, რომელიც კონტრდაზვერვის საქმიანობის განხორციელების საკანონმდებლო ბაზას უზრუნველყოფს.

იუსტიციის სამინისტროს მიერ წარდგენილ კანონპროექტს პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სტრუქტურული რეფორმების შესახებ პარლამენტის იურიდიული კომიტეტი იხილავს.

*24 საათი*

# იუსტიციის მინისტრმა დაღუპულთა ოჯახებს ფულადი კომპენსაცია გადასცა

იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა წინასაახალწლოდ ფულადი კომპენსაცია გადასცა სასჯელაღსრულების სისტემის იმ თანამშრომელთა ოჯახის წევრებს, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიღუპნენ. მინისტრმა ფულადი ჯილდოები გადასცა იმ თანამშრომლებსაც, რომლებმაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობის დაზიანება მიიღეს.

გიორგი პაპუაშვილის თქმით, **"პენიტენციარული სისტემის თანამშრომლებს, სამწუხაროდ, არც შესაფერისი ანაზღაურება ჰქონდათ და არც სახელმწიფოს მხარდაჭერა. ამ ფონზე მათ დამნაშავეთა სამყაროსთან ბრძოლა უწევდათ, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, ტრაგიკულად დასრულდა."**

ფულადი კომპენსაცია, 10 წლის ხელფასი, გადაეცათ რუსთავის N1 დაწესებულების გარდაცვლილი თანამშრომლების - ზაზა ყაფლანიშვილისა და ბადრი გურაბანიძის მეუღლეებს, ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულების გარდაცვლილი თანამშრომლის გიორგი ბერუაშვილის დედას და ხონის N9 დაწესებულების ყოფილ თანამშრომელს ავთანდილ წივწივაძეს, რომელმაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო.

იუსტიციის მინისტრის თქმით, ბოლო ორი წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების სისტემაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულთა რიცხვი ორ ათეულს აღწევს. იუსტიციის სამინისტრომ მათი ოჯახის წევრებისათვის კომპენსაციების გაცემა ბოლო პერიოდში დაიწყო. **"სახელმწიფო იმ ვალდებულებასაც ვერ ასრულებდა, რაც კანონით ჰქონდა დაკისრებული. პენიტენციარული სისტემის თანამშრომლების მიმართ ყურადღება მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება,"** - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

*24 საათი*

# რა კავშირია მოსკოვში მომხდარ ორ მკვლელობას შორის?

*რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ თავდაპირველად აღებულ კურსს არ გადაუხვია და რუსული წარმოშობის, ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტის, ჟურნალ "ფორბსის" რუსულენოვანი ვერსიის რედაქტორის პოლ ხლებნიკოვის მკვლელობის გამოძიებისას სწორედ ჩეჩნურ კვალს და, მეტიც, მკვლელობაში ეჭვმიტანილ ჩეჩენსაც მიაკვლია. თუმცა, საქმის ძიება ამით არ დასრულებულა და რუსი სამართალდამცველების მტკიცებით, ხლებნიკოვის მკვლელობისათვის მინსკში დაპატიმრებულ ჩეჩენს, სახელად კაზბეკს, ჩეჩნეთის ყოფილი ვიცე-პრემიერის იან სერგუნინის მკვლელობასთანაც ბევრი უნდა ჰქონდეს საერთო.*

რუსული გაზეთის "ვრემია ნოვოსტეის" ცნობით, რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ ახალ მტკიცებულებებს მიაკვლია, რომლებიც ადასტურებენ, რომ 2004 წლის ზაფხულში მოსკოვში მომხდარ ყველაზე გახმაურებულ - პოლ ხლებნიკოვისა და იან სერგუნინის მკვლელობებს შორის კავშირი არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ მოკლულები ერთმანეთს არ იცნობდნენ, გამოძიება ეჭვობს, რომ ისინი ერთმა ადამიანმა - ეროვნებით ჩეჩენმა კაზბეკმა გამოასალმა სიცოცხლეს.

როგორც ცნობილია, იან სერგუნინი 25 ივნისს მოკლეს, როცა იგი მეუღლესთან ერთად მოსკოვის ერთ-ერთი კაფედან გამოვიდა და მანქანაში ჩაჯდა. მათ მანქანას მოტოციკლეტით უცნობი მიუახლოვდა (მას სახეს მოტოციკლეტისტის შლემი უფარავდა) და ავტომატიდან ცეცხლი გაუხსნა. სერგუნინმა ექვსი ჭრილობა მიიღო და ადგილზე გარდაიცვალა.

რაც შეეხება პოლ ხლებნიკოვს, იგი 9 ივლისს, რედაქციიდან გამოსული, მეტროსადგურ "ბოტანიკური ბაღის" მახლობლად მოკლეს. მკვლელობიდან მეორე დღეს სამართალდამცველებმა ის მანქანა აღმოაჩინეს, რომლიდანაც მკვლელმა ისროლა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ისროლა ერთმა ადამიანმა, რომელიც საჭესთან იჯდა.

ამ ორი მკვლელობის მოტივებთან დაკავშირებით გამოძიება კონკრეტულს არაფერს ამბობს.

როგორც ცნობილია, ამ მკვლელობების გამოძიების დაწყებისთანავე სამართალდამცველები "ჩეჩნურ კვალს" ეძებდნენ. მოგვიანებით, გამოძიებას ერთ-ერთმა ინფორმატორმა აცნობა, რომ ორივე თავდასხმის უკან, შესაძლოა, ერთი და იგივე ადამიანი, ვინმე კაზბეკი იდგეს. ინფორმატორმა გამოძიებას მისი მობილური ტელეფონის ნომერიც კი აცნობა. ნომრის შემოწმებისას კი აღმოჩნდა, რომ ჟურნალისტის მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე და ცოტა ხნის შემდეგ მეტროსადგურ "ბოტანიკური ბაღის" მიმდებარე ტერიტორიიდან ამ ნომრიდან ზარები განხორციელდა. ასევე გაირკვა, რომ საიდუმლოებით მოცული კაზბეკი სამ, სხვადასხვა გვარზე გაფორმებულ პასპორტს იყენებს, მათ შორის ორი გვარი სამართალდამცველებისთვის ცნობილია: დუკუზოვი და იბრაგიმოვი. გამოძიებამ ჩეჩენ კოლეგებს მიმართა და აღმოჩნდა, რომ მათ კაზბეკ დუკუზოვის შესახებ ბევრი რამ იციან. კერძოდ, მის შესახებ არსებულ დოსიეში წერია: "კაზბეკ დუკუზოვი, დაბადებული 1974 წელს, იმყოფება მოსკოვში, სადაც ორგანიზებას უკეთებს და ასრულებს შეკვეთილ მკვლელობებს. მოსკოვის კრიმინალურ სამყაროში მისი კანონიერ ქურდად აღიარების საკითხი განიხილება."

მოსკოველი სამართალდამცველები კაზბეკისა და მისი ნაცნობების ტელეფონების მოსმენას შეუდგნენ. სწორედ ამ სატელეფონო საუბრების მოსმენისას შეიტყვეს, რომ კაზბეკის მეგობრის, ვინმე ასლან საგაევის ბინაში ამყოფებენ გატაცებულ ბანკირს აჰმედ-ფაში ალიევს. მძევალი 27 სექტემბერს გაათავისუფლეს, კაზბეკმა კი მოსკოვის დატოვება მოახერხა. თუმცა, სამართალდამცველებმა მოახერხეს იმის დადგენა, რომ მან რუსეთის საზღვარი იბრაგიმოვის გვარზე გაფორმებული ყალბი პასპორტით გადალახა და მინსკში ჩავიდა, სადაც უკვე იმყოფებოდა მისი მეგობარი, ალიევის გატაცების ორგანიზებაში ეჭვმიტანილი ვალიდ აგაევი.

მთავარი ეჭვმიტანილის გაქცევის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე სპეცსამსახურებმა მისი მეგობრის, ვინმე ვახაევის დაპატიმრება შეძლეს. სწორედ ამის შემდეგ გაირკვა, რომ ხლებნიკოვზე თავდასხმის დროს ის მეტროსადგურ "ბოტანიკური ბაღის" მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა და ხლებნიკოვის მკვლელობიდან რამდენიმე წუთში კაზბეკმა სწორედ მას დაურეკა. გამოძიება ვარაუდობს, რომ ვახაევი მკვლელს მანქანის მოშორებაში დაეხმარა. მისი თითის ანაბეჭდი ნაპოვნი მანქანის სალონში აღმოაჩინეს. მკვლელად კი გამოძიება კაზბეკს მიიჩნევს. მეტიც, არსებობს ეჭვი, რომ მას, ხლებნიკოვისა და სერგუნინის გარდა, კიდევ ორი ადამიანი ჰყავს შეკვეთით მოკლული.

ვახაევის დაპატიმრების შემდეგ გამოძიებამ კაზბეკის ყველა ნათესავის ბინა გაჩხრიკა და ერთ-ერთში მოტოციკლეტისტის ქურთუკი და შლემი აღმოაჩინა. როგორ მოხვდა ეს ნივთები ბინაში, ჯერჯერობით, დაუდგენელია - აღნიშნული ბინის პატრონი ნაცნობების დაპატიმრებამ შეაშინა და იგი ჩეჩნეთში გაემგზავრა. თუმცა, გამოძიება ვარაუდობს, რომ მოტოციკლეტისტის ეს ნივთები სერგუნინის მკვლელობისას იქნა გამოყენებული. ამ დღეებში დასრულებულმა ექსპერტიზამ კი აჩვენა, რომ ნაპოვნ მანქანაში, მძღოლის სკამზე და მოტოციკლეტის შლემში აღმოჩენილი თმის ღერები იდენტურია. ამასთან, გამოძიებას აქვს ინფორმაცია, რომ კაზბეკი მოსკოვში მოტოციკლით ხშირად მგზავრობდა.

როგორც ცნობილია, კაზბეკი მინსკში დააკავეს. იგი უარყოფს, რომ როდისმე უტარებია დუკუზოვის გვარი, ამბობს, რომ იბრაგიმოვია და ამ გვარით გასამართლებულიც კია. თითის ანაბეჭდების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ისინი მართლაც იბრაგიმოვს ეკუთვნის, რომელსაც ორი წლის წინ პირობითი სასჯელი მიუსაჯეს საბრძოლო მასალის უკანონო შენახვისათვის. თუმცა, ეს ინფორმაცია გამოძიებას მნიშვნელოვნად არ მიუჩნევია, რადგან ფიქრობენ, რომ მკვლელობაში ეჭვმიტანილმა გვარი დუკუზოვი კარგა ხნის წინ გამოიცვალა.

დაბოლოს, რაც შეეხება მკვლელობების მოტივებს, გაზეთ "ვრემია ნოვოსტეის" ცნობით, სერგუნინის ახლობლები უარყოფენ ვერსიას იმის თაობაზე, თითქოს ხლებნიკოვი და სერგუნინი ერთობლივი წიგნის გამოცემას აპირებდნენ. **"ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ და არც ჩეჩნეთში საბიუჯეტო თანხების დატაცებასთან დაკავშირებით აპირებდნენ წიგნის დაწერას,** - აქვეყნებს გაზეთი სერგუნინთან დაახლოებული ანონიმი წყაროს კომენტარს, - **სერგუნინის მკვლელობის ძირითადი ვერსია კი, ჩვენი ინფორმაციით ასეთი გახლავთ: კადიროვის მკვლელობიდან ცოტა ხნის შემდეგ ერთმა ცნობილმა ჩეჩენმა იანისგან 3 მილიონი დოლარი ისესხა წინასაარჩევნო კამპანიისთვის. ის სხვადასხვა დროს ჩეჩნეთში მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა, მერე კი მოსკოვში გადავიდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ მისი კანდიდატურა ჯერ კიდევ არჩევნებამდე მოიხსნა. იანმა მას ვალის გადახდა მოსთხოვა, რაც მათ შორის კონფლიქტით დასრულდა. სხვათა შორის, სერგუნინის მკვლელობის შემდეგ მისმა მეუღლემ მევალეს ფული კვლავ მოსთხოვა, მან კი პასუხად ტელეფონის ნომერი და ოფისი შეიცვალა. აღსანიშნავია ისიც, რომ სერგუნინის მეუღლესთან უკვე იყვნენ სამართალდამცველები, რომელთაც უთხრეს, რომ ზემოთ ხსენებულ მევალეზე მათაც აქვთ ეჭვი. ამასთან, ქალბატონს ურჩიეს, რომ დაცვა დაიქირაოს, პირველ რიგში, იმის გამო, რომ დღე-დღეზე მინსკიდან კაზბეკის ექსტრადიციას ელიან."**

# "ახლები" ბაჩო ახალაიას თანამდებობიდან გადაყენებას მოითხოვენ

*"ახლები" სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა "რეპრესიულ რიტორიკაზე" ალაპარაკდნენ. ამის საფუძველს მათ მუხროვანის ამბებთან დაკავშირებული გახმაურებული მოვლენები აძლევთ. ამ მოვლენების საფუძველზე საპარლამენტო ფრაქცია "ახალი მემარჯვენეები" სახალხო დამცველის მოადგილის ბაჩო ახალაიას თანამდებობიდან გადაყენებას მოითხოვენ. აღნიშნული განცხადება ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელმა კოკა გუნცაძემ გუშინ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.*

გუნცაძის განმარტებით, "ახალი მემარჯვენეები" ახალაიას გადაყენებას მუხროვანის ბატალიონში მომხდარი ცნობილი ინციდენტის შემდეგ მისი ქმედებების გამო მოითხოვენ. **"ახალაიამ მუხროვანის ბატალიონის წარმომადგენლებს დეზერტირები უწოდა, რაც არასწორია. გასაგებია, რომ ჯარისკაცებს არ აქვთ უფლება, საპროტესტო მსვლელობაში მონაწილეობა მიიღონ, მაგრამ მათ აქვთ უფლება, მინიმალური სოციალური პირობები მოითხოვონ და ეს სახალხო დამცველის ოფისმა უნდა იცოდეს,"** - აღნიშნა გუნცაძემ, რომლის შეფასებით, სახალხო დამცველის ოფისი ბოლო დროს **"ძალოვან უწყებად გადაიქცა,"** ახალაია კი საკუთარი საქმიანობის განხორციელების დროს **"არა სახალხო დამცველის ტერმინოლოგიას, არამედ უფრო რეპრესიულ რიტორიკას იყენებს."**

"მიგვაჩნია, რომ ბაჩო ახალაია, რომელიც ვერ გარკვეულა საკუთარ უფლებამოსილებაში და იმაში, რომ მას ფულს ადამიანის უფლებების დაცვისათვის უხდიან, თანამდებობიდან უნდა გათავისუფლდეს," - განაცხადა გუშინ გუნცაძემ.

შედარებით რბილი გახლდათ სოზარ სუბარის მისამართით გამოთქმული პრეტენზია: დეპუტატის შეფასებით, უკანასკნელ დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით თავად სახალხო დამცველი სოზარ სუბარი **"არათანმიმდევრულ პოზიციას იკავებს"** და **"ვერ ახერხებს, ძალოვან უწყებებს გაემიჯნოს." "არათანმიმდევრული და ნაკლებად პრინციპული პოზიცია დაიკავა თავად სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმაც. ვფიქრობ, იგი ვერ ახერხებს ბოლომდე გაემიჯნოს ძალოვან სტრუქტურებს, რაც სახალხო დამცველის ოფისის დისკრედიტებას გამოიწვევს. თუმცა, ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ სოზარ სუბარის გადადგომის მოთხოვნისგან,"** - განაცხადა კოკა გუნცაძემ.

შეგახსენებთ: 20 დეკემბერს, ღამით, შინაგანი ჯარების მუხროვანის ბრიგადა 60-მდე ჯარისკაცმა თვითნებურად დატოვა. ისინი სოციალური პირობების გაუმჯობესებას და სამხედრო სამსახურის საცხოვრებელი ადგილების მიხედვით გავლას მოითხოვდნენ. ჯარისკაცები, რომლებიც მუხროვანში სავალდებულო სამხედრო სამსახურს გასული წლიდან იხდიდნენ, თბილისში ჩამოვიდნენ და სახალხო დამცველთან შეხვედრას ითხოვდნენ, თუმცა ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენლებმა ისინი არ მიიღეს. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა ახალაიამ განაცხადა, რომ აღნიშნულმა სამხედრო მოსამსახურეებმა სამხედრო ნაწილი თვითნებურად დატოვეს, რის გამოც მათ, შესაძლოა, კანონის მიხედვით პასუხი მოეთხოვოთ. **"ასეთ ანტისახელმწიფოებრივ გამოხტომებს არ დავუშვებთ,"** - განაცხადა მაშინ ახალაიამ.

*24 საათი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**..............................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..............................

**საკონტაქტო ტელეფონი**..............................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# ე ნ ე რ გ ე ტ ი კ ა

## გუშინ, დღეს, ხვალ

## შობა - ახალ წელს გილოცავთ მეგობრებო!

ერთი კვირაც და ისტორიის კუთვნილება გახდება გასული 2004 წელი.

ყოველ ახალ წელს, მომავლის რწმენითა და იმედით ხვდება ნებისმიერი ადამიანი. თითქოს წარსულს ბარდება შეჭირვება და ყველა ის უკეთურება, რაც ადრე არც თუ იშვიათად გვხვდებოდა.

ახალ წელს, ახალი მოლოდინი ახლავს თან.

მოლოდინი განახლებული ცხოვრების, გაჭირვებიდან გამოსვლისა და უკეთესობისკენ შემობრუნების.

სწორედ ამ ფიქრითა და განწყობილებით, ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი, დამდეგ ახალ წელს ულოცავს დეპარტამენტის, ენერგეტიკის სამინისტროს, სემეკ-ის, საბითუმო ბაზრის, სახელმწიფო ელექტროსისტემის, საქენერგოგენერაციის, საქრუსენერგოსა და გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის თითოეულ თანამშრომელს, ყველა ენერგეტიკოსსა და სრულიად საქართველოს!

ახალი, 2005 წლიდან, ბედნიერება, სიკეთე, სიხარული, ხვავი და ბარაქა არ მოგკლებოდეთ ძვირფასო მეგობრებო!

# შემოწმება ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის სამმართველოებში

ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი განაგრძობს იმ მასალების გამოქვეყნებას, რომლებიც დეპარტამენტის ცენტრალური აპარატისა და რეგიონული სამმართველოების მიერ, საზედამხედველო ობიექტებში, მ.წ. განვლილ პერიოდში ჩატარებულ შემოწმებათა კანონიერებას ეხება. ამჯერად, საზოგადოებას ვამცნობთ დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის სამმართველოების საქმიანობის კომპლექსური შემოწმების (შიდა კონტროლის თვალსაზრისით) შედეგებს.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ თბილისის სამმართველო ერთ-ერთი მსხვილი სტრუქტურაა დეპარტამენტის შემადგენლობაში, რომელიც შესამოწმებელი ობიექტების დიდ არეალს მოიცავს.

თბილისის სამმართველოს კომპლექსური შემოწმება განხორციელდა დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად, დეპარტამენტის 2004 წლის 27 სექტემბერს N65/ო ბრძანების საფუძველზე. შემოწმებამ მოიცვა 2004 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე განვლილი პერიოდი.

მიმდინარე წლის 9 თვეში, სამმართველოს მიერ ქ. თბილისში განთავსებული ობიექტების შემოწმებისას აღმოჩენილი დარღვევების ფაქტებზე, შესაბამისი რაიონული სასამართლოებისათვის გადაგზავნილია მასალები 161 ფიზიკური და იურიდიული პირის მიმართ ადმინისტრაციული სახდელების შესაფარდებლად. აქედან, სასამართლოების მიერ, ადმინისტრაციული ჯარიმების გადახდა დაეკისრა 86 პირს და ეს გადაწყვეტილებები გადაცემულია აღსასრულებლად. სასამართლოების მიერ შეწყვეტილია საქმის წარმოება 21 შემთხვევაში. ერთ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია საოლქო სასამართლოში. 6 ფაქტზე, მასალები დაბრუნებულია სასამართლოების მიერ. 5 მეწარმე-სუბიექტს, ადმინისტრაციული სახდელის სახით, შეეფარდა გაფრთხილება. განხილვის პროცესშია 11 მასალა, აღსრულების პროცესშია 16 სასამართლო გადაწყვეტილება. არასწორი მისამართის მითითების გამო, სასამართლოს მიერ, დაბრუნებულია 13 მასალა. სააღსრულებო ბიუროს 2004 წლის 27 ოქტომბრის 01/04-03-273 წერილის თანახმად, აღსასრულებელია 10 გადაწყვეტილება, რის შედეგადაც სამართალდარღვევებისათვის გადახდილია 1000 (ათასი) ლარი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს თანხები ხაზინის ანგარიშზე დღემდე არ არის ჩარიცხული.

ამავე დროს, კომპლექსური შემოწმების მასალები ცხადყოფს, რომ ადგილი აქვს მთელ რიგ დარღვევებს. პირველ რიგში, თვალშისაცემია შესამოწმებელ ობიექტებზე დოკუმენტაციის გაფორმების დაბალი დონე. სათანადოდ არ წარმოებს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების - განკარგულებების, ტექნიკური და კომპლექსური შემოწმებების, განმეორებითი გადამოწმების აქტების გაცემის, მათი კანონმდებლობასთან შესაბამისობის და სასამართლოსათვის გადასაცემი მასალების გადაგზავნის მომზადება და კონტროლი.

რიგ შემთხვევებში, განკარგულებები საერთოდ არ არის გაცემული. ზოგ შემთხვევაში გაცემულია დარღვევით - ასლებზე არ არის მითითებული განკარგულების ნომრები, შემოწმების პერიოდი და ობიექტების მისამართები, რაც ობიექტების მხრიდან, განკარგულების კანონიერების გასაჩივრების საფუძველს წარმოადგენს.

ტექნიკური აქტები არასრულყოფილადაა შევსებული. ტექნიკური მდგომარეობისა და კომპლექსური შემოწმების აქტებზე, ყოველთვის არ არის ობიექტის წარმომადგენლის ხელმოწერა ან სათანადო შენიშვნა.

განმეორებითი გადამოწმებისას, როგორც ირკვევა, აქტების გაცემა, ყოველთვის მიზნობრივად არ ხდებოდა, ანუ კონკრეტული ობიექტებისათვის მიცემული მიწერილობების შესრულების მიმდინარეობის შესამოწმებლად. დარღვევები აღმოჩნდა ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა ოქმების შედგენისას - ოქმებზე მითითებულია გადამოწმების აქტების შედგენის თარიღებზე უფრო ადრინდელი თარიღები, ოქმები შედგენილია ტექნიკური აქტის შედგენის შემდგომ პერიოდში, მაგრამ გადამოწმების აქტის შედგენის გარეშე.

აღმოჩნდა, რომ არც ერთ შემთხვევაში დოკუმენტზე არ არის მითითებული ობიექტებზე მოქმედი მეწარმის (ან არამეწარმე სუბიექტის) საიდენტიფიკაციო ნომერი და მისი იურიდიული მისამართი, რაც აუცილებელი პირობაა სასამართლო განსჯის თვალსაზრისით. ყოველივე ეს გამოწვეულია სათანადო მიმოწერის უქონლობით შესაბამის საგადასახადო ორგანოებთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ხარვეზები, რაც ხშირად, სასამართლოების მხრიდან, მათ განუხილველად დატოვებას იწვევს.

თბილისის სამმართველოს მხრიდან, განვლილ შესამოწმებელ პერიოდში, ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა ფაქტების გამოვლენისა და ამ ფაქტებზე რეაგირების თვალსაზრისით გაწეული რიგი სამუშაოები, თავის მხრივ, ენერგომომხმარებელ ობიექტებზე, ელექტროენერგიით სარგებლობის წესების დარღვევების არადროულ აღმოფხვრას იწვევს. ყოველივე ამის მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სამმართველოში, შესაბამის რაიონებზე იურისტების მიმაგრების ბრძანებები არ არსებობს. ასევე, ბრძანებით არ არის განსაზღვრული იმ პირთა ვინაობა, რომლებიც აქტების შედგენის შემდგომ, მათ შესწავლა-განხილვას და სასამართლოსათვის გადასაგზავნი მასალების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას უნდა ახდენდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, სამმართველოს თანამშრომელთა მიერ ჩატარებული შემოწმებების საფუძველზე შედგენილი აქტები ხშირ შემთხვევაში არ იყო სრულყოფილი და კვალიფიციურად შესრულებული. აქტებში არ არის აღნიშნული, ენერგოზედამხედველობიდან არსებობს თუ არა დასკვნა, ამ ობიექტების ქსელზე მიერთების მიზანშეწონილობის შესახებ.

არის შემთხვევები, როცა შემოწმების მასალებში არ არის ობიექტის ელ. მომარაგების ცალხაზოვანი სქემები.

ცნობილია, რომ ენერგომომხმარებელი ორგანიზაციების საქმიანობის კანონიერება სხვა დოკუმენტებთან ერთად, განისაზღვრება სრულყოფილი ტექნიკური დოკუმენტაციით, მათ შორის, პირველ რიგში, ტექნიკური პირობებისა და ქსელზე მიერთების მიზანშეწონილობის შესახებ დასკვნის არსებობით. სპეციალისტები, აქტებში, თითქმის ყველგან, გვერდს უვლიან ზემოთ მითითებული დოკუმენტების არსებობის აღნიშვნას, განსაკუთრებით, კი ენერგოზედამხედველობის მიერ ქსელზე მიერთების დასკვნის არსებობას. მოქმედებენ ისეთი წარმოებები, რომელთაც წლების განმავლობაში არ ჩაუტარებიათ დამცავი დამიწების წინაღობების გაზომვები, არ გააჩნიათ ძალოვანი ტრანსფორმატორების ზეთის ლაბორატორიული შემოწმების ოქმები. აქტებში აღნიშნულია, რომ ტრანსფორმატორები და სხვა დენმიმღები დანადგარები არ არიან მიერთებულნი დამიწების კონტურებთან, უფრო მეტიც, ზოგჯერ საერთოდ არ არსებობს თვით დამიწების კონტურიც კი. ასეთი ობიექტები, როგორც წესი, უნდა გამოირთოს ქსელიდან ენერგომომმარაგებელი ორგანიზაციის მიერ, რის შესახებაც შეტყობინებები გაგზავნილია. ზოგჯერ ობიექტის გადამოწმების აქტებში კვლავ ფიგურირებს წინა მიწერილობებში მითითებული დარღვევები, ე.ი. დარღვევები აღმოუფხვრელია, ობიექტი კი განაგრძობს მუშაობას, შესაბამისად, ხშირ შემთხვევებში, აქტებში გრაფა "დასკვნა" რატომღაც შეუვსებელია და გაუგებარია, რა გადაწყვეტილება მიიღო ენერგოზედამხედველობის წარმომადგენელმა ობიექტის მიმართ. გვხვდება ქსელზე მიერთებული ე.წ. ქვეაბონენტები. ისინი ელ.ენერგიას იღებენ ტექნიკური პირობებისა და ენერგოზედამხედველობის დასკვნის გარეშე. აღნიშნულ ობიექტებზე ინფორმაცია მიწოდებულია ენერგომომმარაგებელ ორგანიზაციაში.

ერთ-ერთი ობიექტის შემოწმების აქტის N0390 ("ორბი") ორივე ეგზემპლარი ინახება თბილისის სამმართველოში და იგი ობიექტის ხელმძღვანელობამდე არაა მიტანილი. უხეშად ირღვევა აღრიცხვის კვანძების ექსპლოატაციის წესები. არის მრიცხველის ქვედა ხუფის უქონლობისა და დენის ტრანსფორმატორების ღიად ყოფნის შემთხვევები. ასეთ დროს, არ არის გატარებული ჯარიმები, სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლები, გათიშვები და სხვა ღონისძიებები. რბილად რომ ვთქვათ, ძალზე არაკვალიფიციური შემოწმების ფაქტები



გვხვდება. 1000 ვოლტის ქვემოთ ძაბვის მქონე ობიექტების მიღების დროს, ზოგჯერ, ობიექტზე ნებართვის გაცემის ისეთი ფაქტი გვხვდება, სადაც არ არის მითითებული შემსრულებლის გვარი, თარიღი, დანადგართა ჩამონათვალი სიმძლავრეთა ჩვენებით და ბეჭედი.

როგორც აღვნიშნეთ, ელ.მეურნეობაში არსებული დარღვევებისათვის ობიექტი ექვემდებარება ქსელიდან გათიშვას და მის მიმართ შესაბამისი ღონისძიების გატარებას. სამწუხაროდ, ასეთი რამ არც თუ ხშირად ხდება. მაგალითისათვის: ჯანმრთელობის დაცვისა და სოც. უზრუნველყოფის სამინისტროს ობიექტების შემოწმების შემთხვევაში, ელ.მეურნეობაში არსებული დარღვევების შესახებ სამინისტროს კი ეცნობა, მაგრამ ამ ობიექტის მიმართ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები არ გატარდა. ელ.მომმარაგებელ ორგანიზაცია სს "თელასში", გაგზავნილია მოთხოვნა 500 ობიექტის გათიშვაზე, მაგრამ მათი მხრიდან გათიშულია მხოლოდ 13 ობიექტი. ზოგჯერ, აქტში აღნიშნული დარღვევების გამო, ობიექტი ითიშება ქსელიდან, მაგრამ ამ დარღვევების გამოსწორების გარეშე, ელ.მომმარაგებელი ორგანიზაციის მიერ, მალევე დგება ძაბვის ქვეშ.

კომისიის მიერ, თბილისის სამმართველოს კომპლექსური შემოწმების აქტების განხილვისა და გამოვლენილი დარღვევების შესახებ მასალები იმდენად ბევრია, რომ მათი გაშუქება შეუძლებელია, ამიტომ მხოლოდ რამდენიმეზე შევჩერდებით.

აქტი 0476 შპს "კახეთი" - ქინძმარაულის II შეს. N8 (შემმოწმებლები - ცაავა, ლარცულიანი). აქტს არ ახლავს განკარგულება. ობიექტს არ აქვს სს "თელასის" მიერ გაცემული ტექნიკური პირობები. არა აქვთ ტრანსფორმატორის ზეთის ლაბორატორიული შემოწმების სათანადო ოქმები.

აქტი 0478 სს "კახეთი" - იუმაშევის 17 (შემმოწმებლები - დაბრუნდაშვილი, ჯეირანაშვილი) განკარგულება N106-ში შემოწმების პერიოდის ვადები ხელითაა გადასწორებული, განკარგულებაში ობიექტი მოხსენიებულია როგორც შპს, ხოლო აქტში ნაჩვენებია, როგორც სს "კახეთი". შემოწმებისას არ ჩანს ობიექტს აქვს თუ არა ტექნიკური პირობები გაცემული ენერგომომმარაგებელი ორგანიზაციიდან, ასევე გაურკვეველია, ენერგოზედამხედველობამ ქსელზე მიერთების მიზანშეწონილობის შესახებ გასცა თუ არა დასკვნა. ჩასატარებელია სატრანსფორმატორო ზეთის ფიზიკურ-ქიმიური ანალიზი.

აქტი 0420 (შემმოწმებლები - საღარაძე, აწყვერელი), იაშვილის სახელობის ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფო, ლიუბლიანის ქ. N2/4. არ ჰყავთ ელ.მეურნეობაზე ბრძანებით გაპიროვნებული მომსახურე პერსონალი (დარღვეულია ელ.დანადგართა ტექნიკური ექსპლოატაციის წესების მოთხოვნები), ენერგომომმარაგებელი ორგანიზაციის ნებართვის გარეშე, ადმინისტრაციული შენობის გათბობა განხორციელებულია რადიატორებში გამახურებლების გამოყენებით, რაზეც ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის 92-ე მუხლით, შემმოწმებლებს არა აქვთ გატარებული ადმინისტრაციული ღონისძიება, ობიექტი კი განაგრძობს მუშაობას.

აქტი 0389 (შემმოწმებლები - საღარაძე, აწყვერელი), დიდუბე, ცემის ქ. 4 "ელ.ტექნიკური ქარხანა". ობიექტი აქაც განაგრძობს მუშაობას, არ ჰყავთ ბრძანებით გამოყოფილი მომსახურე პერსონალი, არ არის შემოწმებული ობიექტის ქვეაბონენტების კანონიერება (უცნობია, აქვთ თუ არა საჭირო ტექ.დოკუმენტაცია ელ.ენერგიის მისაღებად, სად იხდიან დახარჯული ელ.ენერგიის ღირებულებას და სხვა).

აქტი 0414 (შემმოწმებლები - საღარაძე, აწყვერელი), სს "ტრავმატოლოგი", ჩხეიძის 17, 0.4 კვ გამანაწილებელ მხარეს, დენმკვეთები და ელ.დანადგარები, საერთოდ არ არის მიერთებული დამიწების კონტურთან (არ არის დაცული ელ.დანადგარების ტექნიკური ექსპლოატაციის წესების მოთხოვნები). ისეთ საპასუხისმგებლო ობიექტს, როგორიცაა, ხალხმრავალი თავშეყრის ადგილი - საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე (ყოფილი პიონერთა სასახლე), აქტი 0372 არ გააჩნია დამცავი დამიწების კონტური. ობიექტი გადამოწმდა, სადაც მითითებულია, რომ 10 მიწერილობიდან მხოლოდ 3 შესრულდა, არ შესრულდა 7 მიწერილობა, მათ შორის, დამცავი დამიწების კონტურის მოწყობა, რაც ძალზე საპასუხისმგებლოა. ასეთ დროს, უნდა გატარებულიყო შესაბამისი ღონისძიება შემმოწმებლების მხრიდან, რაც არ გაკეთებულა. ობიექტის წარმომადგენელი აქტზე ხელს არ აწერს.

აქტი 000686 (შემმოწმებლები - საღარაძე, ლაფაჩი), "პედიატრიული კლინიკა", ლიუბლიანის 21. ენერგომომხმარებლის მრიცხველის კარადას არ ადევს ბრჯენი. არ გააჩნიათ მრიცხველის შემოწმების აქტი, ენერგოზედამხედველობის მიწერილობებში აღრიცხვის წრედის შემოწმებისას არ არის მითითებული აღმოჩენილი დარღვევების შესახებ. არ არის გატარებული ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის 961 მუხლით გათვალისწინებული სანქცია.

აქტი 000677 (შემმოწმებლები - ცაავა, მუმლაძე), სს "ტრანსმშენი". განკარგულება 624 გაცემულია 9 სექტემბერს, ხოლო შემოწმების პერიოდი განკარგულებაში არ ჩანს. ობიექტს ჰყავს ქვეაბონენტები: შპს "უშბა", შპს "ჯოკერი", შპს "ელეგანტი" და სხვა, რომელთა კანონიერებაზე აქტში არაფერია ნათქვამი (სად იხდიან თანხას და რა ტარიფით, აქვთ თუ არა ტექნიკური დოკუმენტაცია).

აქტი 00635 - კომბინატი "იალბუზი", აგლაძის 32, (შემმოწმებელი - დაბრუნდაშვილი). ობიექტი გადამოწმდა. შემოწმების აქტში არ არის შევსებული გრაფა "დასკვნა". შეუსრულებელია მიწერილობაში მითითებული ხარვეზები. ობიექტს ჰყავს 18 ქვეაბონენტი. აქტში კი არ ჩანს მათი კანონიერება და შესაბამისობა "ელ.ენერგიის მოხმარების დროებითი წესების" 6.5 პუნქტთან. ობიექტი მაინც განაგრძობს მუშაობას.

აქტი 0395 - საქ. მეცნ. აკადემიის სპეც. საკონსტრუქტორო ბიუროს "საცდელი წარმოება", ს. ეულის 7, (შემმოწმებლები - ჭყონია, შარაშიძე). არ გააჩნიათ არავითარი ტექდოკუმენტაცია. ამასთანავე, დარღვეულია უსაფრთხოების წესები, რამაც შეიძლება ხანძარი და უბედური შემთხვევა გამოიწვიოს.

აქტი 0412 (შემმოწმებლები - ცაავა, ლარცულიანი), "ავტოპარკი", სამგორის რაიონი, ჟორეთის 7. ობიექტს არ გააჩნია არავითარი ტექდოკუმენტაცია. მოხდა გადამოწმება. 9 მიწერილობიდან შესრულდა 4, 5 კი არა. დასკვნაში მოცემულია უარყოფითი შეფასება: "არ აკმაყოფილებს ელ.დანადგართა მოწყობისა და ტექნიკური ექსპლოატაციის წესებს", ღონისძიება კი არ არის გატარებული.

აქტი 000566 - "დაავადებათა სახ. სტატისტიკის ეროვნული ცენტრი", ასათიანი 9 (შემმოწმებლები - ცაავა, ლარცულიანი) არ აქვთ არავითარი ტექნიკური დოკუმენტაცია, ჰყავთ ქვეაბონენტები, რომლებიც უკანონოდ არიან მიერთებულნი ქსელში, ობიექტი I კატეგორიისაა, დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის N303 ბრძანებულება, სადაც აღნიშნულია, რომ სასიცოცხლო და საპასუხისმგებლო ობიექტებზე არ შეიძლება ისეთი მომხმარებლების მიერთება, რომლებიც არ განეკუთვნებიან ძირითადი მომხმარებლების კატეგორიას. ობიექტი გადამოწმდა, გაირკვა, რომ 14 მიწერილობიდან არ შესრულებულა 9 ღონისძიება. შემმოწმებლების მიერ დასკვნა შეუვსებელია და შესაბამისად, ობიექტის მიმართაც არავითარი ღონისძიება არ არის გატარებული.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სამმართველოს საქმიანობის შესწავლის პროცესში, დეპარტამენტის კომისიამ შერჩევით, უშუალოდ ობიექტებზე გასვლით, გადაამოწმა ადრე შემოწმებული 10 ენერგომომხმარებელი ორგანიზაცია, რომელთა მიმართ შედგენილი იყო (კვლავ არსებული დარღვევების გამო) სათანადო აქტები და გატარებულია ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის 2004 წლის 29 სექტემბრის N67/ო ბრძანების შესაბამისად, გარდა ცენტრალური აპარატისა, ჩატარდა ამავე დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის სამმართველოს, 2004 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე განვლილი პერიოდის საქმიანობის კომპლექსური შემოწმება. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ შემმოწმებელთა მხრიდან სერიოზული შეცდომებია დაშვებული და ეს შეცდომები, თითქმის, იდენტურია ყველა შემოწმებულ ობიექტზე.

აღნიშნულ სამმართველოს, განვლილ ცხრა თვეში, გეგმით, საზედამხედველო შემოწმებები უნდა განეხორციელებინა 375 ობიექტზე, მათ შორის 21 კომპლექსური. ფაქტობრივად, შემოწმდა 87 ობიექტი, მათ შორის 11 კომპლექსურად, რაც გეგმის 25 პროცენტზე ნაკლებია. უფრო მეტიც, საერთოდ არ შემოწმებულა ყაზბეგის და თიანეთის რაიონები. გადამოწმდა განვლილ სამ კვარტალში სამმართველოს მიერ შედგენილი აქტები, რომლებიც, როგორც წესი, იწერება ყოველი საზედამხედველო ობიექტის შემოწმების დასრულების შემდეგ. განხილული აქტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შედგენილი აქტების შესრულების ხარისხი ძალზე დაბალია. უმეტეს შემთხვევაში, შემოწმებები ტარდებოდა ზერელედ და არაკომპეტენტურად. სამმართველოს ზოგიერთი მუშაკის საქმისადმი გულგრილი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად, რიგი ობიექტებისა, წლიდან წლამდე დარღვევებით განაგრძობდნენ საქმიანობას. სამმართველოს სამოქმედო ზონაში ისეთი მომხმარებლები მუშაობენ, რომელთაც არა თუ დამიწების კონტურთან არა აქვთ მიერთებული დანადგარები, არამედ, საერთოდ არ გააჩნიათ დამიწების კონტური. ისეთი მომხმარებლებიც არიან, რომლებზეც არ არის გაცემული ტექნიკური პირობები და დასკვნა ქსელზე მიერთების მაზანშეწონილობის შესახებ. არის შემთხვევები, როცა ობიექტის შემოწმება ხდებოდა დეპარტამენტის იმჟამინდელი ხელმძღვანელობიდან გარკვეულ პირთა უშუალო მითითებით და სამმართველოს ხელმძღვანელობის იგნორირებით. საქმიანობენ ისეთი ელ.მომხმარებლები, სადაც ბრძანებით არ არიან გაფორმებული ელ.მეურნეობაზე პასუხისმგებელი პირები.

ელ.მომხმარებელ ორგანიზაციებს არ აქვთ ტრანსფორმატორში არსებული ზეთის ლაბორატორიული შემოწმების ოქმები, არ არის ჩატარებული დამცავი დამიწების წინაღობების გაზომვები. თითქმის ყველგან დარღვეულია უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები და ტექნიკური ექსპლუატაციის წესები. საზედამხედველო ობიექტების შემოწმებისას აღმოჩნდა ისეთი დარღვევები, რომლებიც კვალიფიცირდება, როგორც ელ.ენერგიის დატაცება (აღრიცხვის ხელსაწყოების ბრჯენების დაზიანება, მათი მომჭერების ხუფების უქონლობა, ზოგჯერ კი მრიცხველის გარეშე ელ.ენერგიის ხარჯვა და სხვა). საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მთელი ცხრა თვის განმავლობაში, სამმართველოს სპეციალისტების მხრიდან, ერთხელაც არ შემდგარა ადმინისტრაციულ - სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ოქმი და არ გატარებულა რაიმე საჯარიმო ღონისძიება. თუმცა, ასეთი სახის დარღვევებს არც თუ იშვიათად ვხვდებით აქტებში.

ამრიგად, სრულიად უგულვებელყოფილია საქართველოს კანონის "ენერგეტიკის შესახებ" და ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის დებულების მოთხოვნები.

რამდენიმე შემთხვევაში, ერთი და იგივე ობიექტზე, ერთი და იმავე პიროვნების მიერ 2003 და 2004 წელს ჩატარებული შემოწმებების შედეგად აქტებში მოყვანილი დარღვევები და მიწერილობები, შეუდარდა ერთმანეთს და ისინი აბსოლუტურად იდენტურნი აღმოჩნდნენ, ე.ი. რიგი ობიექტებისა, წლიდან წლამდე, ერთი და იგივე დარღვევებით განაგრძობდნენ მუშაობას. არის შემთხვევები, როცა ახალგასაშვები ობიექტების ქსელზე მიერთების დასკვნა გაიცემა, ხოლო საჭირო დოკუმენტაცია, რასაც პროცედურა ითვალისწინებს, არასრულყოფილია ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ობიექტს ბრძანებით არ ჰყავს ელექტრომეურნეობაზე მიმაგრებული პასუხისმგებელი პირი.

აქტების ანალიზმა კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ შემოწმების აქტების შესრულების ხარისხი, პროფესიული თვალსაზრისით, დასახვეწია. ელ.სქემებზე დარღვეულია სტანდარტებით გათვალისწინებული პირობითი აღნიშვნები, ზოგან არ იკითხება ტრანსფორმატორის დადგმული სიმძლავრე, მათი გრაგნილების შეერთების ჯგუფები და სხვა. ზემოთ მოყვანილი ფაქტები, კიდევ ერთხელ მიუთითებენ, რომ შემოწმებები ჩატარებულია ზერელედ და არაკომპეტენტურად.

ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის სამმართველოების კომპლექსური შემოწმების მასალების განმხილველმა კომისიამ იმსჯელა შემმოწმებელი კომისიის მიერ წარმოდგენილ წინადადებებზე და კენჭისყრის შედეგების საფუძველზე გადაწყვიტა, ეთხოვოს დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რათა სამმართველოების იმ თანამშრომელთა მიმართ, რომლებმაც დაუშვეს დარღვევები, გატარდეს დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები.

რატომ მაინცდამაინც ეს ფანტასტიკური კაცი?



B2

ჩვენ მოვუყვებით საზოგადოებას...



B3

ჟორდანია პლატინის გუნდში ითამაშებს



B4

# ხალხის და ხელისუფლების სურვილები არ ემთხვევა

პირველი გვერდიდან

**- რამდენ ეტაპად დაყოფდით ხელისუფლების ქმედებებსა და მოტივაციებს ინაუგურაციის შემდგომ პერიოდში?**

- ეს პერიოდი ხელისუფლებისთვის და ხალხისთვის სხვადასხვაგვარად იყოფა. როგორც ჩანს, ხელისუფლებამ ცოტა მეტი იცოდა, რას აპირებდა და რას აკეთებდა. ხალხმა - საერთოდ არაფერი იცოდა და გამოიკვეთა, რომ ეს სურვილები ერთმანეთს არ ემთხვევა - ის, რაც ხელისუფლებას უნდოდა, განხორციელდა და ის, რაც ხალხს სურდა, დაწყებულიც არ არის. ხელისუფლებამ მშვენივრად იცოდა, რაზე უნდა ემუშავა ინაუგურაციის შემდეგ და თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებებით მალევე გამოვლინდა, თუ რა უნდოდა. ეს არის ის, რაც რევოლუციაში მონაწილე ხალხს არ მოუთხოვია. ხალხს აინტერესებდა ღირსების, კარგი ცხოვრების, წესიერი განათლების და ა.შ. დაბრუნება. მაგრამ არავის აფიქრებდა, მაგალითად ის, რომ საქართველოს პრეზიდენტს თავი კომფორტულად ეგრძნო და მისი მოქმედებები გაუკონტროლებელი ყოფილიყო. ამიტომ ვფიქრობ, რომ ხალხის იდეებზე პირველი სერიოზული დარტყმა სწორედ თებერვალში მოხდა და გამოიკვეთა, რომ ხელისუფლება და ხალხი სულ სხვადასხვა რამეზე ფიქრობდა. იმ მომენტში, როდესაც ხელისუფლებას მაღალი ავტორიტეტი და მხარდაჭერა აქვს, უპირველესად ცდილობს, ისე მოიწყოს საქმე, რომ მისი კრიტიკა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყოს. იმ დროს, როდესაც ჩვენ გახარებულები ვიყავით, ხელისუფლება უკვე ფიქრობდა, რომ ჩვენ ვართ ხალხი, რომელიც არამხოლოდ შევარდნაძეს, არამედ ნებისმიერ მთავრობას შეუქმნის პრობლემებს. ჩვეულებრივ, ეს ნებისმიერ რევოლუციას ახლავს - ყველა რევოლუციონერი ფიქრობს, რომ მასაც რევოლუციას მოუწყობენ და ისეთი ხელისუფლების დამყარებას ცდილობს, რომელიც ამას გამორიცხავს. ბოლოს კი, ყველა რევოლუცია შეიძლება ფიდელ კასტროთი დამთავრდეს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველა რევოლუცია ასე არ დამთავრებულა და ჩვენ იმედებიც უნდა ვიქონიოთ. საქართველოში კასტროიზაცია თებერვალში დაიწყო... თებერვლის ცვლილებები მორალურად იყო შეუძლებელი, ვინაიდან ეს ცვლილებები დამხობილმა ხელისუფლებამ განახორციელა. ჩვენ შევარდნაძესთან ერთად სარიშვილის და რჩეულიშვილის ხელისუფლებაც დავამხეთ, არადა პარლამენტი მაშინ მაგათი იყო. იმ პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილებები, რომელიც ხალხმა სამართლიანად გარეკა. ის პარლამენტი არანაირად არ იყო კანონიერი. თუკი ოდესმე საქართველოში ოპოზიციას იმის ძალა ექნება, რომ ეს საკითხი დააყენოს, ჩვენ ამას გავაკეთებთ და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი საკონსტიტუციო სასამართლოც კი ვერ ცნობს იმ პარლამენტს კანონიერად. სამწუხაროდ, ჩვენ დღეს ამის ძალა არ გვაქვს...

ხელისუფლება მაშინვე გაემიჯნა ხალხს, როცა თქვა, ფეხებზე მკიდია თქვენი პრობლემები, მთავარია, მე არ შემიქმნათ პრობლემებიო. ეს სერიოზული განაცხადი იყო, რითიც თებერვლის მერე საქართველოს ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, დაამთავრა რევოლუციის რომანტიკული ფაზა და დაიწყო საქმიანი ფაზა. დღეს ყველა გადაწყვეტილებას რევოლუციურად, ორ დღეში იღებენ. ახლაც, სანამ ჩვენ ვსაუბრობთ, განსახილველად შემოტანილია კანონპროექტი, რომელიც საქართველოს 2 დღეში აქცევს პოლიციურ სახელმწიფოდ.

**- გულისხმობთ კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები ერთიანდება?**

- დიახ. ჩემი სიტყვებით რომ გითხრათ, ერთ-ერთ მუხლში წერია - კიდევ რა უნდა გააკეთოს ოპერატიულმა მუშაკმა, თავად შეუძლია მოიფიქროსო... ხელისუფლება ცინიკურად და ყოველგვარი მოკრძალების გარეშე ფიქრობს, რომ მას რევოლუცია ემუქრება. ამიტომ, ყველა მისი ნაბიჯი გადადგმულია მომავალი რევოლუციის აღსაკვეთად.

**- დღეს ოპოზიცია სუსტია. თუმცა, ეს ალბათ არაფერს ნიშნავს, რადგან თუ გავიხსენებთ, 2000 წელს მხოლოდ "მოქკავშირი" იყო. რა მომავალი აქვს დღევანდელ ოპოზიციას?**

- ოპოზიციას გაძლიერების დიდი შანსი აქვს. საქმე ის არის, რომ არსებული ოპოზიცია ისტორიულად გაუქმდა. დღეს ოპოზიცია უკვე უნდა არსებობდეს, რადგან საქართველოში ყველა სააკაშვილის მომხრე და ჟვანიაზე მლოცველი ხომ არ იყო, მაგრამ ის ოპოზიცია, რომელიც ბუნებრივად უნდა არსებობდეს, თვითგანადგურების გზას დაადგა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც მისი ხალხი მიტინგებზე ელოდა და ისინი პარლამენტის დარბაზში გამოცხადდნენ - "ახალ მემარჯვენეებს" ვგულისხმობ. "ერთი ალილო მღვდელსაც შეეშლებაო", მაგრამ შეცდომაც არის და შეცდომაც. ეს ის შეცდომაა, რომლის მერეც "ახლების" პოლიტიკური მომავალი პერსპექტიულად არ მეჩვენება. მე თუ მკითხავთ, ეს არც არასდროს ყოფილა სერიოზული პოლიტიკური ძალა. რაც შეეხება შალვა ნათელაშვილს - ქართველებს ქონების განიავება გვახასიათებს. ნათელაშვილმაც დიდი პოლიტიკური კაპიტალი გაანიავა და არ მჯერა, რომ ასეთი თავქარიანი საქციელის შემდეგ მას ექნება შანსი, დაიბრუნოს ხალხი და ხმები. ამიტომ, ამ ოპოზიციის გაძლიერება არ მოხდება. მოხდება ის, რაც ისტორიულად ხდება ხოლმე - ცოტა ჩვენი მეცადინეობით, ცოტაც შიგნით არსებული ვითარების წყალობით, უმრავლესობა შობს თავის მომავალ მესაფლავეებს და ეს პროცესი მიმდინარეობს.

**- და, რა თქმა უნდა, შეთვალიერებული გეყოლებათ მომავალი პარტნიორი.**

- ცალკეულ ადამიანებზე თავს ვერ დავდებ, რადგან როცა ვამბობ, მერე ამ ადმიანებს პრობლემები ექმნებათ. ჩვენ შეთვალიერებული გვაქვს პროცესი და კენჭისყრებზე დაკვირვებაც კი სრულიად საკმარისია იმის სათქმელად, თუ რა მოხდება ქვეყანაში ამ თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, უმრავლესობა დაიშლება. ჩვენ ვიყავით და ვრჩებით ოპოზიციაში, მაგრამ იმას ვერ გეტყვით, რომ 2 ან 3 წელიწადში სრულიად საქართველოს "რესპუბლიკური" იდეები მოეფინება. შეიძლება, ისტორიამ სხვა როლი გვარგუნოს.

**- თქვენი პარტია 26 წლის არის. სტაბილურად ხართ ოპოზიციაში, ინარჩუნებთ რეპუტაციას და ტრადიციულად ტოვებთ გაერთიანებებს. რა არის ამის მიზეზი?**

- ეს ჩვეულებრივი პროცესია და ძალიან ჰგავს თანამედროვე ფეხბურთს. მაგალითად: რონალდო თამაშობდა ესპანეთში, მერე წავიდა იტალიაში, მერე ისევ ესპანეთში დაბრუნდა, თან პირველი გუნდის საწინააღმდეგო გუნდში, თან ყველგან კარგად თამაშობდა...

**- თქვენ გინდათ თქვათ, რომ "რესპუბლიკური" პარტიიდან წასულები ყველგან კარგად თამაშობენ?**

- მე თუ მკითხავთ, ყველგან ჩვენ ვთამაშობდით კარგად. ირინა სარიშვილი რომ კარგად ვერ თამაშობდა და საერთოდ არის თუ არა პოლიტიკაში, ეს სხვა ამბავია...

**- გულისხმობთ პერიოდს, როდესაც "რესპუბლიკელები" და "ედპ" პარტნიორები იყვნენ?**

- იყო ასეთი მომენტი. "რესპუბლიკური პარტია" ალიანსში ყოფილა "სახალხო ფრონტთან", "ედპ"-სთან და "ნაცმოძრაობასთან". არასდროს არ ყოფილა ალიანსში არც ერთ მმართველ ძალასთან, გარდა ამ უკანასკნელი შემთხვევისა, როდესაც იმ უბრალო მიზეზის გამო შევყოვნდით მმართველებთან, რომ ასლან აბაშიძის პრობლემის მოგვარება იყო წინ. ყველგან, სადაც მივდიოდით, გულწრფელები ვიყავით, გარკვეულ წარმატებას ვაღწევდით. მერე იწყებოდა ისეთი პროცესი, რომლის მიხედვითაც ან პარტნიორთან ერთად უნდა წავსულიყავით სხვაგან, ან გზები უნდა გაყოფილიყო. როცა სარიშვილმა შევარდნაძისკენ დაიწყო გადახვევა, ბუნებრივია, მასთან ერთად ვერ დავრჩებოდით. ჩვენი ფორმულა ნათელი იყო - შევარდნაძე-აბაშიძეს - არა! "ნაციონალურ მოძრაობასთან" ერთად ჩვენ, მადლობა ღმერთს, აბაშიძეს ისტორიაში მივუჩინეთ ადგილი. მაგრამ, მერე აჭარის ავტონომია გამოშიგნეს, ფაქტობრივად, არ ჩაატარეს არჩევნები და არ მოგვცეს საშუალება, გვეჩვენებინა ვინ - ვინ არის აჭარაში. უაღრესად გაყალბებულ არჩევნებში, სადაც მმართველი პარტია დარბოდა და ყველაფერს კადრულობდა, სადაც ჩვენ წინააღმდეგ მთელი ადმინისტრაციული რესურსი ჩავიდა - პრეზიდენტი, ვერტმფრენები, პარლამენტის თავმჯდომარე, კომიტეტის თავმჯდომარეები - მათი აღიარებით, 14 პროცენტი მივიღეთ, მაგრამ როგორც ხვდებით, რეალურად ეს ცოტა უფრო მეტი იყო, ვიდრე 14 პროცენტი. როგორც გაირკვა, მმართველ ძალას ჩვენი, ყოფილი პარტნიორების ეშინოდა, რომ აჭარას საქართველოსგან გამოვყოფდით - ასეთი სისულელეებიც ითქვა. მართალი გითხრათ, ჟვანიასგან ან ვინმე ასეთისგან პატრიოტიზმში შენიშვნას ვერ მივიღებ. ნამდვილად ვიცი, რომ "რესპუბლიკური პარტია" ციხეში სამშობლოს სიყვარულისთვის იჯდა და არა ტერმინალების გაყიდვისა და ფულის შოვნისთვის... თუ ვიმსახურებთ რაიმე პატივისცემას, მხოლოდ იმიტომ, რომ ინტელექტუალური ბირთვის შენარჩუნებას ვცდილობდით და არა მხოლოდ პარტიის შიგნით - "ნაცმოძრაობის" სახეებს თუ გადახედავთ, ყველაზე უკეთესი, ყოფილი ან ახლანდელი "რესპუბლიკელები" არიან. დათო უსუფაშვილი, თინა ხიდაშელი, დათო დარჩიაშვილი, პაატა ზაქარეიშვილი - ე.წ. opinion maker-ები, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში რაღაცას წარმოადგენენ. თუმცა, ეს არაფერს ნიშნავს, რადგან "ტარანი თვლითაა" - პარლამენტში ჩვენ მხოლოდ 4 კაცი ვართ, მაგრამ 4 კაცად არ ვგრძნობთ თავს. ცოტა მეტ ძალაუფლებას ვგრძნობთ, რადგან როდესაც ყოფილი პარტნიორები ჩვენ წინააღმდეგ რაღაცას წამოიწყებენ, სერიოზულ ძალებს გამოიყენებენ ხოლმე.



ხელისუფლება ცინიკურად და ყოველგვარი მოკრძალების გარეშე ფიქრობს, რომ მას რევოლუცია ემუქრება. ამიტომ, ყველა მისი ნაბიჯი გადადგმულია მომავალი რევოლუციის აღსაკვეთად.

მშრალი ხიდი ხომ ცხოვრებამ შექმნა? ესეც ხომ ძეგლია - "მონუმენტუმ" - მეხსიერების ძეგლი?! რესტორნების მშენებლობის გამო ამ ხალხის იქიდან გაყრა სწორი არ არის.

**- ბათუმის ნავსადგურისა და ტერმინალის გაყიდვისას, ხელისუფლება იმდენად გააფთრებული იცავს თავის პოზიციას, რომ მისი გულწრფელობა საეჭვო ხდება. სინამდვილეში რა ხდება?**

- ეჭვი მეპარება, რომ აქ სიტყვა "ხელისუფლება" სწორია. პოზიციებს გააფთრებით იცავს პრემიერ-მინისტრი, რადგან პრეზიდენტს ყოველ მეორე დღეს ეპარება ეჭვი და როგორც მოსწავლეს, ჟვანია ისე უხსნის დაფაზე, რა კარგია ამის გაყიდვა და რამდენ ტანკს ვიყიდით ამ ფულით.

ეს არ არის ეკონომიკური საკითხი და არ გაგიკვირდეთ, თუ ფილოლოგი ბერძენიშვილი ამაზე ვილაპარაკებ. არასდროს მიმიცია თავისთვის უფლება, ჩავერიო იმაში, რაც არ ვიცი, მაგრამ ეკონომიკაში დაახლოებით იმდენი და ცოტა მეტიც კი მესმის, რამდენიც პრემიერ-მინისტრ ჟვანიას; ასე მეჩვენება, რადგან პრემიერს ეკონომიკაში ყველაზე მთავარი ყიდვა და გაყიდვა ჰგონია.

დიახ, Financial Times-ში გამოვაცხადეთ, რომ ვყიდით, მაგრამ ჩვენ არ გვითქვამს, რომ ვყიდით ბათუმს, ქუთაისს და თან ძვირად. კი ბატონო, გაყიდოს, მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ ფასი - არც აუდიტი ჩატარებულა და არც არავის უთქვამს რეალურად, რა ღირს ეს ობიექტი. მათი ანგარიშით კი გამოდის, რომ ბათუმში 1 კვადრატული მეტრი 2 ლარი ღირს... მართლა? ამისთვის გახდა ჟვანია პრემიერ-მინისტრი? ის უაღრესად არაკვალიფიციური პრემიერ-მინისტრია და იმ წუთას, როდესაც საქმე ყიდვა-გაყიდვაზე მიდგა, რომელიც მას რატომღაც, თავისი ბუნებრივი საქმიანობა ჰგონია, იმ წუთასვე გამოჩნდა, რომ აზრზე არ არის. შარშან "ნოუთბუქით" დარბოდა და ხალხისთვის მინიმუმ 115 ლარი უნდა მიეცა ხელფასად. როცა პრემიერი გახდა, 5 ლარის მომატებაზეც არ იყო თანახმა... ბათუმის ტერმინალის შეფასება არ მომხდარა, ბათუმის პორტზე ტენდერი არ გამოცხადებულა და ხურდაში ბათუმის გემებთან ერთად გაყიდვას ვინ დაეთანხმება?

თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო ნიკო მელიქაძის წერილი, რომელიც ხელისუფლებამ სულ ტყუილად დატოვა უყურადღებოდ - ტყუილია, რომ ყველაზე მთავარი ძვირად გაყიდვაა, ეს არის ჩარჩის და ვაჭრის ფილოსოფია, რომელიც 2-3 საუკუნის წინ მოძველდა. ჩვენ საქართველოს განვითარება გვაინტერესებს. მინდა ბათუმი განვითარდეს... გადახედეთ კანონს ორი სამინისტროს გაერთიანების შესახებ და მიხვდებით, რომ ფულს ხვალვე დახარჯავენ პოლიციური სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად. დავუშვათ, სწორად დახარჯავენ - ის ხომ დაიხარჯება და არ განავითარებს იმ ადგილს? გაყიდვის დროს მთავარი არგუმენტი იაფი და ძვირი არ არის. ისეთი გაყიდვა გვინდა, რაც ეკონომიკას განავითარებს.

**- და გგონიათ, რომ ამ გარიგებას ხელს შეუშლით?**

- ვიყვირებთ... სხვათა შორის, ამ ყვირილის მერე ის ადგილი გაძვირდა და ასლან აბაშიძეს, რომელიც, ფაქტობრივად, ყიდულობს ბათუმის პორტს (ყოველ შემთხვევაში, ასეთი ეჭვია), ცოტა პრობლემები შეექმნება.

**- ვინ იღებს პასუხისმგებლობას შემოსული ინვესტორის საიმედოობასა და ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე?**

- არავინ. ეკონომიკის ყოფილი მინისტრისგან უკვე გავიგონე - ამის უკან აბაშიძე არ დგას, მაგრამ რომც იდგეს, რა მოხდაო... ეჭვი არ მეპარება, რომ ბენდუქიძე ეკონომიკაში კარგად ერკვევა, მაგრამ პოლიტიკაში ასეთ სისულელეს ბავშვიც არ იტყვის. ეს არ არის ასე, ჩვენთვის სულერთი არ არის. ჩვენც ვიცით, თავის დროზე ვესპასიანემ რომ თქვა, "ფულს სუნი არ ასდის"-ო, მაგრამ ფულს საფრთხე მოაქვს. მარტივი ანბანი - ძვირი რომ სჯობია იაფს, ვიცით, მაგრამ ისიც ვიცით, რომ თუ სტრატეგიული ობიექტი ისეთი ხალხის ხელში ჩავარდა, რომელიც საქართველოს საფრთხეს შეუქმნის, ისინი ამას აუცილებლად გააკეთებენ და მერე რა ვუთხრა ჩემს შთამომავლობას? ჟვანია დღესვე არაპოპულარულია და რას იტყვიან მასზე მომავალი თაობები? ეს არის პარადოქსი - ჩვენმა რევოლუციამ ხელისუფლებაში მოიყვანა კაცი, რომელიც რევოლუციის იდეას ეწინააღმდეგებოდა.

**- ალბათ, უსმინეთ პუტინის ხანგრძლივ პრესკონფერენციას. რა შეიტყვეთ ახალი მის გამოსვლაში?**

- ახალი ის არის, რომ პუტინი ტერმინოლოგიის შეცვლას ცდილობს. მან არსებული რეალიების გადაწერა დაიწყო და ეს ძალზე შემაშფოთებელია. მან საქართველოსთან მიმართებაში რამდენიმე ისეთი ტერმინი გამოიყენა, რომელიც მიუთითებს, რომ რუსეთი ჩვენ წინააღმდეგ პოზიციის განმტკიცებას და უფრო აგრესიულ ქმედებებს აპირებს. ეს არის ის, რაშიც ძალიან კარგად მესმის ჩვენი ხელისუფლების შეშფოთება და ამ შემთხვევაში, მის გვერდით ვიქნებით.

პუტინმა საქართველოს დასავლეთთან მეგობრობის გამო უსაყვედურა. ეს აღმაშფოთებელია, მაგრამ ამავე დროს იმას მიუთითებს, რომ ჩვენ სწრაფად უნდა განვავითაროთ ეკონომიკა, რათა მინისტრებისთვის გადასახდელად სოროსის ფული აღარ დაგვჭირდეს. ზურაბ ჟვანია, განათლებული კაცი, კლასიკური პოლიტიკოსი, პარლამენტის ბრწყინვალე თავმჯდომარეა, მაგრამ მეურნეობის აზრზე არ არის. ჩემი პროგნოზით, ჟვანიას ბოლო შეცდომები გადაიყოლიებს და პოლიტიკაში დაბრუნდება.

**- ბათუმის პორტს გულისხმობთ?**

- ეს ერთ-ერთია. სხვათა შორის, ჟვანია რომ ცუდი პრემიერ-მინისტრია, ამას ისიც მიუთითებს, რომ მას ფორმალურად (სოროსის დახმარების გარეშე), ხელფასი ნაკლები აქვს, ვიდრე მის მინისტრებს. ეს ნიშნავს, რომ მან ბიუჯეტის წერა ვერ ისწავლა.

პუტინს დავუბრუნდები - მან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ახალი ტერმინით მოიხსენია და საზღვრების ურღვევობას "თეზისი" უწოდა, რაც ნიშნავს, რომ ურღვევი პრინციპიდან უბრალო თეზისად იქცა, რომელიც მალე "არასწორ თეზისად" გადაიქცევა. ამიტომ, ჩემი აზრით, უაღრესად ფხიზლად უნდა ვიყოთ და ყველანაირი კომკავშირული და საჩვენებელი მოქმედებები შევწყვიტოთ. მაგალითად, დღეს პარლამენტში ძალზე სერიოზული საკითხები წყდება და ნახევარი პარლამენტი ჯარშია. ომის გამოცხადების შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტი იკრიბება და შენობიდან არ გადის - ასე წერია კანონებში. რად მინდა, არველაძე ტყვიას ტყვიაში სვამდეს?! მინდა, რომ კანონებში ერკვეოდეს და სწორ გადაწყვეტილებებს იღებდეს. ევროპულმა ორგანიზაციებმაც მიგვითითეს, რომ ზედმეტი მილიტარიზაცია საჭირო არ არის.

**- რადგან სხდომაზე გეჩქარებათ, ბოლოს "საქწიგნის" და მშრალი ხიდის - "ბარახოლკის" - შესახებაც გკითხავთ...**

- "საქწიგნთან" დაკავშირებით, თავად გამომცემლებს შორის არის აზრი გაყოფილი. მე ვერ გეტყვით, რომ ეს საკითხი ღრმად ვიცი, მაგრამ მეჩვენება, გაყიდვა მეტ იმპულსს მისცემს დამოუკიდებელ გამომცემლებს.

რაც შეეხება მშრალ ხიდს - მართლა მშრალი და უსისხლო უნდა იყოს კაცი, რომ არ შეეცოდოს ხალხი, რომელიც ახლა ზედ ხიდზე დადგა ამ ყინვაში. ამ ხალხისთვის ადგილი უნდა მოიძებნოს. ახლა რაც ხდება, მიუთითებს იმას, რომ ჩვენი ხელისუფლება არა მხოლოდ უგულოა, არამედ - უტვინოც. წარმოიდგინეთ, ვინმე მოვიდეს საფრანგეთის ხელისუფლებაში და გაყიდოს პარიზის მშვენება - მდინარე სენას სანაპიროდან (სადაც იგივე, ოღონდ, უფრო სუფთად ხდება) ბუკინისტები გაყაროს. ეს მშრალი ხიდი ხომ ცხოვრებამ შექმნა? ესეც ხომ ძეგლია - "მონუმენტუმ" - მეხსიერების ძეგლი?! რესტორნების მშენებლობის გამო ამ ხალხის იქიდან გაყრა სწორი არ არის. სულ სხვაგვარად უნდა ჩამოყალიბდეს მშრალი ხიდი - მისასვლელიც და პირობებიც სხვა უნდა იყოს. როდესაც კაცი ქუჩაში დგას და თევზს ყიდის, ეს საშიშია და არ უნდა დაუშვა. როდესაც ადამიანი სახლიდან გამოტანილ ძველ ნივთს ყიდის, რომელიც იქ დადებით არ ფუჭდება და მთელმა თბილისმა იცის, სად უნდა მივიდეს ასეთი ნივთის საყიდლად, იმის იქიდან აგდება თბილისს ალარიბებს და მიუთითებს, რომ მის მართვაში მონაწილეობს ხალხი, რომელსაც ქალაქი არ ესმის და ეს დიდი პრობლემაა.




## თეატრები

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ბალეტის საღამო
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
პიტერ შაფერი
"ა.ს.ა"
(ანტი-სულიერების-ამფეთქებლები)
რეჟისორი: ნინო შოთაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ვაჟა-ფშაველა
"გველისმჭამელი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
დარიო ფო
"თავისუფალი წყვილი"
რეჟისორი: ქეთი დოლიძე
დას: 19:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
"მეფე ლირის თავშესაფარი"
რეჟისორი: ოთარ ბაღათურია
დას: 18:00 სთ.

**გლობუსი**
"თეატრის მოტაცება"
რეჟისორი: სანდრო მრევლიშვილი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
ოზი ოსბორნის კონცერტი
(2000 წელი)
ფასი: 1 ლარი
დას: 18:00 სთ.

**რუსთაველი**
"ღრუბლებთან თამაში"
დას: 22:15 სთ.

"ყველაზე მაგრები მსოფლიოში"
დას: 11:00; 13:15; 15:30; 17:45; 20:00 სთ.

**ამირანი**
"წყალქვეშა საძმო"
დას: 12:00; 14:00: 18:00; 20:00 სთ.
ფასი: 6-დან 14 ლარამდე

"მობილური ტელეფონი"
დას: 22:00 სთ.

მცირე დარბაზი
"ბანდიტები"
დას: 22:00 სთ.

**ცირკი**
რუსეთის საცირკო პროგრამა
ხუთი კონტინენტის 89 სახეობის ცხოველი
ფასი: 3-7 ლარი
ლოჟა: 15 ლარი
დას: 12:00; 15:00 სთ.

## გამოფენები

**ქარვასლა**
"ქარვასლასა" და სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცულ ექსპონანტთა გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**გალერეა "დიდი"**
(ერეკლე II-ის ქუჩა 13)
ტანსაცმლის დიზაინერის - მარიკა სააკაშვილის ნამუშევრების გამოფენა

**გოეთეს ინსტიტუტი**
ბეატ პრესნერის ფოტონამუშევრების გამოფენა

**ჰობი**
საშობაო გამოფენის გახსნა
დას: 17 საათზე

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"სამკაული და ისტორია"
მოძრავი გამოფენა-გაყიდვა

**ძველი გალერეა**
ავთანდილ გურგენიძის ფოტოგამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# მოდერნისტი მხატვრების რეპროდუქციების გამოფენა

სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასი" XX საუკუნის ავსტრიელი მოდერნისტი მხატვრების - ოსკარ კოკოშკას, გუსტავ კლიმტის და ალფრედ კუბინის რეპროდუქციებს მასპინძლობს.

გამოფენას, რომელიც სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ავსტრიის ელჩმა ჰაიდე მარია გიურერმა გახსნა, ქართველ კულტურის მოღვაწეთა გარდა მთავრობის წარმომადგენლებიც დაესწრნენ. გამოფენა დეკემბრის ბოლომდე გაგრძელდება. ჰაიდე მარია გიურერი იმედოვნებს, რომ რეპროდუქციებს უამრავი დამთვალიერებელი ეყოლება და მსგავსი ღონისძიებები ორ ქვეყანას შორის დამაკავშირებელი ხიდი იქნება. *მედია-ნიუსი*

# რატომ მაინცდამაინც ეს ფანტასტიკური კაცი?

### იმიტომ, რომ...

თამარ ბაბუაძე

*"რატომ მაინცდამაინც მე?" - გააპროტესტა რამაზ ჩხიკვაძემ, როცა რობერტ სტურუამ მიკროფონთან მიიწვია. მე კი მაშინვე დავრწმუნდი, რომ ნოდარ გურაბანიძე არ აჭარბებდა - მისი წიგნის "ფანტასტიკური რამაზ ჩხიკვაძე" მთავარი პერსონაჟი მსოფლიოში, მართლაც, ყველაზე თავმდაბალი კაცია.*

გუშინ საღამოს საქართველოს სავაჭრო ცენტრმა დროებით დაივიწყა თავისი უპირველესი ფუნქცია - ვაჭრობა და რამდენიმე საათის განმავლობაში, ასევე დროებით უსახლკაროდ დარჩენილი რუსთაველის თეატრის დასისთვის და მთელი თეატრალური სამყაროსთვის ურთიერთობის, მოგონებებისა და შეხვედრების ავანსცენად იქცა.

მიზეზი რამდენიმე იყო - 2005 წელს რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დასს დაარსებიდან 125 წელი უსრულდება, თვითონ შენობას - 100 წლისთავი, კრიტიკოსების მიერ უკვდავ წარმოდგენად შერაცხულ სპექტაკლს, "კავკასიური ცარცის წრეს" კი - 30 წელი. თუმცა, თავიდანვე ღონისძიების ღერძად რამაზ ჩხიკვაძე იყო ჩაფიქრებული. უფრო სწორად კი, წიგნი "ფანტასტიკური რამაზ ჩხიკვაძე", რომელიც ნოდარ გურაბანიძემ თავის მეგობარს მიუძღვნა და რომელშიც მსახიობის შემოქმედების სრულყოფილი ანალიზი შემოგვთავაზა.

და ასე - არაადექვატურ, სავაჭრო გარემოში - ვერცხლისფერი ლითონითა და ბევრი სინათლით სავსე სუპერთანამედროვე ცენტრის 1523 კვადრატულ მეტრზე გუშინ უჩვეულოდ თეატრალური აურა ტრიალებდა. ისმოდა გია ყანჩელის კომპოზიციები სპექტაკლებიდან, იატაკის პრიალა ფილებზე იუბილარი სპექტაკლის ძველი დეკორაციები ქმნიდა არტისტულ კონტრასტს, დიდ ეკრანზე კი იმავე სპექტაკლიდან ვიდეო-პროექცირებული ეპიზოდები შუქდებოდა. ამ "თეატრალურ ცარცის წრეში" კი ყველა - პრემიერმინისტრიც, ნაცნობიც, უცნობიც და ახლობელიც - ხელიდან არ უშვებდა


*წიგნის გმირი რობერტ სტურუასთან ერთად*

შანსს და უბოდიშოდ და ფამილარულად ატრიალებდა აქეთ-იქით ღონისძიების "ღერძს", ახალი წიგნის პერსონაჟს, რამაზ ჩხიკვაძეს. ვისაც გაუმართლა და გამოცემა ხელში ჩაიგდო (ყუთით მოტანილი წიგნები ელვის სისწრაფით დაიტაცეს, ზოგს ორ-ორი ეგზემპლარიც ეჭირა ხელში, სანამ სინდისმა არ შეაწუხა და ჩანთებში არ ჩამალა), ღიმილის და იუმორის გარდა, მისგან საჩუქრად ავტოგრაფსაც იღებდა. კიდევ ერთი დაწუწუნება - "ამდენი არასდროს მიწერია" საქმეს არ შველოდა. ავტოგრაფი საყვარელი მსახიობისგან ყველას სურდა; მერე კი ვიდეო და ფოტოკამერებთან ცალ-ცალკე გახმობილი რამაზ ჩხიკვაძე მაინც იმპროვიზირებულად და ხალისიანად პასუხობდა ჟურნალისტების ძირითადად ერთფეროვან კითხვებს.

"დღევანდელი დღე დიდი სიხარულის და ბედნიერების დღეა. ჩემი საყვარელი ეპიზოდი წიგნიდან? ალბათ, ის ნაწილი, სადაც ნოდარი უცხოეთში გასტროლებს იხსენებს. მას ძალიან ბევრი მასალა აქვს მოგროვებული და მათი ხელახლა გადაკითხვა უამრავ მოგონებას აღმიძრავს. აი, ნახეთ, ნახეთ, ასე ფეხზეწამომდგარი ლონდონში გასტროლისას შეგვხვდნენ. შეხედეთ, ეს ლონდონური ვარდებია სცენაზე რომ გვესროდნენ", - თან ეკრანზე მიუთითებდა მსახიობი და თან ხმამაღლა საუბრობდა, ხმაური რომ გადაეფარა, - "ისე კი, ერთს გეტყვით - ნოდარმა გაცილებით უფრო მეტი იცის ჩემზე, ვიდრე მე თვითონ".

ამ ცოდნიდან თავად ბატონმა ნოდარმა საუბრის დასაწყისშივე ის დეტალი გამოჰყო, ზევით რომ მოგახსენეთ - ასეთ თავმდაბალ ადამიანს ცხოვრებაში არ შევხვედრივარო. რამაზ ჩხიკვაძე იმაზეც კი ძალიან გალიზიანებულა, სათაურში ზედსართავი სახელი - "ფანტასტიკური" რომ იყო გამოყენებული. თუმცა, ნოდარ გურაბანიძე თავს იმართლებს, მე არაფერი მომიგონებიაო: "ნიუ იორკში გასტროლის დროს "ნიუ იორკ ტაიმსმა" დაბეჭდა ვრცელი წერილი თითქმის ასეთივე სათაურით და რამაზის სასტიკი უარის მიუხედავად, წიგნის სათაურადაც გამოვიტანე. ისედაც, "ფანტასტიკურის" გარდა, ქება ისე ვერ აიტანა, რომ ათობით ფურცლით შემაკვეცინა თხრობა".

წიგნი სამიოდე თვეში დაიწერა იმიტომ, რომ "თვითონ რამაზის შემოქმედებაა ასეთი ლაღი და თავისუფალი". მუშაობა იმ მხრივაც გაიოლდა, რომ მსახიობს ავტორი სტუდენტობიდან იცნობს და მისი თითქმის ყველა როლის შესახებ დაუწერია. "ერთხანს კულტურის მინისტრის პირველ მოადგილედ ვმუშაობდი, დასს თითქმის ყველა მოგზაურობისას ვახლდი თან. თუმცა, რამაზის პირველივე როლებსაც კი ისეთი ღრმა შთაბეჭდილება აქვთ მოხდენილი, რომ დღემდე მძაფრ ემოციას იწვევს ჩემში. აქ ყველაფერია, "ჭინჭრაქა", "ყვარყვარე", "მეფე ლირი" - მისი ყველა როლის შეფასება და ანალიზი", - დასძენს წიგნის ავტორი და თავისი "პერსონაჟის" ციტატას ასე ეხმაურება: "ერთხელ რამაზმა ერთ უცხოელს უთხრა ჩემზე: ამ კაცს უფრო მეტჯერ აქვს ჩემი "რიჩარდი" ნანახი, ვიდრე მე ნათამაშებიო".

აქედან გამომდინარე კი, რა გასაკვირი იქნება, თუ ასეთი სანდო ავტორის მონათხრობი მკითხველსაც ისევე თავისუფლად და ლაღად აიყოლიებს და შეიტყუებს წიგნის სიღრმეებში, როგორი სილაღითაც მსახიობის შემოქმედებამ დააწერინა მეგობარს წიგნი...

საღამოს დასასრულს კი, როცა უკვე სტუმრებმა იმავე დღეს გახსნილი საშობაო კაფისკენ იწყეს მსვლელობა, რამაზ ჩხიკვაძე, მგონი, უკვე ბედს შეგუებული იყო - "ქებას კაცი არ მოუკლავსო" - აღიარებდა, მაგრამ რობერტ სტურუას ნათქვამს - ეს დღე თქვენ გეკუთვნითო, მაინც აპროტესტებდა, სტურუას აქებდა და საზოგადოებას არწმუნებდა: ვისურვებდი, რეჟისორებისა და მსახიობების ისეთი დიდი თაობა წამოსულიყოს, მათ ფონზე, აი, ასეთი პატარა კაცი რომ გამოვჩნდეო - გაშლილ ხელს მიწისკენ სწევდა მსახიობი.

მერე კი მორიგ საქებარ სიტყვებს: "რამაზი ამბობს, მსახიობს ხარის გული უნდა ჰქონდესო. მას ხარის გული აქვს, მაგრამ ეს გული ოქროსიაო" ველარაფერი მოუხერხა და ეპითეტსაც "ფანტასტიკური" როგორღაც შეეგუა, ალბათ, უფრო დაიღალა და იმიტომ.

თქვენ კი, მშვენივრად იცით, სადაც უნდა მოიკითხოთ ნოდარ გურაბანიძის ახლად დასტამბული წიგნი "ფანტასტიკური რამაზ ჩხიკვაძე". რაც შეეხება საქართველოს სავაჭრო ცენტრს, იქ ამაღლებული თეატრალური აურა 7 იანვარმდე იტრიალებს. "კავკასიური ცარცის წრის" სცენოგრაფიული ინსტალაციები, სპექტაკლის ვიდეოპროექცია, გია ყანჩელის მუსიკა და იური მეჩითოვისა და მ. ბაჟენოვის ფოტოგამოფენა ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება. ინიციატივის ფინანსური მხარდამჭერები "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია", "პროკრედიტ ბანკი" და "ავერსი" არიან.

# დადექით ყირამალა

### თბილისში საბავშვო წიგნის მაღაზია გაიხსნა

ნანა კობაიძე

ამიერიდან ქართველ ბავშვებს საკუთარი, მხოლოდ მათთვის განკუთვნილი წიგნების მაღაზია ექნებათ. მისი მიგნება სულაც არ არის რთული - "ყირამალა" ჰქვია და კინოთეატრ "რუსთაველის" ფოიეშია განთავსებული. მართალია, ფართის სიმცირის გამო აქ ყირამალა დადგომა ცოტა გაგიჭირდებათ, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარია თავად ფაქტი.

"სპეციალიზებული საბავშვო წიგნის მაღაზიები მთელს მსოფლიოში არსებობს. ეს ჩვეულებრივი წიგნის მაღაზიებისგან სრულიად დამოუკიდებელი, განსხვავებული ფენომენია, სადაც პატარებს არა მხოლოდ წიგნის შეძენა შეუძლიათ, არამედ თამაში, ხატვა, გართობა, ერთი სიტყვით - სიამოვნება" - გვითხრა მაღაზიის დამაარსებელმა კახა დავითურმა. იგი პატარებს ბევრ სიურპრიზს ჰპირდება, რომელთა გამხელაც ჯერჯერობით არ ისურვა, პირველი საჩუქარი კი ბავშვებისთვის განკუთვნილი პირველი ქართული საისტორიო წიგნის პრეზენტაცია გახლდათ, რომელმაც მკითხველებში უკვე გამოიწვია განსაკუთრებული ინტერესი.

"საქართველოს ისტორია ბავშვებისათვის" - ასე ჰქვია წიგნს, რომელიც გამომცემლობა "ლიტერამ" დასტამბა. ამ პროექტის იდეა გამომცემელ ნუგზარ წიკლაურს მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ქართულ საბავშვო წიგნის ბაზარზე მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული უძველესი ცივილიზაციებისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ისტორიათა ამსახველი გამოცემები გამოჩნდა. ასეთი წიგნები ყველა ქვეყანას აქვს, რომელიც თავის ისტორიას პატივს სცემს და უნდა, რომ მომავალი თაობა პატარაობიდანვე აზიაროს თავის ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებსა და ისტორიას. ჩვენთან ასეთი გა-


*მზია სურგულაძე*

მოცემა არ არსებობდა, რის გამოც, ნუგზარ წიკლაური, რომელსაც, როგორც თავად ამბობს, საქართველო დედამიწის ზურგზე ყველა ქვეყანას ურჩევნია, ძალიან წუხდა. მეგობარ გამომცემლებთან ერთად ხშირად მსჯელობდნენ ამ საკითხზე და ბოლოს მიხვდნენ - ვის უნდა მიეხედა ამ საქმისთვის თუ არა თავად მათ - გამომცემლებს. ნუგზარ წიკლაურმა სერიოზულად დაიწყო მუშაობა ამ საკითხზე და მიუხედავად იმისა, რომ წელიწადნახევრის წინათ უკვე ხელთ ჰქონდა ისტორიკოს მზია სურგულაძის მიერ დაწერილი შესანიშნავი ტექსტი, ამ წიგნზე მუშაობა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა.

"არც ერთი გამომცემლის შრომას არ ვაკნინებ, ნამდვილად შესანიშნავი წიგნია "ძველი ეგვიპტე", მაგრამ ესაა ინგლისში, ინგლისელი ბავშვებისთვის დაწერილი წიგნი, რომელშიც ქართველი გამომცემელი მხოლოდ ტექსტს ცვლის. როდესაც ქართველი ბავშვისთვის აკეთებ ასეთ გამოცემას, ყველაფერი ნულიდან უნდა დაიწყო - ელემენტარულად, ილუსტრაციას ვერ ნახავ, ათასგან უნდა ეძებო, რომ რაღაც შეაკოწიწო, მაგრამ თუ გამომცემელი ხარ და იცი, რომ შენს ქვეყანას ყველაზე მეტად სწორედ ეს აკლია, უნდა გააკეთო" - გვითხრა ნუგზარ წიკლაურმა, რომლის მძიმე შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია: საზოგადოებას წიგნი შეუმჩნეველი არ დარჩენია. ვინც იყიდა, მეუბნებოდა, იმდენად საინტერესოა, ვიდრე ბავშვებს წავუკითხავდით, ჩვენ წავიკითხეთო - ამბობდა ბედნიერი გამომცემელი. რა გამოარჩევს მას საქართველოს ისტორიის შესახებ დაწერილი სხვა წიგნებისგან? უპირველესად ის, რომ დაწერილია საოცრად მარტივი, გასაგები ენით. აქ ვერ ნახავთ ისეთ სიტყვათშეთანხმებას, როგორიცაა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, კლასობრივი ბრძოლა და ათასი სხვა სისულელე, რომლითაც უხვად არის გაჯერებული ისტორიის ძველი სახელმძღვანელოები. ამ წიგნში მოთხრობილი საქართველოს ისტორია სამი-ოთხი წლის ბავშვებისთვისაც კი გასაგებია. გარდა ამისა, ისტორიის თითოეული ეპიზოდი ცალკე ამბად არის დაწერილი და ამომწურავ ინფორმაციას შეიცავს ამათუიმ პირის შესახებ. მაგალითად, თუ წაიკითხავ ამბავს ქეთევან დედოფლის შესახებ, მიხვდები, ვინ არის, რა უნდოდა და რა გააკეთა საქართველოსთვის.

წიგნის ავტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მზია სურგულაძე მიიჩნევს, რომ დღეს არსებული სახელმძღვანელოების ძირითადი ნაკლი სწორედ მიწოდების ფორმაა - ყველა ასაკისთვის ერთი ენით არის დაწერილი, რაც მათ ათვისებას ართულებსო. სწორედ ამიტომ შეეცადა, რომ "საქართველოს ისტორია ბავშვებისთვის" ისეთი ენით დაეწერა, რომ სკოლამდელი ასაკის პატარებსაც კი შექმნოდათ წარმოდგენა საკუთარი ქვეყნის ისტორიაზე. ისინი, ვინც უკვე შეიძინა და წაიკითხა ეს წიგნი, ამბობენ, რომ ავტორმა მიზანს მიაღწია. მათი ნათქვამის შემოწმება თქვენც შეგიძლიათ თუ ამ გამოცემას შეიძენთ, მით უფრო, რომ ახალი წელი ახლოვდება და პრეზენტაციის წამყვანს, დათო ტურაშვილს თუ დაუჯერებთ, ამაზე უკეთესს თქვენს შვილებს ვერაფერს აჩუქებთ.

# ახალი და საინტერესო

ლია თოფურია

თბილისს კიდევ ერთი საგამოფენო დარბაზი შეემატა. თაქთაქიშვილის (ყოფილი რიგის ქუჩის) 11 ნომერში "ცენტრ პოინტ-გალერეის" პრეზენტაცია შედგა. სამშენებლო ფირმა "ცენტრ პოინტს" რამდენიმე ოფისი აქვს. ამ კონკრეტულ ოფისში მუშობენ ლალი ყარყარაშვილი და ირა გუნცაძე. სწორედ მათ გაუჩნდათ ეს მშვენიერი იდეა - გალერეა გაეკეთებინათ. დახმარება საგამოფენო მუშაობაში გამოცდილების მქონე ქალბატონს მანანა გორდელს სთხოვეს და ასე, ერთობლივი ძალებით გაკეთდა პირველი გამოფენა, რომელიც ერთ თვეს გაგრძელდება. თვით გალერეა კი მუდმივად იფუნქციონირებს.

ამ პირველ საშობაო გამოფენაზე წარმოდგენილია რამდენიმე საინტერესო მხატვრის ნამუშევარი. გრაფიკოსები - ლალი ლომთაძე და ია გიგოშვილი ე. წ. 80-იანელების თაობის წარმომადგენლები არიან, ახალგაზრდები - ეკა სირაძე (ბატიკა, თექა); ანკა კალატოზიშვილი, თეატრის მხატვარი - აპლიკაციები ქსოვილზე და თოჯინები; კერამიკოსი პაპუნა პაპასქირი - ფერწერა ფილებზე; ირინა ხარატიშვილი - მინანქარი;


*გამოფენის ორგანიზატორი მანანა გორდელი ეკა სირაძის ნამუშევართან*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ყურადღებას იპყრობს აბრეშუმის ულამაზესი თექა. ეს არის პასტელის ფერებით შესრულებული კომპოზიცია, სადაც ფიგურირებენ სპილენძის პატარა პერსონაჟები მინანქრის დეტალებით. მისი ავტორი ეკა სირაძე მოგვითხრობს: "ტექსტილის ცენტრად და სიმპოზიუმების ჩატარების ადგილად ყოველთვის ლოზანა ითვლებოდა, მაგრამ 90-იანი წლების ბოლოს ლოზანამ ეს მისია დაასრულა. სამაგიეროდ, იგი პეკინმა აიტაცა და 2000 წლიდან დაწესდა ბიენალე "ლოზანადან პეკინამდე." 2000 წელს პეკინის ბიენალეზე წაღებული მქონდა გობელენები და პირველ ათეულში მოვხვდი. წელს ვერ წავედი, მაგრამ გავაგზავნე ეს აბრეშუმის თექა (მონაწილეობა მხოლოდ ერთი ნამუშევრით შეიძლებოდა). მე მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი მერგო. ძალიან მოულოდნელი იყო. წარმოიდგინეთ, თვით ჩინეთში დიდი ტრადიციებია, უამრავი სკოლაა, პრაქტიკულად, მთელი ჩინეთი მონაწილეობს, გარდა ამისა, მონაწილეები 25 ქვეყნიდან." წლევანდელი სიმპოზიუმი შანხაიში ჩატარდა - აბრეშუმის სამშობლოში. კომისია საერთაშორისო იყო. ამდენად, ახალგაზრდა ხელოვანის ეს გამარჯვება განსაკუთრებით სასიხარულო და მნიშვნელოვანი იყო.

გამოფენის გახსნას სტუმრები არ აკლდა, რომელთა ინტერესი სინათლის მრავალჯერადმა ჩაქრობამაც ვერ გაანელა. პირიქით, სანთლების და ფანრების შუქზე ნანახ ხელოვნების ნიმუშებს, განსაკუთრებით უცხოელი სტუმრებისთვის, ინტერესთან ერთად სიახლის ხიბლი ახლდა. იმედი ვიქონიოთ, ახალი გალერეა კიდევ მრავალ საინტერესო გამოფენას უმასპინძლებს და მრავალი გამარჯვების მაცნე იქნება.

# ჩვენ მოვუყვებით საზოგადოებას...

## შეტყობინებები მონიტორინგის კომისიისგან

*მეექვსე დღეა, ახალი - საზოგადოებრივის სამარკო ნიშნით შეფუთული სახელმწიფო არხი ჩვენ - საზოგადოებას, ჩვენზე მზრუნველ ხელისუფლებაზე გვიამბობს, ხელისუფლებას კი - ჩვენზე. თუ ამ ექვსი საეთერო დღის განმავლობაში ვინმეს მოლოდინი გაგიცრუვდათ, არ ღირს ასაღელვებლად. ამ ტელევიზიაში ყველაფერი კიდევ ერთხელ თავიდან დაიწყება და ეს იქნება ძალიან მალე, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი ხელს მოაწერს ორი დღის წინათ პარლამენტის მიერ მოწონებულ კანონს მაუწყებლობის შესახებ; მისი ამოქმედება კი ავტომატურად გულისხმობს ცვლილებებს: ახლად ჩამოყალიბებულ სამეურვეო საბჭოს შეეძლება ხელახლა განსაზღვროს რეალური საზოგადოებრივი ტელევიზიის (დღეს მაუწყებელი სატელევიზიო არხი კანონის ძალით არ გარდაქმნილა საზოგადოებრივად) პრიორიტეტები, რის მიხედვითაც გადახალისდება (ან არ გადახალისდება) უკვე მოწონებული პროექტები. მოკლედ, მსჯელობა, კამათი, დებატები ნანატრი საზოგადოებრივი ტელევიზიის შესახებ ახლა იწყება, რისი სასიგნალო ნიშანიც გუშინ სახელმწიფო ტელევიზიაში საზოგადოებრივი მონიტორინგის კომისიის წევრების მიერ გამართული პრესკონფერენციაც იყო.*



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ვერა ნეფარიძე

### საზოგადოებრივი ტელევიზიის "ნიშნები"

საინტერესოა იმის გათვალისწინება, თუ რა უძღოდა მონიტორინგის კომისიასთან გუშინდელ "სასიგნალო" შეხვედრას. 23 დეკემბერს პარლამენტის მიერ მაუწყებლობის შესახებ კანონის წარმატებით მიღება, რასაკვირველია, უკვე "საზოგადოებრივად" სახელდებული ტელევიზიის მთავარ მოვლენად იქცეოდა. ასეც მოხდა. მაგრამ ეს ეთერი იმიტომ გავიხსენე, რომ სატელევიზიო რეფორმის ლამის მამამთავრად შერაცხულმა ზაზა შენგელიამ საინტერესო ფრაზა თქვა - იგი იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ ის, რაც ეთერში გადის, ჯერ არაა საზოგადოებრივი ტელევიზია. არ არის, მაგრამ საზოგადოებრივი ტელევიზიის ელემენტები ხომ გვაქვს, - დაახლოებით ასეთი იყო მისი ნაძალადევი აღიარება. ჯერ ერთი, თავისთავად საინტერესოა ამ "ნიშნების" განმარტება და უფრო მნიშვნელოვანი: თუ მსგავსი "ნიშნების" უსისტემო, გაუაზრებელი ერთობლიობით ვაპირებთ საზოგადოებრივი ტელევიზიის შექმნას (რაც არც ისე იოლია, როგორც ბევრს ჰგონია), ჯობს, საერთოდ თავი დავანებოთ ოცნებას.

**"საქართველოს ტელევიზიაში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, ის დღეს რჩება სახელმწიფო ტელევიზიად. ახალი "შეფუთვა", საზოგადოებრივი მაუწყებლობის რეკლამა, ცალკეული დეტალები საინფორმაციო პოლიტიკაში ბევრს არაფერს ცვლის - ამავე პოლიტიკის ძირითადი მიმართულება, დარჩენილი თუ მოზიდული ადამიანური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი, მართვა, დამოკიდებულება მოვლენებთან, ხელუხლებლად ტოვებს ამ ორგანიზაციას, როგორც სახელმწიფო-სახელისუფლებო მაუწყებლობას. თქვენ წინაშეა ოდნავ განახლებული პირველი არხი, რომელიც არ შეიცავს საზოგადოებრივი მაუწყებლობის არსებით ნიშნებს,"** - როგორც ხედავთ, ზაზა შენგელიას მოსაზრების სრულიად საწინააღმდეგოს ამბობენ მონიტორინგის კომისიის წევრები, რასაც, დარწმუნებული ვარ, ამ ტელევიზიის დამფინანსებელი და მთავარი შემკვეთი - ჩვენი საზოგადოების ძირითადი ნაწილიც იზიარებს.

### ეს არ არის საზოგადოებრივი ტელევიზია

მონიტორინგის კომისიის წინა პრესკონფერენცია უკვე იქცა "სკანდალურად". მაშინდელი განხილვის თემად საზოგადოებრივ ტელევიზიაში "ძველი სახეების" დაბრუნება დადგა. "ძველი სახეები" ყველაფრის - მონიტორინგის კომისიის წევრების ცალსახად უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, განახლებული პირველი არხის ეთერშიც აგრძელებენ მოღვაწეობას. მოკლედ, რიგ საკითხებში ტელევიზიის ხელმძღვანელობამ არ გაიზიარა მონიტორინგის კომისიის რეკომენდაციები. კომისიის წევრებისთვის პრობლემას სიმძაფრე არ მოჰკლებია. თუმცა, გუშინდელ შეხვედრაზე "ძველ სახეებზე" განსაკუთრებული ყურადღება არ გაუმახვილებიათ (თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ამ თემაზე საუბრისას ლევან რამიშვილმა ლუსტრაციის კანონი ახსენა) - ალბათ იმიტომ, რომ ტენდერი საზოგადოებრივ ტელევიზიაში კიდევ იქნება.

მონიტორინგის კომისიამ გუშინ კიდევ ერთხელ აღასრულა დაკისრებულ ვალდებულებათაგან ერთ-ერთი - საზოგადოების ინფორმირება და თქვა: ეს არ არის საზოგადოებრივი ტელევიზია. ერთი შეხედვით, ამას დიდი მტკიცება და ოფიციალური განცხადებები არ სჭირდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს (ამის საფუძველს წინა საღამოს ეთერიც იძლეოდა), ჭეშმარიტების ხმამაღლა თქმა მაინც საჭიროა. საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფს კიდევ აქვს კანონით გათვალისწინებული დრო სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტებამდე მოვალეობის შესასრულებლად. ამ ვადის გასვლის შემდეგ კი დათო პაიჭაძე, ლევან რამიშვილი, კონსტანტინე კუბლაშვილი, ვახო ბაბუნაშვილი, დავით გოგიბედაშვილი და მამუკა ხერხეულიძე (ასეთია კომისიის შემადგენლობა) გააგრძელებენ საზოგადოებრივი ტელევიზიის შესახებ დისკუსიებს საზოგადოებასთან.

### კანონი დამოუკიდებლობის გარანტიას იძლევა

სამეურვეო საბჭოს შედგენა-დამტკიცებას თავისთავად გულისხმობს მაუწყებლობის შესახებ კანონის სრული ამოქმედება. მაშინ კი საბჭოს ექნება უფლება, დაეთანხმდეს ან ეთერიდან ამოიღოს სახელმწიფო ტელევიზიის უკლებლივ ყველა პროექტი; მათ შორის ისინიც, რომლებიც ახლახან სატენდერო კომისიამ მოიწონა - რაც უკვე ვიხილეთ ეთერში ან ველოდებით. ამავე სამეურვეო საბჭომ უნდა განსაზღვროს საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროგრამული პრიორიტეტები; ანუ, დღევანდელი პრიორიტეტები - როგორც რადიოში, ისე ტელევიზიაში, შესაძლოა, სრულად უგულებელყოფილ იქნას. ასევე საბჭო (რომელსაც პრეზიდენტი დააკომპლექტებს და, როგორც ვიცი, ეს ჯგუფი 18-კაციანი იქნება) აირჩევს ახალ გენერალურ დირექტორს და ჩამოაყალიბებს საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროგრამებს. ამ ყველაფრის შემდეგ რჩება მარტივი შეკითხვა: რა საჭირო იყო ტენდერი, რომელსაც გამარჯვებულებიც ჰყავს და დამარცხებულებიც? კვალს ისევ და ისევ ფულის კეთებამდე ხომ არ მივყავართ (თუ ასეა, მაშინ ისღა დაგვრჩენია, კონტროლის პალატის დასკვნას დაველოდოთ. როგორც ჩემთვის ცნობილია, კონტროლის პალატა მალე დაიწყებს ტელევიზიაში მუშაობას, შეამოწმებს წინა წლებში ამ უწყების მიერ მომზადებულ დასკვნებს, გამოიკვლევს როგორც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაწეულ საქმიანობას, ისე დღევანდელ მდგომარეობას). თუმცა, როგორც ამბობენ, ერთი ტენდერი საკმარისი იქნებოდა, პარლამენტში კანონის მიღება დროში რომ არ გაწელილიყო. რაც შეეხება კანონს, როგორც მონიტორინგის კომისიის წევრები (რომელთაც გარკვეული წვლილი მიუძღვით ამ კანონის ჩამოყალიბებაში) ამბობენ, ის იძლევა საფუძველს, საზოგადოებრივი ტელევიზია თავისუფალი იყოს ყველანაირი ზეგავლენისგან. მთავარია, კანონის ამ ღირსებას როგორ გამოიყენებენ, თორემ პირადად მე ძნელად წარმომიდგენია ხელისუფლება, რომელიც ჩვენს რეალობაში იოლად იტყვის უარს ისეთ ტკბილ ლუკმაზე, როგორიც ტელევიზიაა და დაუთმობს საზოგადოებას, თუ ასეთი ინიციატივა საზოგადოებისგან (მათ შორის, ჟურნალისტებისგან) არ წამოვიდა. ამიტომ ვიდრე თავად საზოგადოება ამ მოთხოვნაში არ იქნება პრინციპული, ჩვენი საზოგადოებრივი ტელევიზიაც იმგვარად იქნება შეფერილი, როგორსაც შემოგვთავაზებენ. ამიტომ საზოგადოებრივი მონიტორინგის კომისია, რომელსაც კანონის ამოქმედებისთანავე უფლებამოსილება შეუწყდება, აპირებს, დაწყებული საქმე ამით არ დაასრულოს. "მონიტორინგის კომისია მიმართავს მოქალაქეებს, გახდნენ სახელმწიფო ტელევიზიის ფხიზელი მაყურებლები და საჯარო კრიტიკოსები", - ამბობენ ისინი და გვპირდებიან, რომ ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს, საზოგადოების აზრი გათვალისწინებული იყოს ახალი მაუწყებლობის პროგრამულ პოლიტიკაში, სამეურვეო საბჭოსა და საზოგადოებრივ ტელევიზიაში სამუშაოდ მისაწვევი თუ მიწვეული ჟურნალისტების შერჩევისას.

# ცნობილი რელიკვია ყალბი აღმოჩნდა

ისრაელში ნამდვილი კულტურული სკანდალი აგორდა - ისრაელის მუზეუმის მარგალიტი, რომელიც უძველეს რელიკვიად ითვლებოდა, ყალბი აღმოჩნდა. საუბარია სპილოს ძვლის სკიპტრზე. დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა, რომ სკიპტრა სოლომონის ტაძრის მსახურს ეკუთვნოდა, ანუ ნივთი შემორჩენილი იყო იმ პირველი ტაძრიდან, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 70 წელს განადგურდა.

თანამედროვე მეთოდების ძიების მიხედვით, სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ივრითულად შესრულებული უძველესი წარწერა, რომელიც რელიკვიას პირველ ტაძარს მიაკუთვნებდა, სულ ახლახანსაა შესრულებული. თუმცა, თავად სკიპტრას ახლად გაკეთებულს ვერ უწოდებ - იგი სოლომონის ტაძარზე რამდენიმე საუკუნით უფროსი გამოდგა.



მუზეუმმა ნივთი, რომელიც ტაძრის ჭურჭლეულობიდან გადარჩენილ საგნად მიიჩნევდა, 1988 წელს 550 ათას დოლარად უცნობი კოლექციონერის შუამავლისაგან შეიძინა. შესაძლოა, ყოფილმა მფლობელმა თავადაც არ იცოდა, რომ მუზეუმის თანამშრომლები შეცდომაში შეჰყავდა. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ისინი შეგნებულად მოატყუა, რათა სკიპტრა გაცილებით ძვირად გაეყიდა.

სპეციალისტებმა რელიკვიის შემოწმება მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც რამდენიმე "სიძველე" ყალბი აღმოჩნდა. შედარებით ფართო რეზონანსი მოჰყვა ე.წ. "იესო ქრისტეს ძმის აკლდამას", რომელიც, სავარაუდოდ, თანამედროვე არქიტექტორმა შექმნა. ამასთან დაკავშირებით მომავალ კვირაში სასამართლო პროცესი დაიწყება.

თუ ისრაელში სანდო ობივატელებსა და პროფესიონალებს ყალბ ექსპონატებს უჩვენებდნენ, რომელთა პროტოტიპი, შესაძლოა, არც არასდროს არსებობდა, ამასობაში, ამერიკაში, ხელოვნების ნამდვილ ნიმუშს გარკვეული პერიოდით მისი უხეში ასლი ცვლის. ნიუ იორკის ციხის თანამშრომელმა რიკერს აილენდმა სალვადორ დალის ნახატი თავისი კრაველით შეცვალა. მოპარული ორიგინალი კი, რამდენიმე წლის განმავლობაში გამოსასწორებელი კოლონიის კედელს ამშვენებდა. ბოლოს ქურდი სინდისმა შეაწუხა და თავისი საქციელი მოინანა.

ათეულები

| კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| წიგნი | ავტორი | გამომცემლობა | რეიტინგი |
| მზია სურგულაძე | საქართველოს ისტორია ბავშვებისთვის | "ლიტერა" | 5.2 |
| ი. გოლიაძე | ქართველ მწერალთა ბიოგრაფიები | "ლიტერა" | 3.2 |
| ირაკლი კაკაბაძე | "თანაგრძნობის სიმღერა" | "სიესტა" | 1.6 |
| ალენ კარი | "ბოლო სიგარეტი – მარტივი გზა" | "რეზონანსი 2 პრინტი" | 1.6 |
| ბორის პასტერნაკი | "ექიმი ჟივაგო" | "ინტელექტი" | 1.6 |
| გურამ მაჩაველიძე | "შელეგები" | შპს "თბილისელები" | 1.2 |
| თომას ჰელბრუგგე | "ბავშვის ცხოვრების 365 დღე" | "კაბადონი" | 0.8 |
| ირმა მალაციძე | "სატკბილეთის ქვეყანა" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 0.8 |
| აკაკი ბაქრაძე | "თხზულებები ტომი I" | "მერანი/ლომისი" | 0.8 |
| რეი გიბსონი | "მე მემინდია ცხოვრების ხატება" | "გია ქარჩხაძის გამომცემლობა" | 0.8 |



### ევროპის საუკეთესო ალბომების ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით




| შემსრულებელი | ალბომის სათაური | ხმის ჩამწერი კომპანია |
|---|---|---|
| U2 | How To Dismantle An Atomic Bomb | "აილენდი" |
| რობი უილიამსი | "საუკეთესო ჰიტები" | "ქრიზალისი" |
| ემინემი | Encore | "ინტერსკოუპი" |
| სადე | "1991-2004 წლების საუკეთესო ჰიტები" | [illegible] |
| კაილი მინოუგი | Ultimate Kylie | "პარლოფონი" |
| ტინა ტერნერი | "საუკეთესოები" | "პარლოფონი" |
| ბრიტნი სპირსი | "უდიდესი ჰიტები: ჩემი პრეროგატივა" | "ჯაივი" |
| ბლუ | "ბლუს საუკეთესო" | "ინოსენტ/ვირჯინი" |
| ჯეი-ზი და "ლინკინ პარკი" | Collision Course | "უორნერ მიუზიკი" |
| შანია თვეინი | "უდიდესი ჰიტები" | "მერკური" |

| გასული კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
| "ლემონი სნიკეტის უბედური თავგადასავლების 6 სერია" | ბრედ სილბერლინგი | ჯიმ კერი, ჯუდ ლოუ, ჯენიფერ ქულიჯი | 30,061,756 | 30,061,756 |
| "ოუშენის 12 მეგობარი" | სტივენ სოდერბერგი | ჯორჯ კლუნი, ბრედ პიტი, მეტ დეიმონი, კეტრინ ზეტა-ჯონსი, ჯულია რობერტსი, [illegible] | 18,124,149 | 68,524,528 |
| Spanglish | მაიკ ნიკოლსი | ადამ სენდლერი, ტეა ლეონი | 8,817,853 | 8,817,853 |
| "პოლარული ექსპრესი" | რობერტ ზემეკისი | ტომ ჰენქსი, [illegible] | 8,411,135 | 123,430,336 |
| "ბლეიდი: სამება" | დევიდ გოიერი | უესლი სნაიფსი, კრის კრისტოფერსონი, ჯესიკა ბილი | 6,817,584 | 38,628,693 |
| "ეროვნული საგანძური" | ჯონ ტერტელტაუბი | ნიკოლას კეიჯი, შონ ბინი, დაიან კრუგერი | 6,022,564 | 132,748,249 |
| "შობა კრანკებთან ერთად" | ჯო როთი | ტიმ ალენი, ჯეიმი ლი კერტისი, დენ აიკროიდი | 5,366,072 | 61,972,118 |
| "ფენიქსის ფრენა" | ჯონ მური | დენის ქვეიდი, ჯოვანი რიბისი, [illegible] | 5,019,430 | 5,019,430 |
| "სიახლოვე" | მაიკ ნიკოლსი | ნატალი პორტმანი, ჯულია რობერტსი, ჯუდ ლოუ, ქლაივ ოუენი | 3,351,014 | 18,802,296 |
| The Incredibles | ბრედ ბერდი | [illegible] | 3,120,541 | 236,978,426 |

მოკლედ

## "ლივერპულის" ფეხბურთელები მამათმავლობანას თამაშობენ



ფეხბურთელები საკმაოდ დაკავებული ხალხია. მთელი წლის განმავლობაში ვარჯიშობენ და თამაშობენ. დასვენების საშუალება კი წელიწადში მხოლოდ ორჯერ ეძლევათ: ზაფხულში, როდესაც სეზონი მთავრდება და ზამთარში - საშობაო არდადეგების დროს. ფეხბურთელები ცდილობენ, ეს ხანმოკლე შესვენებები მაქსიმალურად გამოიყენონ და დასვენების მიზნით სხვადასხვა ხერხს მიმართავენ. ზოგიერთი, როგორც, მაგალითად, დელ პიერო, მეგობარ გოგონასთან ან ცოლთან ერთად ატარებს დროს, ზოგიც - მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონთა კამპანიაში. თუმცა, ეს უკვე ტრადიციული და კარგა ხნის აპრობირებული მეთოდებია.

აი, "ლივერპულის" ფეხბურთელებმა: სტივენ ჟერარდმა, ჰარი კიუელმა და სემი ჰიპიამ კი გართობის უჩვეულო, არატრადიციული ფორმა აირჩიეს. მათ თავი იმით გაიხალისეს, რომ ჰომოსექსუალისტების იმიჯი შეიქმნეს და ლივერპულის "ცისფერთა" კლუბებს ესტუმრნენ.

ცხადია, ბრიტანულ პრესას ეს არ გამორჩენია და "ლივერპულის" ვარსკვლავების მსვლელობაზე საკმაო ინფორმაცია მოაგროვა. ჩვენი ბრიტანელი კოლეგების ცნობით, ჟერარდი, კიუელი და ჰიპია დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ჰომოსექსუალისტებს შორის. ჟურნალისტები ერთ-ერთი ასეთი კლუბის მკვიდრსაც გაესაუბრნენ. მისი თქმით, ზოგიერთი ჰომოსექსუალისტი ფეხბურთელების "შებმას" ცდილობდა, რამაც თავად მოთამაშეები თურმე ძალიან გაამხიარულა. ჟერარდი, კიუელი და ჰიპია საკუთარი იდეით აღფრთოვანებული დარჩნენ. საინტერესოა, კიდევ თუ გაიმეორებენ ფეხბურთელები თავიანთ "ცისფერ მსვლელობას"?

## დელ პიერო იტალიას გაეცალა

ბოლო დროს ალესანდრო დელ პიეროს საქმეები არცთუ ისე კარგად მიდის. სულ ცოტა ხნის წინათ ის იტალიელი პუბლიკის უსაყვარლესი ფეხბურთელი იყო, ახლა კი, ნაკრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, "იუვენტუსის" ძირითად შემადგენლობაშიც ვეღარ ხვდება. თუმცა, სიძნელეებს დელ პიერო ფილოსოფიურად უდგება და მიაჩნია, რომ ნერვიულობით ვერაფერს შეცვლის. შობისა და ახალი წლის დღესასწაულებით გამოწვეულ შესვენებას დელ პიერო პირად ცხოვრებაში იდილიის მოსაწყობად იყენებს.

ხოლო იმისთვის, რომ ეს იდილია პაპარაცებმა არ დაურღვიონ, ფეხბურთელი იტალიას გაეცალა და გადაწყვიტა, შორეულ კურორტზე, მავრიკიის კუნძულებზე დაისვენოს.

თუმცა, დელ პიერო მარტო არ ისვენებს. მავრიკიის კუნძულებზე ის მეგობარ გოგონასთან სონია ამორუზოსთან ერთად გაემგზავრა. შესანიშნავ გარეგნობასთან ერთად, სონიას ის ღირსებაც აქვს, რომ "იუვენტუსში" ალესანდროს ყოფილი თანაგუნდელის ნიკოლა ამორუზოს დაა. აქედან გამომდინარე, ფეხბურთიც კარგად ესმის.

## რუნი პარიზის სასტუმროში ჩაიკეტა

ახლა კი მოგითხრობთ, თუ როგორ ატარებს დროს "მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების ახალგაზრდა ვარსკვლავი უეინ რუნი. მან გადაწყვიტა, საშობაო არდადეგები პარიზში გაეტარებინა, თუმცა, პაპარაცებს მაინც ვერ დააღწია თავი.

საფრანგეთის დედაქალაქს რუნი სულ ორი დღით ესტუმრა და განუწყვეტლივ რეპორტიორებისა და პაპარაცების ყურადღების ცენტრში იყო, რის გამოც პარიზში მისი ვიზიტის მთელი განრიგი დაწვრილებითაა ცნობილია. მაგალითად, ბრიტანული პრესის ინფორმაციით, პარიზში ყოფნის ორი დღე-ღამის განმავლობაში რუნიმ მთელი 36 საათი სასტუმროში გაატარა. ამის მიზეზად კი იმ ფაქტს ასახელებენ, რომ რუნის პარიზში ახლდა მეგობარი გოგონა კოლინ მაკლაფლინი.

ახალგაზრდა წყვილი ორშაბათს, დილის 11.30 საათზე დარეგისტრირდა სასტუმროში. დაახლოებით 10 საათის განმავლობაში უეინი და კოლინი ნომრიდან არ გამოსულან. კარზე ჩამოკიდებული ჰქონდათ აბრა: "არ შეგვაწუხოთ". ამის შემდეგ წყვილმა ორი საათით დატოვა სასტუმრო და პარიზის ერთ-ერთ უძვირფასეს რესტორანში ივახშმა. მერე ისევ სასტუმროში დაბრუნდნენ და ახლა უკვე 12 საათით დარჩნენ ნომერში.

მეორე დღეს უეინი და კოლინი პარიზის დასათვალიერებლად გამოვიდნენ, სენაზე კატერით გაისეირნეს. ექვსი საათის შემდეგ კი ისევ სასტუმროში დაბრუნდნენ, ნომერში 14 საათით შეიკეტნენ, შემდეგ კი პარიზი დატოვეს და მანჩესტერში დაბრუნდნენ.

არადა, კარგი სასტუმროს პოვნა მანჩესტერშიც შეიძლება...

## ფეხბურთის გამო კაცს ცოლი გაექცა

რას არ აკეთებენ გულშემატკივრები, რომ საყვარელ გუნდს სიყვარული დაუმტკიცონ. დედიშობილა სტადიონზე ნავარდი ხომ ლამის ტრადიციად იქცა. ზოგიერთებს უნდათ, საყვარელი გუნდი სიკვდილის შემდეგაც ახსოვდეთ და ანდერძად იბარებენ, რომ კლუბის ატრიბუტიკით მორთული კუბოთი დაკრძალონ.

თუმცა, ფეხბურთის დიდი სიყვარული ზოგს ძვირად უჯდება. 31 წლის ინგლისელმა გულშემატკივარმა საიმონ ბოუენმა თავისი საყვარელი კლუბი "ვულვერჰემპტონ უონდერერზი" (შემოკლებით "ვულვზი"), რომლის ღირსებას თავის დროზე თემურ ქეცბაიაც იცავდა, არც საშობაო დღესასწაულისთვის მზადების დროს დაივიწყა და საშობაო ნაძვისხე თავიდან ბოლომდე "ვულვზის" ფერებით გააფორმა. შავად და ოქროსფრად მორთულ ნაძვისხეზე კი სათამაშოების ნაცვლად საყვარელ ფეხბურთელთა სურათები დაკიდა. ერთი შეხედვით უწყინარი საქციელი ბოუენს ძვირად დაუჯდა. მის მიერ მორთული ნაძვისხე ძალიან არ მოეწონა მის მეუღლეს. მისის ბოუენმა ქმარი მიატოვა.

ფეხბურთი

# ჟორდანია პლატინის გუნდში ითამაშებს

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში საინფორმაციო ბრიფინგი გამართა ფედერაციისა და ეროვნული ნაკრების ახალმა პრესატაშემ ლევან სალუქვაძემ. მისი თქმით, იანვრიდან ფედერაცია მედიასთან ურთიერთობის ახალ რეჟიმში გადადის.

"სფფ-ში ყოველკვირეულად გაიმართება დღევანდელის მსგავსი პრესკონფერენცია, რომელზეც მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით პრესა ამომწურავ ინფორმაციას მიიღებს. ამას გარდა, თვეში ერთხელ ფედერაციის ხელმძღვანელობა თავად გამართავს ბრიფინგს. ჟურნალისტები მათთვის საინტერესო შეკითხვებზე პასუხს მიიღებენ იმ შემთხვევაშიც, თუ ფედერაციის ხელმძღვანელები სამსახურებრივი მივლინებით უცხოეთში იქნებიან. ასეთ დროს მათთან კავშირს ფედერაციის პრესსამსახური უზრუნველყოფს", - განაცხადა სალუქვაძემ.

საქართველოს ეროვნული ნაკრების წინაშე არსებული ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა ძლიერ სპარინგპარტნიორებთან ამხანაგური თამაშების სიმცირეა. 2006 წელს ამ საკითხის გადაჭრა თითქმის შეუძლებელია, რადგან ნაკრებს ისედაც ბევრი ექნება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, ხოლო იმ უცხოურ კლუბებს, რომლებშიც ჩვენი ლეგიონერები თამაშობენ, მათ გამოშვებაზე ლიმიტი აქვთ დაწესებული. თუმცა, 2006 წელს ორ ძლიერ მეტოქესთან ამხანაგური მატჩი, პრაქტიკულად, შეიძლება დაგეგმილად ჩაითვალოს.

"ისრაელისა და სამხრეთ აფრიკის ეროვნულმა საფეხბურთო ფედერაციებმა უკვე გამოგზავნეს თანხმობა საპასუხო ამხანაგური თამაშის გამართვის თაობაზე. მართალია, ზუსტი თარიღი ჯერ არ არის დადგენილი, მაგრამ ამის თაობაზე ფედერაციები თავად მოილაპარაკებენ. ასევე, ამხანაგურ თამაშთან დაკავშირებით მიღწეულია შეთანხმება ესტონეთის ფეხბურთის ფედერაციასთანაც", - აღნიშნა პრესატაშემ.

ამ ცოტა ხნის წინ კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა ფიფას საგრანტო პროგრამა "გოლი 2"-ში საქართველოს მონაწილეობა. პრესკონფერენციაზე საბოლოოდ დადასტურდა, რომ ეს საკითხიც გადაწყვეტილია.

"ფიფამ საქართველო იმ ქვეყნების სიაში შეიყვანა, რომელთა მონაწილეობაც საგრანტო პროგრამა "გოლი 2"-ში განიხილება. ამ პროგრამაში ჩართვის შემთხვევაში გრანტის სახით 400 ათას დოლარს მივიღებთ, რაც ხელოვნურსაფარიანი მოედნის მშენებლობას მოხმარდება. პროგრამაში საქართველოს ჩართვის საკითხს ფიფას შესაბამისი კომიტეტი მომავალი წლის 2 თებერვალს გადაწყვეტს. აღსანიშნავია, რომ ამ კომიტეტის ხელმძღვანელებმა სფფ-ს ხელმძღვანელებს ხსენებული საკითხის გადაწყვეტისას უკვე აღუთქვეს მხარდაჭერა. ეს იმანაც განაპირობა, რომ გრანტების სახსრების განკარგვის შესახებ სფფ-ს მიერ წარდგენილი სააუდიტო მოხსენება ფიფამ და უეფამ მოიწონა და დაამტკიცა", - თქვა სალუქვაძემ.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

პლატინიმ ჟორდანია ჩინოვნიკების გუნდში აიყვანა და აფრიკელებს შეხვდება.

საერთაშორისო სასერტიფიკაციო ფირმა SGS-მა სფფ-ს ლიცენზირების კომიტეტს მიანიჭა სპეციალური სერტიფიკატი, რომელიც მას უფლებას აძლევს დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს ქართული კლუბების ლიცენზირების საკითხი. ამის შესახებ ნათქვამია უეფას მისალოც ბარათში, რომელიც ქართულმა ფედერაციამ ორი დღის წინ მიიღო.

სფფ-ს უეფაში ახალი კურატორი ჰყავს, რომელიც, გარდა იმისა, რომ ჩვენს ფედერაციას შეამოწმებს, ერთგვარი ლობისტის ფუნქციებსაც შეასრულებს. ის გახლავთ უეფას აღმასკომის წევრი, მალტის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, დოქტორი ჯოზეფ მიფსუდი. ის არაერთხელ ყოფილა საქართველოში. 2005 წლის თებერვალში შვეიცარიაში ერთმანეთს შეხვდებიან დოქტორი მიფსუდი და სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია. ისინი მომავალი ურთიერთობის საკითხებს განიხილავენ. ერთ-ერთი საკითხი მიეძღვნება სფფ-ს მიერ წამოწყებულ კამპანიას, რომელიც მიზნად ისახავს უეფას კონგრესის თბილისში ჩატარებას.

"ამ საკითხთან დაკავშირებით უეფას მაღალჩინოსნების სიტყვიერი მხარდაჭერა უკვე მიღწეულია. სფფ შეეცდება, რომ ეს კონგრესი თბილისში უახლოეს სამ წელიწადში ჩატარდეს, რაც ჩვენი ფედერაციის საერთაშორისო აღიარების დამადასტურებელი კიდევ ერთი საბუთი იქნება", - განაცხადა პრესატაშემ.

ის, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას ფიფას და უეფას მაღალჩინოსნებთან თბილი ურთიერთობა აქვს, ეს ძველი ამბავია. ზეპ ბლატერი და ლენარტ იუჰანსონი არაერთხელ ყოფილან თბილისში. უახლოეს მომავალში იგეგმება მიშელ პლატინის ვიზიტი, რომელიც ფიფას მომავალ პრეზიდენტად მოიაზრება.

"მიღწეულია შეთანხმება ფიფას და უეფას აღმასკომის წევრის მიშელ პლატინის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით. პლატინი თბილისში საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ უახლოეს საშინაო შესარჩევ მატჩს დაესწრება. ალენ ჟირესის ახლო მეგობრის ვიზიტის დეტალები და ზუსტი თარიღი მალე გახდება ცნობილი.

2005 წლის სექტემბერში მაროკოში გაიმართება ფიფას კონგრესი. ამასთან დაკავშირებით, დაგეგმილია ამხანაგური მატჩი ევროპისა და აფრიკის საფეხბურთო ფუნქციონერთა მონაწილეობით. ევროპის ნაკრების მოთამაშე მწვრთნელმა მიშელ პლატინიმ ძველი სამყაროს გუნდში სათამაშოდ მერაბ ჟორდანიაც მიიწვია და აღნიშნა, რომ აფრიკელებთან მატჩში მას სფფ-ს პრეზიდენტის დიდი იმედი აქვს ", - გვამცნო ლევან სალუქვაძემ.

ბრიფინგის შემდეგ გაიმართა საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა აკადემიის საბჭოს სხდომა, რომელზეც თერთმეტ ქართველ რეფერის ფიფას კატეგორიის მსაჯად აღიარების სერტიფიკატი და არიბუტიკა გადასცეს. ფიფას არბიტრები გახდნენ ლევან ფანიაშვილი, მერაბ მალაღურაძე და ლაშა სილაგავა. ფიფას კატეგორიის ასისტენტის წოდება მიენიჭათ ზაზა მენთეშაშვილს, ლევან მიქელაძეს, მამუკა ელიკაშვილს, გურამ ჩიგოგიძეს, ავთანდილ სამხარაძეს და ზურაბ ჯვარიძეს, ხოლო ფუტზალში ფიფას არბიტრების წოდება ალექსანდრე მეშკოვმა და ალექსანდრე შილაკაძემ დაიმსახურეს. ეს აღიარება მსაჯებს მერაბ ჟორდანიამ პირადად მიულოცა და ფიფას არბიტრების ატრიბუტიკა გადასცა.

"საქართველოში ფეხბურთის განვითარების საქმეში სტრატეგიული როლი სწორედ მსაჯებს ეკისრებათ. მსაჯობის დონის ამაღლების გარეშე ეს პროცესი წარმოუდგენელია. მიხარია, რომ ქართველი არბიტრების კვალიფიკაცია პროგრესის გზით ვითარდება, რაც ბევრ ასპექტში ვლინდება. ქართველ მსაჯებს უკვე უეფას საკლუბო ტურნირების მნიშვნელოვან მატჩებზე იწვევენ. დარწმუნებული ვარ, შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენი არბიტრები ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე იმსაჯებენ", - განაცხადა ჟორდანიამ.

მომავალი წლის გაზაფხულზე სფფ-ს სამსაჯო კომიტეტი ექვს ქართველ მსაჯს გაგზავნის იტალიაში, ცნობილ საფეხბურთო აკადემია "კოვერჩიანოში", სადაც ლექციებს წაიკითხავს თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მსაჯი, იტალიელი პიერ-ლუიჯი კოლინა.

# ჩემი შობა

წლევანდელი სეზონი უაღრესად რთული გამოდგა იმ ფეხბურთელებისთვის, ვინც პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. ასეთი იყო სეზონი სევილიის "ბეტისის" ფეხბურთელის ხოაკინ სანჩესისთვის. 2004 წელს 23 წლის ფეხბურთელმა 50-ზე მეტ მატჩში მიიღო მონაწილეობა. ამიტომ ის მოუთმენლად ელოდება საშობაო არდადეგებს.

"ძალიან სამწუხაროა, რომ ევროპის ჩემპიონატს გამოვეთიშეთ, - ამბობს სანჩესი, - არ მოველოდით, რომ პორტუგალიასთან დავმარცხდებოდით. ეს ჩვენთვის მძიმე დარტყმა აღმოჩნდა. მეორე მხრივ, ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ კარგ ფორმაში ვარ და გვერდით მყავს ხალხი, ვინც ქვეყანას მირჩევნია. "ბეტისის" გულშემატკივრები მაფასებენ და მხარს მიჭერენ. მე ეს ძალიან მახარებს. სიმართლე გითხრათ, ცხოვრებით კმაყოფილი ვარ და ამიტომ ვიღიმი".

მოკლედ, როგორ დაიწყება საშობაო ზეიმი? "შობის წინ მთელი ოჯახი ერთად შეიკრიბება. ეს კი 60-70 ადამიანია. წარმოგიდგენიათ, რა იქნება? - განაგრძობს ფეხბურთელი. - ჩვენ ფლამენკოსა და მუსიკის დიდი მოტრფიალენი გახლავართ. გვიყვარს ბუხრის პირას სიმღერა და გემრიელი საჭმელები. ჩვენთვის ეს დღეები უაღრესად მნიშვნელოვანია. მთელი ოჯახი ერთად იკრიბება და ერთიანობას ვგრძნობთ. წლეულს ყველაფერი ცოტა სხვაგვარად იქნება, რადგან საშობაო ზეიმზე ჩემი მეგობარი გოგონა შემომიერთდება. ახალ წელს მის ოჯახთან ერთად გავატარებ".

"მე უკვე აღარ შემიძლია ისე ვიზეიმო, როგორც მივეჩვიე, - ამბობს ხოაკინი, - სამუშაოს გამო მე ოჯახურ წრეში დარჩენას ვამჯობინებ". თუმცა, ხოაკინს ზეიმი



ხოაკინ სანჩესი შობას ოჯახურ წრეში და მეგობარ გოგონასთან გაატარებს.

აუცილებლად ექნება 5 იანვარს, როცა ესპანელები სამი მეფის ღამეს აღნიშნავენ.

"ეს დღე ძალიან მიყვარს, - თქვა სანჩესმა, - 10 წლის ასაკში, რა თქმა უნდა, უფრო მიყვარდა, მაგრამ, ვფიქრობ, ყველა ბავშვს ასე ემართება. მე ძველებურად მახარებს ახლობლებთან შეხვედრა. ახლობელი კი ბევრი მყავს. ძალიან მსიამოვნებს, როცა საჩუქრებს ვურიგებ და მათ სახეებზე აღფრთოვანებას ვხედავ. სხვათა შორის, როგორც წესი, "ბიძია ხოაკინს" საკმაოდ ძვირფას საჩუქრებს უკვეთავენ".

საშობაოდ ფეხბურთელს გასახსენებელი ნამდვილად ექნება. "ჩვენ კარგად გვახსოვს, როგორ აღვიქვამდით ბავშვობაში ამ დღესასწაულს, - თქვა ფეხბურთელმა, - როცა ვხედავ ბავშვებს, რომლებიც საჩუქრებს ხსნიან, ყოველთვის ვფიქრობ: სამწუხაროა, რომ 10 წლის აღარ ვარ. როცა შობის დღეს ბავშვებს ახარებ, თითქოს საკუთარ ბავშვობას უბრუნდები".

ყველაზე ღირსსახსოვარი საჩუქარი? "მამის ნაჩუქარი პატარა მოტოციკლი. მაშინ 10 თუ 11 წლის ვიყავი, - იხსენებს სანჩესი, - მახსოვს, როგორ გავიღვიძე დილის 5 საათზე და საჩუქრისთვის სასტუმრო ოთახში გავიქეცი. ეს საოცარი დღე იყო. ჩვენ ამ მოტოციკლით იმდენ ხანს დავდიოდით, რომ კინაღამ გავტეხეთ".

"ძალიან მინდა, რომ ჩემმა კლუბმა ესპანეთის პრიმერადივიზიონში რაც შეიძლება მაღალი ადგილი დაიკავოს. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება, - თქვა მან, - ჩემს მეგობარ გოგონას ჯანმრთელობასა და სიყვარულს ვუსურვებ, ხოლო ოჯახს და მეგობრებს - ბედნიერებას".

ბოულინგი

# ახალი საიტი ახალი წლისთვის

დალი კუპრავა

ორიგინალურობა ქართული ბოულინგისა და ჯი-ემ-სი ჯგუფის განსაკუთრებული ნიშანი, მისი ბრენდია. გუშინდელი საღამოც ბოულინგცენტრში ამის დასტურია. ჯი-ემ-სი ჯგუფმა კორპორაციულ შეხვედრაზე დამსწრეთა თვალისა და გულის გასახარად წარმოადგინა კომპანიის საქმიანობა.

ექვს საათზე დანიშნული შეხვედრის ოფიციალური ნაწილი მოწვეულთა ეროვნული ნიშნის - ქართველობის მიზეზით მოგვიანებით დაიწყო. იქ მყოფთათვის ეს, ალბათ, იმ იშვიათ შემთხვევათაგანი იყო, როცა დაგვიანება, ლოდინი დისკომფორტს არ განგაცდევინებს და დრო სასიამოვნოდ გადის. ერთი ეგ იყო, ბოულინგს ოფიციალური ნაწილის შემდეგ, - "გათამაშებთო", გვითხრა ჯი-ემ-სი ჯგუფის მენეჯერმა მაკო ჯაოშვილმა. მართალია მენეჯერი - თვითონ უკეთ იცის, როგორი აზარტულია ბოულინგი.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

GMC ჯგუფის მენეჯერმა მაკო ჯაოშვილმა საიტი წარადგინა

აზარტული და დიდი ისტორიის მქონე.

ბოულინგის თამაშს მდიდარი ისტორია აქვს. დღეს იგი მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული და პოპულარული გასართობი საშუალებაა. ბოულინგი ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ჩაისახა. დაუჯერებელია, მაგრამ ის სპორტის ყველაზე ძველ სახეობადაც გვევლინება.

ჯერ კიდევ 5 000 წლის წინ არსებობდა თავისი პირვანდელი სახით. დროდადრო ბოულინგის თამაშის ზოგიერთი წესი იცვლებოდა, მაგრამ ძირითადი პრინციპები უცვლელი დარჩა. ადრე სათამაშო ინვენტარი სხვა მასალისგან კეთდებოდა: ბურთები კაუჩუკისგან მზადდებოდა, ხოლო ბილიკები - ხისგან. თამაშის განვითარებასთან ერთად, თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით, ხის ბილიკები სინთეტიკური საფარით შეიცვალა. დღეს ბოულინგს 95 მილიონზე მეტი ადამიანი თამაშობს.

ბოულინგცენტრში კი, ვიდრე კეგლთან საუბარს დაიწყებდა, საზოგადოება ეზიარა კორპორაციის მასპინძლობის კიდევ ერთ სიკეთეს - მრავალფეროვან სამზარეულოს.

რესტორანი "ძველი სახლი" ქართული სამზარეულოთი, "მატრიოშკა" - სლავურით, "საკურა" და "ტოკიო" - იაპონურით გაუმასპინძლდნენ სტუმრებს. ამ "გაწამაწიაში" დრო გემრიელად გავიდა... და ოფიციალური ნაწილიც დაიწყო. მაკო ჯაოშვილმა კორპორაციის საქმიანობა გააცნო საზოგადოებას.

ჯი-ემ-სი კომპანია განაგებს ქართულ რეალობაში არსებულ ერთადერთ სარესტორნო ქსელს, რომელშიც გაერთიანებულია ტრადიციული ადათ-წესების მქონე რესტორანი "ძველი სახლი", რუსული ფოლკლორული სიმბოლიკით წარმოდგენილი რესტორანი "მატრიოშკა", საქართველოში პირველი იაპონური რესტორანი "ტოკიო", რესტორანი "საკურა", აქტიური დასვენებისა და გართობის კერა ბოულინგცენტრი, დუქანი "ძველი სახლი", ბათუმში გახსნილი ლუდის რესტორანი "პორტო ფრანკო" და ფრანგული ტიპის კაფე "პრივეტ იზ ბატუმა".

კომპანიის მენეჯმენტი მიისწრაფის საზოგადოების ნდობისა და მაღალი რეპუტაციის მოსაპოვებლად. მისი მარკეტინგული სტრატეგია თვალისწინებს ინდივიდუალურობის შესაბამისი ესთეტიკური გარემოს შექმნას და სასიამოვნო ატმოსფეროში დროის შინაარსიანად გატარებას. ჯი-ემ-სი ჯგუფის პრეზიდენტია დავით ნათაძე, ვისთვისაც მხოლოდ ბიზნესის სარფიანობა მთავარი ამოცანა როდია. პრეზიდენტს სურს, ჯგუფის წევრებში საქმიანი თვისებები ჩამოაყალიბოს და პოზიტიური განწყობა დაამკვიდროს.

და მაინც, რა სპეციფიკით გამოირჩევა ასეთი მენეჯმენტის მუშაობის სტილი? ევროპული ყაიდით გაჯერებული გულუხვი სტუმართმოყვრობა, ქართულ სინამდვილეში გადმოტანილი ამერიკული ცხოვრების წესი, რუსულ ნაციონალურ სიმბოლიკაზე მორგებული ტრადიციული მასპინძლობა, იაპონურ ეგზოტიკასთან შერწყმული ეროვნული თვითმყოფადობა - აი, პრიორიტეტები თქვენთვის საუკეთესო მომსახურების უზრუნველსაყოფად.

კომპანია გეგმავს ჰოლდინგბარათების შემოღებას, რაც მუდმივი სტუმრებისთვის დააწესებს ქსელური მასშტაბით ფასდაკლებას, აგრეთვე, სხვადასხვა შეღავათსა და სიურპრიზს შესთავაზებს მათ.

ოფიციალური ნაწილის შემდეგ საზოგადოებას უთხრეს, რომ კეგლის დრო დადგა. შემდეგ სადღესასწაულო ტორტიც გაიჭრა. ბოლოს კი "კოკა კოლას" საახალწლო მანქანებით მოსულმა თოვლის პაპებმა ახალი წელი მოგვილოცეს...

ამდენ ამბავში მთავარის თქმა დამიგვიანდა - ჯი-ემ-სი ჯგუფს საიტის პრეზენტაცია ჰქონდა - ყველაფერი ბოულინგზე, ყველაფერი რესტორნების ქსელზე, შეგიძლიათ შეკვეთა ელექტრონული ფოსტით გააფორმოთ.

საიტიც ორიგინალურადაა გაფორმებული - კომპასის მოხმარება თუ იცით, თავი ქუდში გაქვთ.

ხომ გითხარით, ორიგინალურობა ჯი-ემ-სის ბრენდია-მეთქი.

ფორმულა 1

# ექლსტოუნი ყველას წინააღმდეგ

პაატა თოთაძე

ფორმულა 1-ში დიდი ამბებია. ლონდონის სასამართლომ ბერნარდ ჩარლზ ეკლსტოუნი მის მიერ შექმნილი იმპერიის - ელიტური ავტორბოლების მმართველობას ჩამოაშორა. ამიერიდან ფორმულა 1-ის ბედი ფორმალურად გერმანელი ფინანსისტების ხელშია. სამი გერმანული ბანკი, რომლებიც კომპანია SLEC-ის (ის განაგებს ფორმულა 1-ის კომერციულ მხარეს) აქციათა 75%-ს ფლობენ, მოახერხეს, კომპანიის მმართველის სავარძელში თავისი კაცი ჩაესვათ. თუმცა, ეკლსტოუნის თქმით, რომელიც ცოტა ხნის წინათ სრულად ფლობდა ამ კომპანიის აქციებს, "შეიცვალა მხოლოდ შემადგენლობა და მეტი არაფერი".

თავის დროზე ფრენკ უილიამსს უთქვამს: "ფორმულა 1 - ეს არის სპორტი უქმეებზე, შუადღის 2-დან 4 საათამდე, დანარჩენ დროს კი ის მხოლოდ ბიზნესია". პრინციპში, ყოველთვის ასე იყო, უბრალოდ, ეს ბიზნესი ბოლო ოც წელიწადში დიდმასშტაბიანი გახდა. ეს დღესაა, რომ მისი ტელეაუდიტორია მხოლოდ ოლიმპიური თამაშებისა და საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატის ტელეაუდიტორიას ჩამორჩება, თორემ იმავე უილიამსს მშვენივრად ახსოვს დრო, როცა რბოლები მხოლოდ პროფესიონალებსა და გულშემატკივართა ძალიან ვიწრო წრეს აინტერესებდა. რამ აქცია ეს არისტოკრატიული სპორტი კარგად რეკლამირებულ ბრენდად? რამ აქცია სპორტის ამ სახეობის მიმდევრები მსოფლიოს უმდიდრეს და უპოპულარულეს ადამიანებად? ამის შემოქმედი ჯადოქარი ბერნი ეკლსტოუნია. სწორედ მან აქცია ავტორბოლები ადამიანთა ერთ-ერთ უსაყვარლეს თავშესაქცევად. ამავე დროს მან მაქსიმალურად შენიღბა საკუთარი გავლენა სპორტის ამ სახეობაზე. შესაბამისად, შენიღბა და, შეძლებისდაგვარად, უსაფრთხო გახადა თავისი კომერციული კონტროლი. ჟურნალმა "Economist"-მა არაერთი გვერდი დაუთმო ეკლსტოუნის იმპერიას და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სიმართლე ფორმულა 1-ის ფინანსების შესახებ იცის მხოლოდ ეკლსტოუნმა და იქვე ირონიულად აღნიშნა: ეჭვი გვაქვს, რომ ამის შესახებ არავის უამბობსო. როგორ დაიწყო ეკლსტოუნის, როგორც ფორმულა 1-ის მეპატრონის კარიერა და როგორ მოხვდა ის პირამიდის სათავეში?



იმპერატორი (ბერნი ეკლსტოუნი) იმპერიის დანგრევას არ დაუშვებს.

თავად "დიდი ბოსი" იხსენებს: "დიდი ხნის წინათ წინადადებით მივმართე გუნდებს, შეგვექმნა კომპანია, რომელსაც მე ვუხელმძღვანელებდი. ყველა ხარჯს ჩემს თავზე ვიღებდი, სამაგიეროდ კი მოგებიდან წილს ვითხოვდი. ყველასგან თანხმობა მივიღე". ანუ ყველაფერი ურთიერთშეთანხმებით მოხდა. მაგრამ ახლა, როცა ეკლსტოუნის ქონება 4 მილიარდს აჭარბებს, ხოლო ფორმულა 1-ს ყოველწლიურად ასობით მილიონი დოლარი მოაქვს, საჯინიბოებს და მათ უკან მდგომ ავტოკონცერნებს აღარ აკმაყოფილებთ წილების განაწილების არსებული პროპორცია. ამბობენ, მათ მთლიანი შემოსავლის 80% უნდათ, მაშინ როცა ამჟამად ეს ციფრი 45-ის ტოლია.

დავუბრუნდეთ ბანკებს, რომელთაც შემთხვევით ერგოთ ბერნის ბიზნესის 75%, SLEC-ის მმართველი კი Bayerische Landesbank-ის პრეზიდენტი გერჰარდ გრიბოვსკი გახდა. ეს შემთხვევითობა იმაში გამოიხატება, რომ აქციები გერმანელმა ტელემაგნატმა ლეო კირხმა იყიდა. ორი წლის წინათ ის გაკოტრდა და აქციებიც მის კრედიტორ ბანკებს ერგოთ. "მათი პრობლემა ისაა, რომ არ იცოდნენ რას ყიდულობდნენ. მთავარი მიზანი მათთვის კომპანიაზე კონტროლის მოპოვება იყო, რაც მიიღეს კიდეც. მაგრამ მთავარი ეს კი არ იყო, არამედ ის, თუ როგორი კომპანიის ხელში ჩაგდება სურდათ", - ამგვარად შეაფასა ბანკების მოქმედება ეკლსტოუნმა. ახლა ვითარება ასეთია: ამ სფეროში გამოუცდელი ბანკები ხედავენ, რომ იმ 1,6 მილიარდის ამოღება, რომელიც SLEC-ის ხელში ჩასაგდებად გაიღეს, ეკლსტოუნის გარეშე შეუძლებელია. ამდენად, ისინი ახლა ეძებენ გზებს მასთან სათანამშრომლოდ. მაგრამ...

"თუ არ შეიცვალა წილების განაწილების პროპორცია, 2008 წლიდან ჩვენ გამოვეყოფით ფორმულა 1-ს და ალტერნატიულ ჩემპიონატს გავმართავთ", - აცხადებენ გუნდები. "ფერარის" პრეზიდენტი ლუკა დი მონტეძემელო უფრო შორს წავიდა: "თანხმობას მომავალი სეზონის ბოლომდე უნდა მივაღწიოთ, არადა, ჩვენი გეგმის ასრულებას დავიწყებთ". ეკლსტოუნმა მშვენივრად იცოდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები და ამიტომაც ადვილად დათმო აქციები. ერთი სიტყვით, მან ყველა გააცურა და ახლაც იგივეს ეცდება. ის არ დაუშვებს მის მიერ შექმნილი იმპერიის დანგრევას. ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ ის ამ იმპერიის თუნდაც პატარა ნაწილი იქნება. როგორც ამბობენ, ბანკების ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების შემდეგ მან ახალ გუნდებს მიმართა წინადადებით, რომლის თანახმადაც მათი შემოსავალი დაახლოებით ორჯერ გაიზრდება, თუმცა, "ფერარისა" და "უილიამსის" საჯინიბოში ეჭვობენ, რომ აქაც რაღაცაა დაფარული. მას ეგრე იოლად ვერაფერს დაათმობინებ, ესე იგი, ამ წინადადების უკან რაღაც იმალებაო, - ამბობენ გუნდების წარმომადგენლები.

მოკლედ

## ტაისონმა, - ჩემს ცხოვრებას სიკვდილი სჯობსო



პროფესიული კრივის ისტორიის ყველაზე ახალგაზრდა მძიმეწონოსან ჩემპიონს (1986 წელს, 20 წლის ასაკში), ლეგენდარულ მაიკ ტაისონს ძალიან აერია ცხოვრება.

რამდენიმე დღის წინათ ტაისონი სტუმრობდა ნიუ იორკის მოკრივეთა სკოლას Gleason's Gym-ს, სადაც ის ბავშვობაში ვარჯიშობდა. სწორედ ამ სტუმრობისას გაამხილა ტაისონმა თავისი გასაჭირი. "იმ ცხოვრებაზე უარესი, რაც მე მაქვს, სიკვდილიც კი არ იქნებოდა", - განაცხადა ტაისონმა, რომელიც ფსიქიკურად არის დაავადებული და დეპრესიის საწინააღმდეგო წამლებით მკურნალობს.

მის ასეთ მდგომარეობას საკმაოდ ბევრი მიზეზი აქვს. სახელგანთქმულ მოკრივეს, რომელმაც 1985 წლიდან მოყოლებული 500-მილიონიანი კაპიტალის დაგროვება შეძლო, ახლა 38 მილიონი დოლარი ვალი აქვს. ძვირფასი სამკაულები, მანქანები, ქალები (გაუპატიურების გამო ის 3 წელი იჯდა ციხეში)... ტაისონმა ისევე სწრაფად გააცამტვერა თავისი ქონება, რა სისწრაფითაც უსწორდებოდა თავის მეტოქეებს რინგზე, კარიერის საუკეთესო წლებში.

"აღარ ვიცი, რას ვაკეთებ. არაფრის სურვილი აღარ მაქვს. ჩემს ცხოვრებაზე უკვე გული მერევა", - ამბობს ტაისონი და განაგრძობს: "საკუთარ თავს ხშირად ვეკითხები, თუ რა აზრი აქვს ცხოვრებას? ვარჯიშით დღემდე ვვარჯიშობ, თუმცა, ისიც არ ვიცი, მინდა კი რინგზე დაბრუნება?"

## „არსენალის„ შემადგენლობა იგივე რჩება

"ბიბისის" ცნობით, ლონდონის "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ იანვარში სატრანსფერო ფანჯრის გახსნის დროს ახალი ფეხბურთელების ყიდვას არ აპირებს. "თვალყურს ვადევნებ, რას გადაწყვეტენ ჩემი კონკურენტები, ვისზე შეაჩერებენ არჩევანს, მაგრამ ამჯერად პირადად მე არავის ყიდვას არ ვაპირებ. "არსენალს" ახალი ფეხბურთელები ჯერჯერობით არ სჭირდება," - აღნიშნა ვენგერმა.

## „ბლექბერს„ სევიჯის ყიდვა უნდა

ინგლისური კლუბი "ბლექბერნი" მზადაა, ორ მილიონ დოლარად იყიდოს "ბირმინჰემ სიტის" ნახევარმცველი რობი სევიჯი. ამ წინადადების ინიციატორია "ბლექბერნის" ახალი მწვრთნელი მარკ ჰიუზი, რომელმაც ფეხბურთელი იელსის ეროვნულ ნაკრებში მუშაობისას გაიცნო. "ჩვენ ისეთი ფეხბურთელი გვჭირდება, როგორიც რობია. კარგი იქნება, მისი ყიდვა რომ შევძლოთ. იმედი მაქვს, კლუბები ერთმანეთში მორიგდებიან," - განაცხადა მწვრთნელმა.

*მოამზადა ნინო ტიკარაძე*

TV-სპორტი

### შაბათი. 25 დეკემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
12:55 მინი-ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "დინამო" - "ვიზ-სინარა". პირდაპირი ტრანსლაცია
14:20 უეფას თასი. ჯგუფური ტურნირის მეხუთე ტურის მატჩების მიმოხილვა
14:50 "2:1". ტოკ-შოუ
15:50 თავისუფალი დარტყმა
16:05 საფეხბურთო არდადეგების ჟამს. გერმანიის ჩემპიონატი. "ჰამბურგი" - "ბავარია"
17:50 საფეხბურთო არდადეგების ჟამს. საფრანგეთის ჩემპიონატი. "ტულუზა" - პსჟ
19:35 თავისუფალი დარტყმა
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:00 მაყურებელთა თხოვნით. ჩემპიონტა ლიგა. სეზონი 1997-1998. "დინამო" (უკრაინა) - "ბარსელონა"
21:50 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
22:20 საფეხბურთო არდადეგების ჟამს. იტალიის ჩემპიონატი. "ლაციო" - "მილანი"
00:05 "FUTBOL MUNDIAL"

**НТВ+ПЛЮС**

09:00 "ჰარმონიის ფორმულა"
10:00, 13:00, 16:00, 20:00 პრესცენტრი
10:20, 20:15 "ქრონიკა"
10:30 "ნოკაუტი" - ტელეჟურნალი
11:00 რუსული ბილიარდი. "აზიის თასის" ფინალი ყაზახეთში
12:30 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
13:15 "ჰოკეი - პლუსი"
13:45"ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
14:30 ამერიკული ფეხბურთი. კვირის მოვლენა
15:00 ტაეკვონდო. "პეტრე დიდი თასი" სანკტ პეტერბურგში. პირველი ნაწილი
16:15 ჰოკეი. სტენლის თასის ფინალების რეტროსპექტივა. 1996 წელი. "COLORADO AVALANCHE" - "FLORIDA PANTHERS"
18:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასის ეტაპები საფრანგეთსა და იტალიაში
19:00 ძიუდო. "რუსეთის პრეზიდენტის თასი". პირველი ნაწილი
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 "დიდი რინგი". "წლის საუკეთესო ორთაბრძოლები". არტურო გატი - მიკი უორდი
22:30 რუსული საჩოგბურთო სეზონი. "როლან გაროსი - 2004". ქალები. ნახევარფინალი. ანასტასია მისკინა - ჯენიფერ კაპრიატი
23:45 ამერიკული ფეხბურთი. კვირის მოვლენა
00:15 ახალი ამბები
00:30 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის. სლოვაკეთი - კანადა. პირდაპირი ტრანსლაცია აშშ-დან
03:00 03:00-დან 04:30-მდე შესვენება
04:30 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის. რუსეთი - აშშ. პირდაპირი ტრანსლაცია აშშ-დან

**EUROSPORT**

10:30 მულტისპორტი
11:00 მულტისპორტი. წლის საუკეთესო მოვლენები
11:30 ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო კლუბები
12:00 მულტისპორტი. წლის საუკეთესო მოვლენები
12:30 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
14:30 ფეხბურთის კლასიკა. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ჰოლანდიისა და იტალიის საუკეთესო მატჩები
15:30 ფებურთის კლასიკა. უეფას ჩემპიონთა ლიგა. გერმანიისა და ესპანეთის
16:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში
18:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
22:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი უნგრეთში. გალა წარმოდგენა
23:00 ოლიმპიური თამაშები - Olympic Extra
00:00 მხედრული ორთაბრძოლები. შოუ სპორტის სასახლე "ბერსიში", საფრანგეთი
01:30 საკლუბო ცხოვრება
02:30 ფრისტაილი-მოტოკროსი



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# მხოლოდ ჩვენებური ფოთოლცვენა

ნოემბერ-დეკემბერი თბილისში ძალიან ქარიანი გამოდგა და სიცივის პარალელურად, სრულიად მოულოდნელი, ჯერ არნანახი და არგაგონილი სიურპრიზი მოგვიმზადა. მთელი დანარჩენი ცივილიზებული მსოფლიოსგან განსხვავებით, თბილისის ქუჩების ხეები ილუმინაციისა და საზეიმო მორთულობის მაგივრად ქარით მოტანილი ნაგვის ცელოფანის პარკებით გალამაზდა. პარკებჩამოკიდებული ხეები ერთი შეხედვით უცნაურ ნატვრის ხეს გაგონებს. ეტყობა, ამაში ჩვენი მოკრძალებული ნატვრების ნაგვის პარკებით ასრულების სიმბოლიკა უნდა დავინახოთ. ვხედავთ, ვხედავთ, მაგრამ სხვა რამესაც ვხედავთ!

გამაგებინეთ, თბილისი ქალაქია, ქვეყნის დედაქალაქი თუ ერთი დიდი სანაგვე ბუნკერი?! გაუთავებელი პოპულისტური შაბათობების მოწყობას ერთი მანქანა გამოყონ და ხეებიდან ნაგვის პარკები ჩამოგვიხსნან! ნიჩბის ხელში დაკავება, თითო ნერგის პრესის თანდასწრებით ჩარგვა, მთელი მერიის, გამგეობის მაღალჩინოსნების მუშაობის პროცესში ჩართვა ერთ კარგად ნაცნობ შაბათობას





გვაგონებს, რომელზეც ვლადიმირ ილიას ძე ლენინი დიდ მორს ეჭიდებოდა. ეს ყველაფერი ვიცით, გვინახავს, სკოლაში გვისწავლია. სკოლის პირველ კლასში იმასაც ასწავლიან, რას ნიშნავს წელიწადის დროები - ზამთარში თოვლი მოდის და ცივა; გაზაფხულზე ყველაფერი იფურჩქნება, იღვიძებს; ზაფხულში ცხელა; შემოდგომაზე კი ფოთლები ყვითლდება, წითლდება, პირველივე ქარზე ცვივა, ჰაერში დაფრინავს და ჭრელი ხალიჩასავით მიწაზე ეფინება. აი, პარკების ცვენაზე, მგონი, სკოლაშიც კი არაფერს ასწავლიან. ეს, ეტყობა, წელიწადის არც ერთი დროის დახასიათებაში არ ჯდება. თუმცა, ისევე, როგორც ქალაქის მოვლის არც ერთ ნორმაში. ამაში მხოლოდ და მხოლოდ ისევ ქარის და გაზაფხულზე გაშლილი ფოთლების იმედად უნდა ვიყოთ. მანამდე კი თბილისს ნაგვის პარკებჩამოკიდებული ხეები და ბუჩქები უნდა ამშვენებდეს. თუმცა, პარკები ფერადებია და საახალწლოდ ეგებ გამოდგეს. ჯერჯერობით, თბილისს თუ გადავხედავთ, მგონი, უკეთესს მაინც არაფერს გვთავაზობენ.

## საქართველო, სდექ!

ერთხელ ირაკლი აბაშიძემ რეზო ამაშუკელს უთხრა: "რეზო, კაცი ვერ გაიგებს, მიდიხარ თუ მოდიხარ"-ო.

ახალი ოპოზიციური ორგანიზაცია "წინ საქართველოს" საქმეც ზუსტად ასეა. კაცი ვერ გაიგებს, მიდიან თუ მოდიან. თუმცა, შემადგენლობას თუ გადავხედავთ, მგონი "ორგანიზაციის" წევრებმაც ზუსტად არ უნდა იცოდნენ, რომელია წინ და უკან, მარცხნივ და მარჯვნივ.

ამიტომ, ქართული საზოგადოება მათ არც წინ და არც უკან გაჰყვება და მყარად შეინარჩუნებს იმ პოზიციას, რომელშიც "ორგანიზაციის" წევრები ასე უბადრუკად ჩანან.

# რწყილი და ჭიანჭველა

ერთი წლის წინანდელ, პოლიტიკურად, სოციალურად და ემოციურად დაძაბულ პერიოდში, მოვლენების გაშუქების, საზოგადოების ინფორმირების თვალსაზრისით ქართული მასმედიის ერთმა ნაწილმა უდიდესი როლი შეასრულა. იმ დაძაბულ დღეებში ჩვენი წამყვანი ტელეარხების, მათი ხელმძღვანელებისა თუ რიგითი კორესპონდენტების ოპერატიული, წარმოუდგენლად დიდი და რთული, თამამი, პროფესიონალური მუშაობის, დავიწყება არაფრით შეიძლება. ეს, ყველა თვალსაზრისით, ექსტრემალური სამუშაო პირობები იყო, რომლის დროსაც მუშაობა რამდენადაც რთული, იმდენად საინტერესო და მრავალფეროვანია. მთელი საქართველო ტელევიზორებთან ინფორმაციის მოლოდინში იყო მიმჯდარი, რომ ჯერ რევოლუციური დღეების და შემდგომ პოსტრევოლუციური პირველი, რთული ნაბიჯების საქმის კურსში ყოფილიყო, არაფერი გამორჩენოდა.

დღეს ქვეყანაში სტაბილური, ყოველდღიური, შეიძლება ეფექტებს, სკანდალებს, შოუებს ოდნავ მოკლებული, მაგრამ რითმული და არანაკლებად მნიშვნელოვანი, მძიმე მუშაობა მიდის. პრობლემები, ხარვეზები, შეცდომები, სამწუხაროდ, ჯერ ძალიან ხშირია, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყანა ნელ-ნელა ფეხზე წამოდგომის, პირველი ნაბიჯების გავლას ცდილობს. მიუხედავად იმისა, რომ მასმედიის როლი დღესაც ძალიან მნიშვნელოვანი, საჭიროა, ჩვენდა გასაკვირად, ქართული მედიის ლიდერები სრულიად უსუსურნი აღმოჩნდნენ ქვეყნის ყოველდღიური ყოფის გაშუქებაში. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ეფექტის მიღწევის მიზნით ინფორმაციის თითიდან გამოწურვის, ინტერესების, მათი ობიექტების მოგონების უცნაური ტენდენცია გახდა შესამჩნევი. მაგალითად, პირადად ჩემთვის სრულიად აუხსნელად, ერთ-ერთი წამყვანი ტელეკომპანიის საინფორმაციო გადაცემამ საკმაოდ მოზრდილი სიუჟეტი ვინმე მაისაშვილის საქართველოში დაბრუნებას მიუძღვნა. კარგად მახსოვს, ასევე ტელევიზიის მეშვეობით მაისაშვილი ამერიკაში წასვლისას როგორ დაგვემშვიდობა. მისივე თქმით, იქ მას უფრო სერიოზული - ამერიკის პრეზიდენტის არჩევნები ელოდებოდა. ეტყობა, მაისაშვილის გარეშე ამერიკის ცხოვრების ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა ვერაფრით ჩაივლიდა. ახლა კი მაისაშვილმა ამერიკაში სიტუაცია დაალაგა, მისადმი დასმული ამოცანები გადაჭრა და, როგორც იქნა, საქართველოსთვისაც მოიცალა. ჩვენმა მედიამაც ამგვარი თავდადებულობა შესაბამისად დაუფასა და "დიდ პოლიტიკურ ფიგურას" აეროპორტშივე დახვდა. მისი ჩამოსვლა, პირველი კომენტარები, დამხვედრების სიხარული ფართოდ გაგვიშუქა. კი ბატონო, საწინააღმდეგო არაფერი მექნება, თუ ერთ პირობას შემისრულებს ვინმე. ეგება გამაგებინონ, ვინ არის ეს მაისაშვილი, რას წარმოადგენს, რას მოღვაწეობს და რითი ან რატომ უნდა იყოს ჩვენთვის ოდნავ მაინც საინტერესო. რამდენადაც მე ვიცი, მისი ერთადერთი პლუსი საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტის - მიშა სააკაშვილის თანამოაზრეობა იყო. თუმცა, მაისაშვილმა ისიც წინდაუხედავად გაუშვა ხელიდან. ამიხსენით, სხვა რა პლუსი აქვს? ამერიკანიზირებული იმიჯი, ოდნავ კარგად შეკერილი პიჯაკები, ლიმონისფერი ჰალსტუხები, ზოგადსაკაცობრიო დემაგოგია თუ კიდევ რაიმე სრულიად ახლებური, ჯერ არგაგონილი პოლიტიკური პლატფორმა? ან ეგება მისი და საპატრიარქოს ყოფილი პრესმდივნის გიორგი ანდრიაძის, რომლის ასევე ერთადერთი პლუსი პრესმდივნობა იყო, ალიანსია ჩვენთვის მნიშვნელოვანი, რაიმე სასიკეთოს მომასწავებელი? ჯერჯერობით, ელიავას ბაზრობაზე სიარულის და საკუთარი გერბისთვის (რა თავმდაბლობაა!) მასალის შერჩევაზე უფრო საინტერესო ვერაფერი შემოგვთავაზეს. ამიტომაც, ეგება მოგვეცადა, ქართულ მასმედიას ცოტა მოეთმინა და თუ ეს "ალიანსი", მათი საქმიანობა მართლაც ღირებული და ყურადღებამისაქცევი გახდებოდა (რაშიც მე ეჭვი მეპარება), აი, მაშინ დაეწყოთ მაისაშვილების მსგავსი პერსონების შესახებ სიუჟეტების მომზადება. მანამდე კი სრულიად გაუგებარია, ვიღაცა რიგითი ყოფილი თანამოაზრისა და ყოფილი პრესმდივნის აზრების, გეგმების, გადაადგილებებისა და ამბიციების საქვეყნოდ გაშუქება. ერთი რიგითი რწყილი და ჭიანჭველა დაძმობილდნენ. მერე რა? ნუთუ ამაზე საინტერესო ქვეყანაში აღარაფერი ხდება?! ამისთვის გინდათ, რომ მოვიცალოთ?

# სად არის ბრიჯიდ ბარდო?

თბილისის ცენტრალურ უბნებში, განსაკუთრებით კი "პრესტიჟულ-ელიტარულ" ვერა-ვაკეში ბოლო წლებში განვითარებულმა მშენებლობის ისტერიულმა ბუმმა, სამწუხაროდ, აშკარად დაგვანახა, რომ ამ ახალაშენებული სახლების უკან უმეტესად უკულტურო, უგემოვნო, უსიყვარულო, უცოდინარი პიროვნებები - მფლობელები, დამკვეთები, შემსრულებლები, ნებართვის გამცემები იდგნენ. მაგრამ ბარნოვის ქუჩაზე, მრგვალ ბაღთან აშენებულმა, თავისთავად ენით აღუწერელი არქიტექტურული სტილის მქონე სახლმა იმაში დამარწმუნა, რომ მისი ინკოგნიტო მფლობელები ზემოთ ჩამოთვლილი, თითქოსდა ელემენტარული თვისებების სრული დეფიციტის პარალელურად, ჰუმანურობის მძაფრ დეფიციტსაც განიცდიან. თბილისში ნაკვეთი კი იშოვეს, ბარნოვზე ტერიტორია კი დაითრიეს და კომერციულად ასეთი მომგებიანი სახლიც კი ააშენეს (თუ მაგ ნაგებობას სახლი შეიძლება ვუწოდოთ), მაგრამ საკუთარი "უძრავი ქონების" დასაცავად ვერაფერი უკეთესი, ოდნავ ადამიანური ვერ მოიფიქრეს, რომ ჯერ დაუმთავრებელი შენობის საყარაულოდ, შემინულ პირველ სართულზე უზარმაზარი, ერთ დროს ალბათ ლამაზი, ახლა კი საცოდავი კავკასიური ნაგაზი არ ჩაეკეტათ. ვაითუ, ვინმე მშენებარე ბინაში შევარდეს და მათ საკუთრებას საფრთხე შეუქმნას!

არც ბრიჯიდ ბარდო ვარ და არც ზოგადად ძაღლების ბედით მოცული, მათი უფლებების დამცველი ადამიანი, მაგრამ ამ სახლთან ყოველ ავლა-ჩავლაზე ძაღლის უბედურების შემხედვარეს გული მისკდება. შუშებში გამომწყვდეულ ძაღლს, ეტყობა, ოდესღაც სქელი, ფუმფულა ბეწვი ამშვენებდა, ახლა კი ნელ-ნელა, გამვლელების თვალწინ, სულ უფრო და უფრო ქოსა ხდება, გაცვენილი ბეწვი კი იქვე, მის გარშემო ბღუჯებად ყრია და მოუვლელობისგან, უჭმელობისგან მისუსტებული ნაგაზი ლეიბად საკუთარ დაცვენილ ბეწვს იყენებს. ერთ ადგილას გაუნძრევლად წევს, ვერც კი დგება და საბრალო თვალებით ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე "პრესტიჟულ" ქუჩაზე გამვლელებს შველას, ელემენტარული ჰუმანურობის გამოჩენას სთხოვს.



ვაკეში კი მისთვის არავის სცალია.

# ლანჩავა არ დაგვიტოვოთ!

თბილისის ცენტრალურ ქუჩებზე უზარმაზარი, რკინა-ბეტონის რთული კონსტრუქციების მქონე სარეკლამო ბილბორდების აღება დავიწყეთო, - გვეუბნებიან. მართალია, ეს პროცესი ჯერჯერობით მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი რეკლამის მოხსნით დაიწყო და რატომღაც იქვე შეჩერდა, მაგრამ თვითონ იდეა საკმაოდ სწორი და მისასალმებელი მეჩვენება. თუ, რა თქმა უნდა, პირველივე პოპულისტური ნაბიჯით არ დავკმაყოფილდებით და საქმეს ბოლომდე მივიყვანთ. მსოფლიოს ვერც ერთი ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე, ავენიუებზე ასეთი ზომის რეკლამა-ურჩხულებს ვერ ნახავთ. მთელი ცივილიზებული სამყარო ქუჩებში განლაგებული საშუალო, ზომიერ ბილბორდებს ჯერდება. გზატკეცილებზე კი ნებისმიერი ზომის რეკლამებს ათავსებენ. ქართველები ამაშიც მაქსიმალისტები აღმოვჩნდით და ჩვენი ულამაზესი დედაქალაქი მხოლოდ ჩვენებურად დავამახინჯეთ.

ბილბორდების ამღებებს ერთი კონკრეტული სარეკლამო ფარი მინდა შევახსენო. თბილისის რამდენიმე ცენტრალურ ქუჩას თვეების განმავლობაში უზარმაზარი, სრულიად გაუგებარი და საკმაოდ მოსაბეზრებელ-შემაწუხებელი წითელი ბილბორდები ამშვენებს, რომლებზეც ვინმე დავით ლანჩავა მსხვილი პლანით არის გამოსახული და საკუთარ საადვოკატო მომსახურებას რეკლამირებას უწევს. ადვოკატი ლანჩავა, თავის საუკეთესო კოსტიუმში გამოწყობილი, კაბინეტის მაგიდასთან ზის, სრულიად გაუგებარი სიმბოლიკის თანახმად, მუხლებზე, სავარაუდოდ, მცირეწლოვანი შვილი უზის და განმგმირავ-შემაშინებელი ან დაჟინებული მზერით აი, უკვე ერთ წელზე მეტია, დაუნდობლად გვიმზერს. რა დავაშავეთ, ვერ გამიგია, რატომ გვაშინებს? ამასობაში ბავშვი გაიზრდებოდა, ლანჩავა დაიღლებოდა, ბილბორდის წითელი ფერი გახუნდებოდა და ნორმალური ადამიანი საკუთარ გამოსახულებას დიდი ხანია, შეეშლეოდა. მაგრამ, ეტყობა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა. რადგან ადვოკატი ლანჩავა საკუთარ გიგანტომანიას ნებით ვერ ელევა, არ შეიძლება, რომ ბილბორდების მოხსნის პროცესს ლანჩავაც მივაყოლოთ? სამუდამოდ ხომ არ უყიდია ეს ადგილები და ჩვენი სიმშვიდე? ბოლოს და ბოლოს, არც ალენ დელონია და არც ზურა ყიფშიძე. ერთადერთი, ვისაც შეიძლება ოდნავ მაინც მიამსგავსო - მაქსიმუმ ირაკლი ოქრუაშვილია. მე მგონი, ეს არგუმენტი ჩვენი ნერვების მოშლისა და ქალაქის დამახინჯებისთვის სრულებით არ არის საკმარისი.




ძალიან გთხოვთ, ყურადღებით იყავით და ლანჩავა შემთხვევით არ დაგავიწყდეთ, სამუდამოდ ზემოდან მზირალი არ დაგვიტოვოთ!

## ფოტოგალერეა



ჰაემანი.

ავტორი: იური ლობოდინი

## TV პროგრამა

### 25 დეკემბერი

**რუსთავი - 2**

**08.00** კლასიკა **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "დაკარგული ქალაქის მაძიებლები" **12.20** "გაიღიმეთ ფარული კამერაა" **12.50** მხ. ფილმი "გაქცევა ნიუ-იორკიდან" (გ) **15.20** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **17.00** სერიალი "ვიდრე ხვალ" **18.00, 21.00, 01.00** კურიერი **18.20** დოკ. სერიალი **19.10** მხ. ფილმი "მეოჯახე" **22.00** "ფსიქო"- დოკ. ფილმები "მოლოდინი", "აფხაზეთი-კონფლიქტის მხარე" **01.20** მხ. ფილმი "ჰენრი მე-5" (18). (კენეტ ბრანა)

**პირველი არხი**

**08.00** "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "სოლტის შუქურა" 1-ლი ს. **08.45** სერიალი "მაუგლი" 1-ლი ს. **09.15** საცირკო სანახაობა **10.00** სპექტაკლი "უჩინმაჩინის ქუდი" **11.30** "ტაქსი" **12.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **12.20** დოკ. ფილმი "გერმანიის ველური ცხოველები" **13.20** მხ. ფილმი "მფარველი ანგელოზი" **15.00** კონცერტი **16.00** სერიალი "საშობაო სიმღერა" 1-ლი ს. **17.00** "არტე" წარმოგიდგენთ - "გოგენი" **18.00, 20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **18.10** ხალხური შემოქმედება - "ლექსო ნუ დაიკარგები" **19.00** შემეცნებითი დოკ. ფილმი "მოგზაურის გიდი" -ამსტერდამი **20.30** დოკ. სერიალი "ჰოლივუდი და კრიმინალი" **21.30** "რაციო" **22.30** ბიოგრაფიული პორტრეტები - მარგარეტ ტეტჩერი **23.30** "ჩვენ" **00.30** მხ. ფილმი "მღვდლის ცოლი" (გ) **01.55** საინფორმაციო გამოშვება

**მზე**

**09.00** მუსიკა მზეზე **09.30** მულტსერიალი "რედვოლი" **10.00** საბ. სერიალი "ოდისეა" **10.30** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **11.30** შემეცნებითი პროგრამა "ექსტრემალური ამბები" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.00** სერიალი "კარაბინერები" **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.15** მხ. ფილმი "სამეფო ქორწილი" (გ) **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** შემეცნ. გასართ. პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **18.50** "ჯეოსტარი" **19.00** სერიალი "კარაბინერები" **20.30** მუსიკ. კონკურსი "ჯეოსტარი" **22.00** მხ. ფილმი "ვახშამი ბრიყვთან ერთად" (გ) (ჟაკ ვიერე) **00.00** ფეხბურთი. პრიმერა დივიზიონი.

**მეორე არხი**

**19.00** საცირკო სანახაობა **19.50** საქართველო არის ესე **20.15** დოკ. ფილმი "ჟან ლუკ პონტი" **21.10** "იმღერე რამე" **21.30** ფრაგმენტები სურათისთვის **22.00** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **22.15** ასე ვცხოვრობთ **22.35** მხ. ფილმი "მოკვეთილი" (გ)

**იმედი**

**08.50** ანიმაციური ფილმი "ტომ თამბის და თამბელინის შეხვედრა" **09.45** მხ. ფილმი ":ანდარმი და უცხოპლანეტელები" (გ) (ლუი დე ფიუნესი) **11.20** "რაო, რაო?" **11.30** "იმედითა შენითა" -ზემო ვარძიის დედათა მონასტერი **11.45** "კლიპ-ლოტო" **12.40, 16.15, 02.40** ტვ-მარკეტი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15, 02.30** ქრონიკა **13.15** მხ. ფილმი "ამელი" (გ) (ო. ტოტუ) **15.45** წუთისოფელში **16.30** "ნბა"-ს ჟურნალი **17.10** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **20.05** ქართ. ფილმი "ვერის უბნის მელოდიები" (გ) **22.30** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **00.20** "ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად" **01.35** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **03.10** იმედის მელოდიები

**აჭარა**

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** მულტფილმი "გენიალური ბიჭუნა" **10.40** მუსიკა **10.50** კომედია "სათამაშო" **12.20** დოკ. ფილმი **12.45** ფილმი-ფანტასტიკა "დროის გამჩერებელნი" **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.45** თრილერი "შიშის ჩრდილი" **16.10** მულტფილმი 17720 "ჭიტა-ჭიტა" **17.45** სათავ. ფილმი "ურჩხულის ბეჭედი" **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **19.35** დოკ. ფილმი **20.15** "მოგზაური" **21.00** "ფერისცვალება" **21.10** მხ. ფილმი "ვანილის ცა" **23.35** მუსიკა **23.40** მისტიკური თრილერი "თვალი-2"

**ОРТ**

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости. **06.10** Мультсериал "Кошки-мышки". **06.30** Лаймонас Норейка в фильме **"ПОВЕСТЬ О ЧЕКИСТЕ"**. **08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.20** "Смак" **10.40** "Кумиры". Николай Сличенко. **11.10** Док. фильм "Цесаревич Алексей". **12.10** "Розы для Елены Бережной". **13.00** Умницы и умники. **13.40** Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". **14.00** Субботний "Ералаш". **14.30** Чарли Шин в комедийном боевике **"ГОРЯЧИЕ ГОЛОВЫ-2"** **16.10** Михаил Жванецкий и другие на фестивале юмора "Ялта-2004". **17.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России. **18.10** Криминальная Россия. "Безумная семейка". **18.40** СОФИЯ РОТАРУ И ДРУГИЕ В СУББОТНЕМ КОНЦЕРТЕ. **20.00** "Кто хочет стать миллионером?" **21.00** Время. **21.20** "Последний герой". Суперигра. Закл. программа **22.30** Что? Где? Когда? Финал года. **00.00** Брэд Питт в комедийном боевике **"БОЛЬШОЙ КУШ"** **02.05** Вайнона Райдер в фильме **"РЕАЛЬНОСТЬ КУСАЕТСЯ"**. **03.50** Ума Турман в комедии **"ПРАВДА О КОШКАХ И СОБАКАХ"**.

**НТВ**

**05.45** Яна Поплавскаяв фильме-сказке **"ПРО КРАСНУЮ ШАПОЧКУ"** **08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Мультфильм "Ивашка из Дворца пионеров". **08.25** Сериал **"2,5 ЧЕЛОВЕКА"**. **08.50** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.25** "Дикий мир" **10.15** Марина Хлебникова в программе "Растительная жизнь". **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.20** Особо опасен! **14.00** Билл Мюррей в комедии **"НОВАЯ РОЖДЕСТВЕНСКАЯ СКАЗКА"**. **16.20** "Женский взгляд". Ольга Кабо. **16.55** Своя игра. **17.55** "Школа злословия". Ток-шоу **19.40** Профессия - репортер. **20.10** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ-II: БОРЬБА ЗА ВЫЖИВАНИЕ"**. **21.20** "Говорит и показывает Кремль". Фильм Дмитрия Новикова. **21.50** Джон Траволта в фильме **"МАЙКЛ"**. **00.05** Ариэль Домбасль в фильме **"БО БА БУ"** **01.40** "2:1". Ток-шоу **02.15** Сериал **"КЛАН СОПРАНО"**. **04.20** Софи Марсо в комедии **"СЧАСТЛИВАЯ НАХОДКА"**.

## სკანვორდი




**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები:**

# გრიგოლ ფერაძე პოლონეთში

გოჩა ჯაფარიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

1942 წლის 6 დეკემბერს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში მოწამებრივი სიკვდილით დაიღუპა 43 წლის შესანიშნავი ქართველი მეცნიერი, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე.

გრიგოლ ფერაძის სახელი კარგად არის ცნობილი საქართველოში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა. გრიგოლ ფერაძის ცხოვრება, ასევე კარგად არის ცნობილი პოლონეთის სამეცნიერო წრეებში, რომლებიც მის ხსოვნას დიდ პატივს მიაგებენ. ვარშავის უნივერსიტეტში, მემორიალურ დაფაზე იმ მეცნიერთა შორის, რომლებმაც თავი დადეს პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, დასახელებულია გრიგოლ ფერაძის სახელიც. დაბოლოს, უკანასკნელი სამი წელია, ვარშავის უნივერსიტეტში რეგულარულად იმართება კავკასიოლოგთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ქართველ მეცნიერს ეძღვნება.

პირველი ასეთი კონფერენცია ვარშავაში გაიმართა წმინდა გრიგოლ ფერაძის გარდაცვალების 60 წლისთავთან დაკავშირებით, 2002 წლის 6 დეკემბერს. მესამე ახლახან ჩატარდა. ვინაიდან 14-16 დეკემბერს ვარშავაში დაგეგმილი იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის ვიზიტი, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნით, კონფერენცია, რომლის გახსნასაც ჩვენი მინისტრი დაესწრო, 6 დეკემბრის ნაცვლად მოეწყო 16 დეკემბერს. ფერაძის მემორიალური დაფა ქართულმა დელეგაციამ ყვავილებით შეამკო და სანთლები დაანთო.

ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა, რომელმაც უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ისაუბრა პოლონეთ-საქართველოს ისტორიულ კავშირებზე და საქართველოს საგარეო და საერთაშორისო პოლიტიკის პრიორიტეტებზე, დამსწრეთ აუწყა, რომ გრიგოლ ფერაძე მისი დედის, ქალბატონ ზეინაბის ნათლია იყო. მინისტრმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, ივანე ჯავახიშვილის მედლები გადასცა უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტის დირექტორს, პოლონელ მეცნიერს პროფესორ იან მალიცკის და იმავე ინსტიტუტის კავკასიოლოგიის (იგივე ქართული) სემინარის ხელმძღვანელს, ახალგაზრდა ქართველ მეცნიერს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს დავით ყოლბაიას იმ დიდი წვლილისათვის, რაც მათ შეიტანეს ვარშავის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის დაფუძნებასა და განვითარებაში.

იან მალიცკი, პოლონეთის "სოლიდარობის" აქტიური წევრი, რეპრესირებული და შემდეგ რეაბილიტირებული გამოჩენილი პოლონელი მკვლევარი, ქართველების დიდი მეგობარია. მალიცკის ინიციატივით და მხარდაჭერით, ვარშავის უნივერსიტეტში ისწავლება ქართული ენა, ის მხარს უჭერს გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილი კავკასიოლოგიური (ქართველოლოგიური) კონფერენციის ყოველწლიურ ჩატარებას.

რაც შეეხება ბატონ დავით ყოლბაიას, პოლონეთში მოღვაწე ქართველ ისტორიკოსს, ვფიქრობთ, საჭიროა, რომ ქართულმა საზოგადოებრიობამ მის შესახებ ბევრი რამ იცოდეს. დავით ყოლბაია, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის 1990 წლის კურსდამთავრებული, პროფესორ მარიამ ლორთქიფანიძის მოწაფე, 13 წელია, ცხოვრობს ვარშავაში და იკვლევს ადრეული ქართული ქრისტიანობის პრობლემებს; 1996 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, კითხულობს ლექციებს ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის და ლოძის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტებზე. მიწვეული იყო აშშ-ს და ევროპის არაერთ წამყვან სამეცნიერო ცენტრში, 2003 წ. იკვლევდა ქართულ ხელნაწერებს ათონის ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკაში.

რაც მთავარია, დავით ყოლბაია არის ვარშავის უნივერსიტეტში წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის კავკასიური (ქართველოლოგიური) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების ინიციატორი და კოორდინატორი. 2002 წელს, ამ კონფერენციაზე, საზეიმოდ გამოცხადდა, რომ ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევის ინსტიტუტში შეიქმნა დამოუკიდებელი სემინარი (კათედრა) კავკასიის (საქართველოს) ისტორიის შესასწავლად. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორ, ცნობილ კავკასიოლოგ ტადეუშ სვენტოხოვსკისთან ერთად, ამ სემინარს სათავეში უდგას დავით ყოლბაია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ დავით ყოლბაიამ 1991 წელს პოლონეთში დაარსა სამეცნიერო ქართველოლოგიური ჟურნალი Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies, რომელსაც დღემდე რედაქტორობს. ჟურნალის პასუხისმგებელი მდივანია მისი მეუღლე სოფიო ჟვანია, რომელიც იმავდროულად ქართულს ასწავლის ვარშავის უნივერსიტეტში. ბოლო ორი წელია ჟურნალი გამოდის შეცვლილი, სოლიდური გარეკნით. ევროპაში ეს მეორე ქართველოლოგიური ჟურნალია Georgica-ს შემდეგ, რომელიც გერმანიაში გამოდის. მოსალოდნელია, რომ ქართველოლოგიური ჟურნალი პოლონეთში ახლო მომავალში ინგლისურენოვანი გახდება.

დავუბრუნდეთ ისევ გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილ კონფერენციას. ის, წინა ორის მსგავსად, საერთაშორისო იყო. ამჟამად მიწვეულთა შორის იყვნენ ესპანელი, აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი მკვლევარები. საქართველოდან მხოლოდ ჩემი გამგზავრება მოხერხდა. 14 მოხსენებიდან ერთი ნაწილი ეძღვნებოდა შუა საუკუნეების ქრისტიანულ კავკასიას, ხოლო მეორე - XX საუკუნის კავკასიას. დავით ყოლბაიამ თავისი მოხსენება, რომელიც ეხებოდა ქართულ წარმართულ პანთეონს, პოლონურად წაიკითხა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ პოლონელი მკვლევარებიც (პაველ იანიშევსკი და რობერტ ვისნიევსკი), რომლებმაც ქართველოლოგიური მოხსენებები წარმოადგინეს. გარდა ამისა, უხუცესმა პოლონელმა მეცნიერმა იან ბრაუნმა ისაუბრა პროტოქართველურის რეკონსტრუქციაზე ბასკური ენის მასალების გათვალისწინებით. ჩემი მოხსენება შეეხო წმინდა მიწაზე ქართული ეკლესიის ისტორიის XIII-XVII საუკუნეების სრულიად ახალ და დღემდე გამოუცემელ არაბულ დოკუმენტურ წყაროებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ავსებენ და ამდიდრებენ ჩვენს ცოდნას პალესტინაში ქართული სამონასტრო თემის მოღვაწეობის შესახებ. კონფერენციის მასალები დაიბეჭდება Pro Georgia-ს მე-12 ნომერში, 2005 წელს.

პოლონეთში გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილი რეგულარული კონფერენციების ჩატარება, ქართველოლოგიის დაფუძნება და ქართველოლოგიური ჟურნალის გამოცემა ერთი კაცის, ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის დავით ყოლბაიას დამსახურებაა. მას დიდი უნარი და ნიჭი აქვს ახლო ურთიერთობები დაამყაროს პოლონელ მეცნიერებთან და მათი მხარდაჭერით და დახმარებით განახორციელოს თავისი წამოწყებები. სასურველია, რომ ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ ხელი შეუწყოს მის საქმიანობას. საჭიროა თუნდაც ის, რომ მას რეგულარულად გადაეგზავნოს საქართველოში გამოცემული სამეცნიერო ლიტერატურა. ეს დიდად წაადგებოდა პოლონეთში ქართველოლოგიით უფრო მეტ დაინტერესებას და ამ სფეროში ახალ წარმატებულ კვლევა-ძიებას.



ვარშავის უნივერსიტეტის ბროშურა გრიგოლ ფერაძის სემინარის შესახებ

# ახალი გუნდი და სულ სხვა დონ ჟუანი

## ოთხი დებიუტანტი ოპერის სცენაზე

სოფო კილასონია

ის, ვინც 14 დეკემბრის საღამოს ოპერისა და ბალეტის თეატრში იმყოფებოდა, ვინც იტალიის სრულუფლებიანი ელჩის ფაბრიციო რომანოს ღრმად პათეტიკური სიტყვა და შემდეგ იტალიელ ვოკალისტთა მიერ შესრულებული "დონ ჯოვანი" მოისმინა, კარგად გამიგებს, როგორ მიჭირს იმის თქმა და მოწოდება მკითხველისთვის, რომ ხვალ საღამოსაც ესტუმროს თეატრს და კიდევ ერთხელ მოისმინოს მოცარტის არაჩვეულებრივი, თუმცა ჩვენს სცენაზე, მართლაც, ნაწვალები და გატანჯული ქმნილება. ამის მიუხედავად, მგონი, ყველა, მით უფრო, ოპერის მოყვარული საზოგადოება აშკარად უნდა დაინტერესდეს სპექტაკლით, რომელიც, თუ თეატრის ხელმძღვანელობას დავესესხებით, მეტად მნიშვნელოვან მოვლენად იქცევა თანამედროვე ქართული ოპერის ისტორიაში.

ხვალ მოცარტის "დონ ჯოვანიში" ოთხი დებიუტანტი ვოკალისტი ამღერდება. როგორც წინასწარ ამბობენ, მაყურებელს დიდი სიამოვნება ელის. "დაიმახსოვრეთ მათი სახელები, ისინი სულ მალე მსოფლიოს წამყვან სცენებზე გაბრწყინდებიან" - დავით საყვარელიძის ეს სიტყვები სწორედ ნიკა ლაგვილავას (დონ ჯოვანი), სოფიკო ჯანელიძეს (დონა ელვირა), ნინო მაჩაიძეს (ცერლინა) და გოჩა დათუსანს (მაზეტო) ეხება. მაგრამ მსოფლიოს სცენებამდე, ჯერ ჩვენთან უნდა გაბრწყინდნენ და საკუთარი შესრულებით იმედი და სიხარული მიანიჭონ მსმენელსა და ოპერის პატრიოტთ.

ახალგაზრდა შემსრულებელთა შესახებ, ბევრს ვერაფერს გეტყვით, მათ შორის შეხვედრა მხოლოდ, დონ ჯოვანის პარტიის შემსრულებელთან, ნიკა ლაგვილავასთან მოვახერხე. მისთვის ხვალ, ოპერის სცენის ფარდა პირველად არ აიწევა, მან დონიცეტის "სიყვარულის ნექტარში" უკვე შეასრულა ბელკორეს პარტია. ევროკავშირის კულტურის ფონდის ლაურეატი და პრეზიდენტის სტიპენდიანტი ნამდვილად ის სახე იყო, ვისაც წლების განმავლობაში ოპერის თეატრისა თუ მის გარშემო მოტრიალე საზოგადოება, რაღაც განსაკუთრებულის მოლოდინით უმზერდა. იმის მიუხედავად, რომ მომავალი ვოკალისტისთვის საოპერო მომღერლის პროფესია შემთხვევითობა ნამდვილად არ ყოფილა, მას არ უფიქრია, რომ მის მიერ შესრულებულ პირველ მნიშვნელოვან სახეს დონ ჯოვანი ერქმეოდა. ამაზე არ უოცნებია, ან, უბრალოდ, ოცნებისას ფრთხილობდა. ეს ურთულესი პარტია მისთვის არაბუნებრივად, "არაამპლანეტურად" გამოიყურებოდა, თუმცა, როგორც თავად აღნიშნავს, მან იმდენად მოირგო ეს პრეტენზიული და ემოციურად დატვირთული პარტია, რომ ახლა ვოკალზე მეტად, სამსახიობო ოსტატობაზე, თითო ნაბიჯსა და გამოხედვაზე ფიქრობს. "ვფიქრობ, მომღერალი საკუთარი სამსახიობო შესრულებით უნდა იკვეთებოდეს სცენაზე...", ამბობს ნიკა ლაგვილავა, რომელიც მზადაა იმისთვის რაც, მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია წარმატების მისაღწევად: სცენაზე გასვლამდე, ანუ "კულისებშივე დაივიწყოს ვოკალი და საკუთარი აქტიორული შესაძლებლობებით დონ ჟუანის მრავალმხრივი და მეტად სახასიათო სახე შექმნას."

სხვისი არ ვიცი, თუმცა, ვფიქრობ, ხვალ საღამოს ოპერის თეატრში წასვლა ნამდვილად ღირს. ამისთვის მრავალი მიზეზი არსებობს, ზოგიერთს კიდეც მოგახსენებთ: როგორც გვპირდებიან, იტალიელთაგან განსხვავებით, ახალი საშემსრულებლო გუნდი, სხვა გამოცდილ ვოკალისტებთან ერთად, სულ სხვა სპექტაკლს გამართავენ და სცენიდან მაყურებელს ხმასთან ერთად მოცარტისეულ ჰანგებს ამჟამად ნამდვილად მოაწვდენენ, თუმცა არის კიდევ ერთი, აქ უფრო გულწრფელი გავხდები და საკუთარ ბოროტ განზრახვას გაგიმხელთ, პირადად მე თეატრში იმიტომაც მივდივარ, რათა სადმე ფაბრიციო რომანოს მოვკრა თვალი და იქნებ ორიოდ კითხვაც დავუსვა ადამიანს, რომელიც მეცენატობისა და "კეთილი საქმეების" პარალელურად უკვე, კარგა ხანია, რაც საქართველოში იტალიური გენის სხვებზე უპირატესობას "გამაოგნებელი" საშემსრულებლო დონისა და ნიჭის მხატვრებისა და მუსიკოსების პროპაგანდით ცდილობს.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა ჯგუფებიც.
მისამართი: ჟ.შენგელაიას N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

## წამალი "სალხინო"

### ქართული ფლორის საოცრება

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.